



# ისტორიული მამკვიდრობება

სამათებელი-კოპულარული ჟურნალი, 2014 წ. ივლისი, №7 (48), ფასი 3 ლარი



**ვაცო საჩავალიძე –  
135**

ალექსეი ტოლსტოი:

**ჩვენ განსაკუთრებით  
გვიყვარს საქართველო  
და ვავახეთ ქართული  
კულტურის საგანძირე**

19



**რა სიცილი  
ჩანაცემები დაგვიტოვა  
აკაკი ხორავა?**

22

**4 პატიკა  
რომანის ერ  
ბაზრისამირი**

**6 ნოდარ დუმბაძე:  
აფხაზთა  
გალის  
ციხესიმაგრე  
უძა  
ჯავახოთ!**

**9 ნატო გაჩინაძე:  
მისი  
სიმღერის  
ქალა  
უკვდავ  
ლაგან-  
დასავით  
დარჩა  
სალცხი**

**16 ლეონიდ  
სობინოვი:  
რად  
გვიცვევთ ეპ  
სამღერლად,  
როდისაც  
ვაცო  
საჩავალიძი  
გეგამი?!**

**28 სტალინი  
უკარა-  
ლაგალი  
რაღაცმორი  
იყო**

**კონსტანტინე  
გამსახურდია:**

**კვლავ  
უცხოთაგან  
ამართულ  
კარგაზე  
ვლოცა-  
ლობთ**

**39 ქველი  
პათამის  
არეალურობა**



## პავლე ივგორეს

„ტფილის და ქუთაისის გუბერნიებში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. სულ ორსავე გუბერნიაში

1916 წლისათვის ითვლება (გარდა ჯარში განვიულებისა) 2.236.000 სული მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ქართველი — 1.765.000, სული — 78,9%;

დანარჩენები სხვადასხვა მცირერიცხოვანი ჰგუმია. ასეთ ჯამს ვღებულობთ ქალაქების მითვლით, საჭაო, როგორც ყოველგან, შეღარებით მათია უცხო ელემენტი; ქალაქების მიუთვლებად ამ ორს პროცენტიაში ითვლება 1.862.000 სული მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ქართველები — 1.600.000 სული, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა პატარა ჰგუმია — 262.000 სული; ქართველობა შეადგენს მრთელი მოსახლეობის 85,9 %-ს.“

# სარჩევი

გამოჩენილი ქართველები

<b>კატარი აღმართის შესახურითო</b>	<b>4</b>
გაზეცება	
<b>ცოდარ დამყაპე: აფსაზთა გელის სიგანე ფრთხილად უდია გვევარო!</b>	<b>11</b>
<b>ვაცო სარაჯიშვილი – 135</b>	<b>13</b>
<b>ცატო ვაჩაძე: მისი სიმღერის ქალა უკვდავ ლაგადესავით დარჩა საჭეში</b>	<b>14</b>
<b>ლარიოზ სობიროვი: რად გვიცვავთ აქ საღარძად, როდესაც ვაცო სარაჯიშვილი გყავთ?!</b>	<b>16</b>
ეგზოგროგა გზად და ბილად	
<b>ალექსი ტოლიშვილი: ჩვენ გასეკუთხავით გვიყვარს საქართველო და ვაფახოთ ქართული კულტურის საგადეურს</b>	<b>19</b>
სელესორები გვიყვარია	
<b>რა საცეაზიური ჩანაწერავი დაგვიტოვა აკაკი ხორავამ?</b>	<b>22</b>
მართალი ისტორია	
<b>სტალინი შეუძრავი გადასახური არაპოტორი იყო</b>	<b>28</b>
გარალიული საზიქრალი	
<b>კოდეტაციები გამსახურია: კვლავ უცემთავაც ახართულ ქარავზე ვლოცელობთ</b>	<b>31</b>
საინტერასო გამოკვლევები	
<b>კავკა ინგრეგუვა – საქართველოს მოსახლეობა</b>	<b>34</b>
აჭარის ისტორიიდან	
<b>პათამის დაგრენება</b>	<b>38</b>
<b>ქველი პათამის არქიტექტურა</b>	<b>39</b>
იცით თუ არა	
<b>საქართველოს კლიმატი</b>	<b>42</b>
<b>სატირო ეგის გიგანტი კიტერებივით დაუფარის ყოფილი აღგირენებები</b>	<b>44</b>
ფოტოალბომი	
<b>ქველი ქათაისი და ქათათურები</b>	<b>45</b>

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი  
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)  
0-892

# კეტჩე რომანის ძე ბაგრატიონი

სახელგანთქმული მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818-1876) ცნობილი მხედართმთავრის, პეტრე ბაგრატიონის ძმის, რომანის, შვილი იყო.

რომან ივანეს ძე ბაგრატიონი 1796 წელს შესულა სამხედრო სამსახურში. იგი მრავალი ბრძოლის მონანილე იყო.

1812 წლის სამამულო ომში მონინავე შენაერთებს

ხელმძღვანელობდა და საკმაოდ თავდადებული, გამბედავი მეომრისა და სამხედრო ხელმძღვანელის სახელიც მოიხვეჭა. იგი 1813-1814 წლების გმირული გრძელების აეტიური მონაცილე იყო და ერთ-ერთი პირველი შევიზუალური განვითარებით, 1812 წლის სამამულო ომში თავის გამოჩენისთვის მას გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა,

რამდენიმე ორდენითა და ოქროს ხმლით იყო დაჯილდოებული.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, მრავალბრძოლაგადახდილიდა ჯილდოებით მკერდდამ-შვენებული რომან ივანეს ძე ბაგრატიონი დაქორწინდა კარის მრჩევლის — სიმონ ივანოვის ქალიშვილ ანაზე. ამ ქორწინებით მას ეყოლა სამი შვილი — პეტრე, ანა და ივანე.

1827 წელს რომან ბაგრატიონი ქართული ლაშქრის მეთაურად დაუნიშნავთ და ერთი წლის შემდეგ, 1828 წელს, გადაუყვანიათ თბილისის მაზრის უფროსთან სამუშაოდ. ამ დროს პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი 9 წლისა ყოფილა. თბილისში, დღევანდელი რუსთაველის პროსპექტზე, მათ საკუთარი სახლი ჰქონიათ. 9 წლის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი მშობლებს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ. იმ სასწავლებელში იმ დროს სწავლობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც, რათქმა უნდა, კეთილი გავლენა მოახდინეს პეტრე ბაგრატიონზე, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მის მომავალ ნინსვლასა და იმპერიაში დიდი ავტორიტეტის მოპოვებას. თბილისში ახლად ჩამოსულ რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ოჯახს მალე გაუცვნია აქაური მოწინავე საზოგადოების

წარმომადგენლები. მათ ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი მონინავე ადამიანები. ისევე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი, რ. ბაგრატიონის ბინაც საღად მოაზროვნე, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის თავშესაყარი გახდა. რ. ბაგრატიონის ბინაში ხშირად საღამოები იმართებოდა, სადაც კითხულობდნენ ქართველი და რუსი პოეტებისა და მწერლების ნანარმოებებს, რის გარშემოც ცხოველმყოფელი სჯა-ბასი იმართებოდა. ზოგიერთი რუსი მწერლისა თუ პოეტის ქმნილება სწორედ თბილისში ვრცელდებოდა პირველად, შემდეგ კი იმპერიის სხვა დიდ ქალაქებში ეცნობოდნენ მას.

პეტრე რომანის ძე ბაგრატიონისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინებში, აგრეთვე, ნერსესოვის სომხური სასულიერო სემინარიის დარბაზში მრავალჯერ წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

მეფისნაცვალთან დაახლოებულ ოჯახთა წარმომადგენლებისაგან იქმნებოდა სცენის მოყვარულთა წრეები, რომლებიც ჯერ მოყვარულთათვის, ხოლო შემდეგ საქველმოქმედო მიზნით წელიწადში რამდენიმეჯერ წარმოად-



გენდნენ ხოლმე სხვადასხვა პიესას საოჯახო სცენებზე. ასეთ ოჯახებს მიეკუთვნებოდა თვით რომან (რევაზ) ივანეს ძის ოჯახიც, რომლის ბინაში იდგმებოდა ესა თუ ის პიესა. მასში ხშირად ამ ოჯახის წევრებიც იღებდნენ მონაცილეობას.

1827 წელს პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. პეტრე რომანის ძე იმ კლასში მოხვედრილა, რომელშიც დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა. იმ დროს ხსენებულ კეთილშობილთა სასწავლებელში ბევრი მოწინავე იდეების მქონე მასწავლებელი მოღვაწეობდა: სოლომონ დოდაშვილი, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ. პეტრე ბაგრატიონს ბევრი ამხანაგი ჰყოლია სასწავლებელში, მაგრამ ყველაზე ახლოს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ყოფილა. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი ოთხი წლის შესული იყო სასწავლებელში, როცა მას და მის მეგობარ ნიკოლოზ ბარათაშვილს დიდი უსიამოვნება შეემთხვათ 1832 წლის შეთქმულებაში მონაცილეობის გამო, რასაც ბარათაშვილის გაროზგვადა პეტრე რომანის ძის თბილისიდან წასვლა მოჰყვა.

იგი პეტერბურგში წავიდა, პაპიდა ანა ივანეს ასული ბაგრატიონი მონახა, რომლის წყალობითაც 1935 წელს ლეიბ-გვარდიელთა ულანის პოლკის პოდპრაპორში კეიკებისა და იუნკერთა სკოლაში შევიდა. იმავე წლის დეკემბერში გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიელთა ცხენოსანთა ესკადრონში იუნკრად. ზემოხსენებულ სამხედრო სკოლაში სწავლის პერიოდში მან თავისი ასაკისათვის საუკეთესო მომზადება გამოამჟღავნა, რაც გამოწვეული იყო სახლში სანიმუშო განათლების მიღებით. იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს.

1837 წლის სექტემბერში 19 წლის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი პრაპორში კი გახდა. 1840 წელს მომავალი პოდპროუჩიკი ინჟინერთა გვარდიული კორპუსის მეთაურის ადიუტანტად დაინიშნა. 1842 წელს პორუჩიკის ჩინი მიიღო. სამხედრო სამსახურთან ერთად, პეტრე რომანის ძემ 1842 წლიდან ფიზიკასა და ქიმიაში დაიწყო მუშაობა და სულ მაღალ სახელიც მოიხვეჭა, როგორც ნიჭიერმა მეცნიერმა. თავისი თეორიული გამოკვლევების ექსპერიმენტებს იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის იმ დროისათვის საკმაოდ კარგად მოწყობილ ფიზიკის კაბინეტში ატარებდა. პეტრე ბაგრატიონის სამეცნიერო ნარმატები იმდენად სერიოზული და შედეგიანი იყო, რომ 1843 წლის პოლოს იგი წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1844 წლის მარტის დასაწყისში მის მიერ შემუშავებული მეთოდით, გალვანური ელექტროდენების საშუალებით, ყინულისაგან გაათავისუფლეს კრონშტადტის ნავსადგური, რისთვისაც იმავე წლის 9 მაისს უმაღლესი ბრძანებით მაღლობა გამოეცხადა.

1844 წლის ოქტომბერში პ. ბაგრატიონი 6 თვით გააგზავნეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში ცოდნის გასაღრმავებლად და გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდების შესასწავლად. საზღვარგა-

რეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1845 წლის 19 იანვარს, პეტრე ბაგრატიონი დაინიშნა იმ დროისათვის გავლენიანი და ყოვლისშემძლე იმპერატორის — ნიკოლოზ პირველის სიძის, პეტროგ მაქსიმილიან ევგენის ძე ლეიბტენბერგის ადიუტანტად. მაქსიმილიან ევგენის ძე ლეიბტენბერგი ბავარიის პეტროგი იყო და, როცა ნიკოლოზ პირველის ქალიშვილი მარია შეირთო ცოლად, იმპერატორმა იგი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად დანიშნა. მასვე დაეკისრა სამთა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. პეტროგმა მ. ლეიბტენბერგმა იცოდა პეტრე ბაგრატიონის საქმიანობა და მიღწევები, ადვილი შესაძლებელია, რომ თვითონ მოინდომა მისი ადიუტანტობა, რათა გამოეყენებინა უკვე ცნობილი მეცნიერის ნიჭი და უნარი.

1845 წელს ადიუტანტი და პეტროგი ლეიბტენბერგი ურალში მოგზაურობდნენ, იყვნენ ახმატოვის მაღაროში, სადაც შეკრიბეს მინერალური კრისტალები.

პეტრე ბაგრატიონმა 7 წელი დაჲყო (1845 წლიდან — 1852 წლამდე) ევროპაში მაქსიმილიან ლეიბტენბერგთან და ამ პერიოდში არც ერთი შრომა არ გამოქვეყნებულა მისი ავტორობით. სამაგიეროდ, ბევრი შრომა დაიბეჭდა პეტროგ ლეიბტენბერგის ავტორობით გალვანოპლასტიკაში. რა თქმა უნდა, ეს შრომები, უმეტესინილად, პეტრე ბაგრატიონის მიერ იქნებოდა შესრულებული, პეტროგი ხომ თითქმის ისეთივე ფიზიკოსი და ქიმიკოსი იყო, როგორიც მხატვარი. იგი სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად ითვლებოდა და მხატვრობაში არც ნიჭი ჰქონდა და არც არაფერი შეუქმნია. მისი ერთადერთი დამსახურება ის იყო, რომ ცდილობდა ერთობლივი შრომით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შექმნილი თეორიული შრომები პრაქტიკაში დაენერგა.

გალვანური წესით მოოქროებისა და მოვერცხლის ცხოვრებაში გამოყენების მიზნით, ლეიბტენბერგის თაოსნობით, პეტერბურგში დაარსდა გალვანოპლასტიკაში გამოყენების შესასწავლად. საზღვარგა-

ტიკური ქარხანა. თავისი თავის განდიდების მიზნით პეტროგი ლეიბტენბერგი, როგორც აღინიშნა, გამოქვეყნებული შრომების თანაავტორადაც არ აღიარებდა პეტრე ბაგრატიონს. საზღვარგარეთ ადიუტანტად ყოფნისას იგი სამხედრო სამსახურში ითვლებოდა და პეტრიოდულად სამხედრო ჩინიც ემატებოდა. 1845 წელს შტაბსკაპიტონბა მიიღო, 1848 წელს კაპიტანი გახდა, 1850 წელს პოლკოვნიკის ჩინი ეპოძა. ამასთანავე, მეცნიერული მოღვაწეობისათვის, უკვე ჩინით პოლკოვნიკს, ადიუტანტს საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოები ეძლეოდა. როგორც ირკვევა, ეს ჯილდოები პეტროგ მ. ლეიბტენბერგის ნარდგინებით ეძლეოდა პეტრე ბაგრატიონს. პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფია, მკვლევარი ვახტანგ პარკაძე ნამდვილად სწორად შენიშნავს: „თავისი მასანავლებლის — პეტრე ბაგრატიონის გვარს იგი (ლეიბტენბერგი) არსად ახსენებს, ხოლო ადიუტანტი, ამჟამად უკვე პოლკოვნიკი პ. ბაგრატიონი, რომ „არ დაიჩაგროს“, ადგენს მას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დასაჯილდოებლად. ლეიბტენბერგის ბიოგრაფიის შესწავლის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ მისი საქმიანობა გალვანოპლასტიკაში დარგში უმთავრესად ადიუტანტ მასანავლებლის — პეტრე ბაგრატიონის გავლენით იყო გამოწვეული“.

ნათელია, რომ თანაავტორობის დაკარგვის საკომპენსაციოდ რუსეთის იმპერატორის სიძე მ. ლეიბტენბერგი პეტრე ბაგრატიონს ადგენდა სხვადასხვა ქვეყანაში ჯილდოების მისაღებად. შვიდი წლის განვითარებაში, 1845 წლიდან 1852 წლამდე, პეტრე ბაგრატიონის საზღვანობარების 56 წრდენი მიიღო: შვეციის ციხესიმაგრეს მისამად გადასახლდებოდა პეტრე ბაგრატიონის გავლენით იყო გამოწვეული“.



რიც მოიდა მიხეილის ორ-დენ და პორტუგალიის ქრი-სტეს ორდენი. შვიდი ცლის მანძილზე პეტრე ბაბრატიონის საგეციონო მოღვაცეო-ბა მართლაც და ლირსი იყო ჯილდოებისა. ეს მხოლოდ პერცონგმა იცოდა, სხვებისთ-ვის კი გაუგებარი იყო, რის-თვის და რატომ იღებდა ჯი-ლდოებას პეტრე ბაბრატიონი. მართალია, ჰერცოგმა ლეიისტენ-ბერგმა მისი ნალვანი მიითვისა, მაგრამ განეული შრომისა და ექ-სპერიმენტებისაგან მიღებული ცოდნა და გამოცდილება პ. ბაგ-რატიონს შერჩა. 1852 წელს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა მ. ლე-ისტენბერგი.

პეტრე ბაგრატიონი რუსეთში დაბრუნდა. 1852 წლის 23 ოქტომ-ბერს მას ფლიგელ-ადიუტანტის წოდება მიეცა და ლეიიბ-გვარდი-ელთა ცხენოსან გრენადერთა პოლკში იქნა მივლინებული საფ-რონტო სამსახურის შესამონმებ-ლად. პეტრე ბაგრატიონმა ეს ფრი-ად სერიოზული და პასუხსაგები დავალებაც ბრნიცინვალედ შეას-რულა. რუსეთ-თურქეთის ე. წ. ყი-რიმის ომის დაწყების წინ მას სამ-ხედრო სამსახურში გასაწევად ტულისა და ხარკოვის გუბერნიებ-ში საყოველთაო მობილიზაციის ორგანიზება და ჩატარება დავა-ლა; მეცნიერულ მოღვაწეობას ცოტახნით მოწყვეტილმა ეს დავა-ლებაც პირნათლად და დროულად შეასრულა. იმავე პერიოდში, იმპე-

რატონი ნიკოლოზ პირველი დაეს-წრო პეტრე ბაგრატიონის ხელმ-ძღვანელობაში მყოფ ცხენოსან გრენადერთა დივიზიონის მანევრ-სა და წვრთნას. იმპერატორს მოე-წონა მეთაურის სამხედრო ნიჭი და მანევრირების სწორი ხელმძღვა-ნელობა, რის გამოც პეტრე ბაგრა-ტიონმა ნიკოლოზ პირველის წყა-ლობა და მისახურა. თავდადებული და ენერგიული მუშაობით სახელ-განთქმული პეტრე ბაგრატიონი 1854 წლის 1 სექტემბერს იმპერა-ტიონის სამხედრო-სალაშერო ამა-ლითა და მისი უდიდებულესობის მცველთა რაზმით მივლინებულ იქნა ვარმავაში; იმავე წელს იმპე-რატონის სასახლის კომენდანტო-ბა და მცველთა რაზმის უფროსო-ბა და დაევალა.

პეტრე ბაგრატიონი ყოველგვარ დავალებას დროულად და პირ-ნათლად ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ მას ყოველთვის სერიო-ზულსა და ძნელად შესასრულე-ბელ საქმებს ანდობდნენ. იგი ერ-თნაირი ერთგულებითა და დიდი მონდომებით ასრულებდა სამ-ხედრო, სამეცნიერო თუ სახელმ-ნიფოებრივი ხასიათის დავალე-ბებს. 1855 წელს ვორონეჟის გუ-ბერნიაში გლეხთა მღელვარება დაიწყო, მათ დასაწყნარებლად დროებით პეტრე ბაგრატიონი იქ-ნა გაგზავნილი. ამ დავალების შესრულებას იგი ჩვეული ენერგი-ით შეუდგა და ნარმატებითაც შე-ასრულა.

**1856 წელს იგი დაჯილდოვდა**

წმინდა სტანისლავის მეორე ხა-რისხის ორდენით. 1857 წელს პეტრე ბაგრატიონი ლეიიბ-გვარ-დიელთა კავკასიის ესკადრონის უფროსად დაინიშნა, მალე და-ჯილდოვდა წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით და მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. იგი იმპერატორის ამალის უფროსად დაინიშნა. ამ პერიოდში მას გაეც-ნო ქართველი ერის მომავალი სა-სიქადულო პოეტი აკაკი წერეთე-ლი. 1859 წელს, თებერვალში, აკა-კიმ გიმნაზია მიატოვა და სწავ-ლის გასაგრძელებლად პეტრე-ბურგს მიაშურა, სადაც მისი უფ-როსი ძმა ილიკო წერეთელი იმყო-ფებოდა იმპერატორის ამალის წევრად, რომლის უფროსი პეტრე ბაგრატიონი იყო. ილიკომ სტუმ-რად მისული ძმა ბაგრატიონს წა-რუდგინა რჩევა-დარიგებისათ-ვის. შეხვედრისთანავე პეტრე ბაგრატიონმა აკაკი ქართულად მოიკითხა. აკაკი არ მოელოდა ქა-რთველი გენერლისაგან მშობლი-ურენაზე საუბარს და გაუკირდა. პეტრე რომანის ძე მიხვდა აკაკის გაკვირვებას და ლიმილით უთხრა: „განა ქართველი აღარ გვინივარ? დიდი ხანია, რუსეთში ვარ და ცო-ტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენ, რო-გორც იმერელი, უეჭველად იმე-რული კილოთი უკიდებ და მეკი წმინდა ქართული ვიცოდი!“. სწო-რედ იმ საუბრის დროს მოუყვა პეტრე ბაგრატიონი აკაკი წერე-თელს თბილისიდან პეტერბურგ-ში გადასვლის ამბავს. აკაკი წერე-თელმა მომდევნო წელსაც მოინა-ხულა ქართველი გენერალი.

მომდევნო წლებში იგი სხვადას-ხვა პასუხსაგებ დავალებას ასრუ-ლებდა. 1859 წელს პეტრე ბაგრა-ტიონს დაეკისრა კურსკის გუბერ-ნიაში დროებით გაშვებული დაბა-ლი ჩინის სამხედრო პირთა კულავ განვევა არმიის დასაკომპლექ-ტებლად, ხოლო 1861 წელს მივ-ლინებულ იქნა პერმის გუბერნი-აში საგლეხო რეფორმის მომზა-დებასა და გატარებასთან დაკავ-შირებით. ორთავე დავალება ჩვე-ული მონდომებით შეასრულა, დროულად და კარგად, რისთვი-

### პეტრე ბაბრატიონი რუსთის იმპერიაში

**ყველაზე ჭკვიან გუბერნატორად ითვლებოდა.**

**მის დროს გაერთიან ტვერის გუბერნიაში რკინიგზა**

**ინიკოლაზევის რკინიგზის სადგურ ტვერიდან მდი.**

**ვოლგაგაზე, ტელეგრაფის საზო აგავა სადგურიდან კალაკაზე, ტვერიდან სტარიცაგაზე და რევენამზე.**

**გაუგვილესა საჯარო გიგანტების საქმიანობა.**

**მისი უუალო ინიციატივით დარსდა ტვერის**

**მხარეთაშორისებრივი მუზეუმი.**

**საფეხული ჩავარდა გეოლოგიურ ძირის.**

**მოეცო გაზის განეთება და ცენტრალის.**

საც იმავე წლის 30 აგვისტოს წმინდა ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი მიიღო. 1861 წლს პერმის გუბერნიაში საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული საქმების კარგად შესრულებისათვის იმპერატორის მადლობა დაიმსახურა, 1862 წლის 30 აგვისტოს კი დაჯილდოვდა მინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი. პეტრი ბაგრატიონი ისე გაითქმა ვასახელი იმპერიისა და თავდაცემული სამსახურით, რომ 1862 წლის 14 სექტემბერს იგი ფვერის (ახლანდელი კალინიცი) გუბერნატორად დაინიშნა, იმავე დროს იმპერატორის ამაღლავიც დატოვეს. მისი ადმინისტრაციული სამსახური ტვერის გუბერნიის მმართველობით დაიწყო. ამ პოსტზე, დიდი ტაქტისა და თავშეკავების წყალობით, ის მეტად აქტიურად და ნაყოფიერად იღწვიოდა. ორი წლის განმავლობაში გუბერნიის ყველა წრის წარმომადგენლობა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა და მთელი რუსეთის იმპერიაში ყველაზე ჭკვიან გუბერნატორად ითვლებოდა. მის დროს გაკეთდა ტვერის გუბერნიაში რეინიგზა ნიკოლაევის რეინიგზის სადგურ ტვერიდან მდ. ვოლგამდე, ტელეგრაფის ხაზი ამავე სადგურიდან ქალაქამდე, ტვერიდან სტარიცამდე და რუვამდე. გააუმჯობესა საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობა. მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა ტვერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. საფუძველი ჩაეყარა გეოლოგიურ ძეგლის. მოწყობილი გაზის განათება და წყალსადენი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტვერის გუბერნატორად დანიშვნისთანავე, პეტრე ბაგრატიონის შედგენილი გეგმის მიხედვით, მინაყრილის მოწყობა, ზატმაცის მოსახლეობის საგაზათხულო წყალდიდობისაგან დასაცავად. წყალდიდობისაგან ბევრჯერ შეწუხებული მოსახლეობის საუკუნო ნატვრა იყო მდინარეთა ადიდებისაგან სამუდამო თავდაცვა. ახლად დანიშნულმა გუ-

ბერნატორმა დაიწყო საჭირო სამუშაოების ჩატარება და დამატავრა კიდეც. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო თანხები არ ჰქონდათ. პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად ქალაქის თავმა ა. გოლოვინმა პირადი თანხიდან 1200 მანეთი გაიღო ამ საქმისათვის. ეს თანხა არ ეყოფოდა საჭირო სამუშაოების ჩატარებას, პეტრე ბაგრატიონს რომ პატიმართა ასეული არ მოეშველიებინა.

პეტრე ბაგრატიონის დიდი ღირსება იყო ის, რომ ყველას შეეძლო მასთან მისვლა. როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, იგი მთხოვნელს ყურადღებით უსმენდა: განსაკუთრებით გლეხებისადმი იჩინდა ყურადღებას. 1865 წლის 4 აპრილს პეტრე ბაგრატიონი დაჯილდოვდა მინდა ანას პირველი ხარისხის მისი სტიპენდია და ორი სტიპენდიაც მისი ცოლის სახელობისა ტვერის უპატრონობავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის. ქალაქის საზოგადოებამ დამატებით შეკრიბა ფული, რომელიც მისი გაცილებისას უნდა დაერიგებინათ ღარიბებისათვის პეტრე ბაგრატიონის სახელით. ღარიბი მშობლების შვილებისათვის სელობის შესასწავლად ცალკე დაიწყეს ფულის შეგროვება, რათა აესრულებინათ თავად პეტრე ბაგრატიონის დიდი ხნის ნატვრა — გაეხსნათ სახელოსნო სასწავლებული ტვერში. ასე უყვარდათ და აფასებდნენ ტვერის გუბერნიის თავკაცად ყოფილ ქართველ გენერალ-ლეიტენანტს, რომელსაც მისი უძრობის გამო გაცილებაც კი ვერ მოუწყო მადლიერმა საზოგადოებამ. პეტრე ბაგრატიონი რეინიგზის სადგურში დაემშვიდობა მის პატივსაცემად თავშეყრილ საზოგადოებას.

1868 წლის 25 მარტს ტვერის გუბერნიის უწყებაში გამოქვეყნდა პეტრე ბაგრატიონის ახალ სამსახურში განხევება: „ტვერის გუბერნატორს — გენერალ-ლეიტენანტს — თავად ბაგრატიონს ყოვლადობით უზრდანებობის იყოს ვილნოს, გროდნოს, კოვენისა და მინსკის გენერალ-გუბერნატორისა და ვილნის გუბერნიის გუბერნიის უზროსის მოადგილედ სამოქადალო“.

პეტრე ბაგრატიონმა ტვერის გუბერნატორად 5 წელი და 6 თვე იმსახურა. ამ ხნის განმავლობაში იმდენად დიდი სიყვარული დაიმსახურა, რომ მის ტვერიდან ნასვლას ნანობდა გუბერნიის ყველა გამოჩენილი მოღვაწე. მასთან გამოსამშვიდობებლად მაზრებიდან მოდიოდნენ მისდამი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით

განმსჭვალული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

**მისი მოღვაწეობით კმაყოფილი მოსახლეობამ ტვერის ქალაქის საზოგადოების დადგენილებით თავად პეტრე ბაგრატიონის სახელზე ფული შეაგროვა და გადაწყვიტა, რომ შეგროვილი თანხის პროცენტები უპატრონობავშვთა სახლისათვის ეძლიათ, აღსაზრდელებისათვის ხელობის შესასწავლად. ქალაქის საზოგადოების დადგენილებითვე, ტვერის ქალთა გიმნაზიაში დანიშნულ იქნა პეტრე ბაგრატიონის სახელობის როი სტიპენდია და ორი სტიპენდიაც მისი ცოლის სახელობისა ტვერის უპატრონობავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის. ქალაქის საზოგადოებამ დამატებით შეკრიბა ფული, რომელიც მისი გაცილებისას უნდა დაერიგებინათ ღარიბებისათვის პეტრე ბაგრატიონის სახელით. ღარიბი მშობლების შვილების სელობის შესასწავლად ცალკე დაიწყეს ფულის შეგროვება, რათა აესრულებინათ თავად პეტრე ბაგრატიონის დიდი ხნის ნატვრა — გაეხსნათ სახელოსნო სასწავლებული ტვერში. ასე უყვარდათ და აფასებდნენ ტვერის გუბერნიის თავკაცად ყოფილ ქართველ გენერალ-ლეიტენანტს, რომელსაც მისი უძრობის გამო გაცილებაც კი ვერ მოუწყო მადლიერმა საზოგადოებამ. პეტრე ბაგრატიონი რეინიგზის სადგურში დაემშვიდობა მის პატივსაცემად თავშეყრილ საზოგადოებას.**

1869 წლის მარტს ბოლოს პეტრე ბაგრატიონი ვილნოს გენერალ-გუბერნატორის სამოქადალო ნაწილში თანამებრნის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იმ დღის იქ გენერალ-გუბერნატორის ბოლტაპოვი იყო. პეტრე ბაგრატიონი გენერალ-გუბერნატორი ა. პოტაპოვთან კარგ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. 1870 წელს, გენერალ-გუბერნატორის შევებულების ყოფინის დროს, პეტრე ბაგრატიონი საკმაოდ წარმატებით ასრულებდა მის თანამდებო-



ბას, რისთვისაც მას იმავე წლის 14 სექტემბერს იმპერატორის მადლობა გამოეცხადა.

1870 წლის 22 სექტემბერს პეტრე ბაგრატიონი ბალტიისპირა ქვეყნების — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მუშაობას იგი ჩვეული ენერგიითა და გულმოძგინებით შეუდგა. ცდილობდა მისი წინამორბედი გენერალ-გუბერნატორის მიერ წამოწყებული საქმები და ესრულებინა. იგი დღენიადაგ ზრუნავდა სოფლის მრევლთა, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლური სოფლების მრევლთა კეთილდღეობაზე, სახალხო სკოლებზე. მისი ინიციატივით გაუმჯობესდა სწავლება და გაფართოვდა რიგის პოლიტექნიკური სასწავლებელი. ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მისი სახელობის სტიპენდიები დაწესდა. ამასთანავე, ცდილობდა, შემოედო რუსული ენის სწავლება გუბერნიის სასწავლებლებში. მან იმდენად დიდი ავტორიტეტი და ნდობა დაიმსახურა უკანასკნელ თანამდებობებზე ყოფნისას, რომ თვით იმპერატორიც არ ერეოდა მის საქმებში.

იმყოფებოდა რა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, იგი არ ივინუებდა მეცნიერულ საქმიანობას. გალვანური ელემენტის შესახებ აირობის გარემონტინა 1843 წლის დაპერატიული 1845 წლის დაგენერალური ელემენტის სრული გავრცელება და დაინიშნა. მისი სახელობის სტიპენდიები დაწესდა. ამასთანავე, ცდილობდა, შემოედო რუსული ენის სწავლება გუბერნიის სასწავლებლებში. მან იმდენად დიდი ავტორიტეტი და ნდობა დაიმსახურა უკანასკნელ თანამდებობებზე ყოფნისას, რომ თვით იმპერატორიც არ ერეოდა მის საქმებში.

პეტრე ბაგრატიონის ნაშრომი გალვანური ელემენტის შექმნის შესახებ იმდენად სერიოზულ მოვლენად იქნა აღიარებული, რომ იგი 1844 და 1845 წლებში დაიბეჭდა ლონდონში, პარიზშა და უენევაში.

მეორე ნაშრომში პეტრე ბაგრატიონმა აღნერა გალვანური ცდების დროს შენიშნული პროცესი, ოქროს სსნადობა კალიუმციანიდში. „ამ ნაშრომში იგი იხილავდა საკითხებს, რომლებიც ეხებოდა გალვანოპლასტიკასა და გალვანურ ელემენტში მიმდინარე პროცესებს. მან დაამტკიცა, რომ ოქრო იხსნება კალიუმფეროციანიდისა და კალიუმციანიდის წყალხსნარებში. მის ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ციანირების მეთოდის გამოყენებისას ოქროს შემცველი მაღნებისგან ოქრო მთლიანად გამოიყოფა. ციანირების მეთოდს ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეტალურგიაში“. ნაშრომი პეტრებურგის აკადემიაში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე, რომელიც ა. კანდელაკმა თარგმანა რუსულად და ვ. პარკაძემ გამოაქვეყნა ქართულად 1956 წელს: „პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი“. მოგვყავს პეტრე ბაგრატიონის ნაშრომის ტექსტი: „გალვანოპლასტიკაში ჩემ მიერ წარმოებული ცდების დროს შევნიშნე, რომ მეტალური ოქრო იხსნება კალიუმციანიდში, რომელიც პროცესი დაიბეჭდა არის დამზადებული. ერთი კვირის შემდეგ შიგნიდან მოოქროვილი ფინჯანი, რომელიც ამ მარილის ნაჯერი ხსნარი იყო მოთავსებული, მთლიანად ამოქმუ-

ლი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ოქროს სსნადობა შეიძლება გაზრდილი იქნეს, თუ ამ ლითონის უაღრესად დაქუცმაცებული სახით გამოვიყენებთ. აქედან გამომდინარე მეჩავატარე ცდები ოქროს ფხვნილით, რომელიც მივიღე იქროს ქლორიდის ხსნარიდან რკინის სულფატით დალექვის საშუალებით. კარგად გარეცხილ ამ ფხვნილს ვურევდი კალიუმციანიდის ხსნარს. ხსნარში იქროს არსებობის დასადგენად მასში ვატარებდი ელექტროდენს ვოლტას სვეტიდან. დენის წყაროს წარმოადგენდა დანიელის ელემენტთაგან შემდგარი ბატარეა პლატინის ანოდით. იმის გამო, რომ უარყოფით პოლუსთან უაღრესად დიდი რაოდენობის წყალბადის გამოყოფა წარმოებდა, იძულებული გავხდი, ანოდის ზედაპირი შემემცირებინა. ამ გზით დენი მაღე შესუსტდა და სპილენძის ფირფიტაზე, რომელიც კათოდის როლს ასრულებდა, გამოიყო იქრო, რომლის ფენამ 2-3 საათის შემდეგ ფირფიტა სრულიად დაფარა. გაფილტრული ხსნარი იგივე შედეგები იქნა მიღებული. ნათელი გახდა, რომ ამ ცდებში ოქრო ელექტროდენის მოქმედების გარეშეც უნდა გახსნილიყო ქიმიურად, რადგან ანოდად აღებული იყო არა ოქრო, არამედ პლატინა.

შემდგომმა ცდებმა ცხადყვეს, რომ სითბო ძალზე ადიდებს გამსნელის ძალას. ხანგრძლივი დაყენების შემდეგ ხსნარი ოქროს დალექვის სწრაფ უნარს იძენს და გალვანური დენის გარეშეც დალექვას მას სპილენძისა და ვერცხლის ზედაპირზე, რომელიც კერკიდევ თბილ სითხეშია ჩაშვებული. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთგვარ უხერხულობას ვაწყდებით, რადგან ეს ლითონები თავის მხრივ მეტად ძლიერად განიცდის ციანკალიუმის ზეგავლენას.

სისხლის ყვითელ მარილს ამ მიმართებით იგივე თვისებები აქვს, როგორც მარტივ ციანიდს, ოღონდ გაცილებით უფრო ნაკლები ძალით. ოქროს გახსნა ამ მარილში ძალზე ნელა წარმოებს; დაყე-

## კატარება ბაგრატიონის ნაშრომი გალვანური

ელემენტის შემონა შესახებ იმდენად

სერიოზულ მოვლენად იქნა აღიარებული,

რომ იგი 1844 და 1845 წლებში დაგენერალური

ლონდონში, კარიზსა და ჰენევაში.

მეორე ნაშრომში კატარება ბაგრატიონის გალვანური

გალვანური ცდების ძროს შეიძლები

კრონხესი, რექროს სსნადობა კალიუმციანიდში.

ნების პროცესი გაცილებით უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს. სამაგიეროდ ეს ორმაგი მარილი ძალზე სუსტად მოქმედებს სპილენძსა და ვერცხლზე, რის შედეგადაც ოქროს ქიმიური აღდგენით მიღებული მოოქვრა უფრო მტკიცედ გამოდის და ფერიც უფრო ლამაზი აქვს. ამ ცდებმა დაადასტურა ბ-ნ იაკობის მიერ ადრე გამოთქმული შენიშვნა იმის შესახებ, რომ სისხლის ყვითელი მარილი მოოქვრას უფრო მკვეთრ და ლამაზ ელფერს აძლევს, ვიდრე ეს ციანეალიუმით მიღებულ მოოქვრას ახასიათებს.

ოქროს ფენის სიმტკიცე და სისქე საკმარისი აღმოჩნდა გაკრიალების ასატანადაც. ამ გზით მოოქროლი საგნები ცვილით გაპრიალების დროს არავითარ ცვლილებას არ განიცდის. უფრო ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ოქროს პირველი, ძალიან თხელი ფენის მიღების შემდეგ პროცესი არ ჩერდება, რასაც ადგილი ჰქონდა ელ. კინგტონის ძველი მეთოდის გამოყენების დროს. ცხელ კალიუმფეროციანიდში გახსნილი მეტალური ოქროთი დაფერილ გაპრიალებულ ვერცხლის საგანს მშვენიერი მქრქალი ელფერი მიეცა მას შემდეგ, რაც იგი 12-15 საათის განმავლობაში იქნა დატოვებული გაცივებულ ხსნარში. გრძნობიარე სასწორის უქონლობის გამო, მე ვერ დავადგინე რამდენად გაიზარდა სხეულის წონა; მარტო ის არის ცნობილი, რომ ამგვარი სიმქრქალე მხოლოდ მაშინ მიიღება, როდესაც ოქროს ფენა გარკვეულ სისქეს მიაღწევს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მოსაოქროვებელი სხეულები წინასწარ კარგად უნდა გაინმინდოს და რომ გალვანური დენის მოქმედების შედეგად პროცესი უფრო სწრაფად მთავრდება. უკანასკნელ შემთხვევაში, ოქროს ფენი ანგარიში ანოდს რომ არც ეხებოდეს, როგორც ჩანს, მეორადი დენის გავლენით უფრო დიდი რაოდენობით გაიხსნება, როგორც ამას წინა მომარტინული სამუშაოების ბ-ნი იაკობი თავისი მეფის მიღების დროს განიცავს. ამ გვალების შედეგი და მარტინული მომარტინული სამუშაოების განვითარების დროს გამოიყენებას“.

განსაზღვრის მეთოდები“ - ს დამატებაში.

თუმცა ქიმიის სახელმძღვანელოებში მოცემულია, რომ რკინის ქვეუანგის მარილები სამეფო წყალში (მეფის არაყში) გახსნილ ოქროს მეტალური სახით გამოჰყოფენ და თუმცა ამ გზით მიღებული ნალექი დაუანგვის კვალსაც კი არ შეიცავს, მე მაინც მოვისურვე, გამომეკვლია, თუ როგორია ციანეალიუმის მოქმედება გაგლინულ მეტალურ ოქროზე. ამ მიზნით ჩავკიდე დაახლოებით 1 კვ. დუიმის ზომის სუფთა ოქროს ფირფიტა ჭიქაში, რომელიც ამ მარილის ხსნარით ნახევრად იყო სავსე. დაახლოებით სამი დღის შემდეგ, სითხეში ჩაშვებული ფირფიტის ნანილი თითქმის მთლიანად იქნა დამზერილი ზედა ნანილში, სადაც სითხე და ფირფიტა ატმოსფეროს ჰაერს ეხებოდა. აღვინიშნავ, რომ ხსნადობისათვის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით ჭიქა ღუმელზე იდგა, ხოლო ტემპერატურა 30-40 გრადუსს შორის ირყეოდა.

ჩატარებული ყველა ცდის დროს მე ვსარგებლობდი ბაზრის (ანუ ტექნიკური), კომერციული მარილებით და მუავებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ოქროს ხსნადობა ამ ნივთიერებაში არც თუ ისე ადვილად აიხსნება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ მცირერიცხოვან გამოკვლევებს, რომლებიც დღემდე იქნა ჩატარებული სამვალენტიანი ოქროს შემცველი მასალებით. თუ

## გაგრატიონთა გერბი



ჩვენ თავს გარკვეული ჰიპოთეზის წამოყენების უფლებას მივცემთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ხსნარებში ოქრო ციანიტის ან ამონიატის სახით შედის, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალრიცხოვან გარდაქმნებს, რომლებსაც ციანური მარილები ჰართან შეხების დროს განიცდიან.

ვერცხლისა და სპილენძის კილიტა და ამ მეტალების ძალზე წვრილი მავთულები ზემოხსენებულ მარილებში ზუსტად ასევე იხსნება და შეიძლება აღდგენილ იქნა იმავე მეთოდებით.

ოქროს გამხსნელად ქიმიკოსები მხოლოდ ერთ რეაქტივს ახსენებენ: ეს არის აზოტ-ქლორნებილბადმჟავა ანუ სამეფო წყალი. მიტჩერლიხის მითითებით, ოქრო იხსნება, აგრეთვე, სელენის მუავაშიც. ჩემი ცდები მაფიქრებინებსა, რომ წარმოქმნის მომენტში ციანებალბადმჟავაც ამავე თვისებების მატარებელია; ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ამიერიდან კალიუმის ციანური მარილები ოქროს გამხსნელებს უნდა მივაკუთვნოთ და ამ მარილთა გამოყენებით ზუსტი ცდების წარმოების დროს ვერიდოთ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლების გამოყენებას“.

**1845 ცელს ქართველი მეტიონის ეს ნაშრომი დაიგეზდა საზღვარგარეთ, რის შემდეგაც მსოფლიოს გევრ ქვეყანაში დაინერგა ძვირზასი ლითონების — ოქროს, ვერცხლისა და სევათა მოპოვებისა და დაუშავების პეტრებაგრატიონის მიერ აღმოჩენილ და შეუშავებული მეტოდი. კერძოდ, მაკარტურმა და ძმებმა ფორესტებმა ეს მეთოდი ფართოდ დანერგეს 1887-1890 წლებში სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ამერიკაში. მოვიანებით — 1894 წელს პეტრე ბაგრატიონის ზემოაღნიშნული მეთოდი რუსეთშიც დაინერგა, მაგრამ პატენტში მეფის მთავრობამ დიდი თანხა გადაიხსნადა. ამიტომა, რომ ბურუჟუაზიული ისტორიუმის ციანური მარილების შემცველი მასალების ფონზე მაკარტურსა და ძმებს ფო-**



რესტებს მიაწერენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როცა ამ დიდი აღმოჩენის ავტორად კვლავ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი იქნება აღიარებული. ზემოაღნიშნული მეცნიერული მოღვაწეობის გარდა პეტრე ბაგრატიონი მინერალოგითაც იყო გატაცებული და თავისი კვალი დატოვა ამ დარგშიც.

1845 წელს პეტრე ბაგრატიონმა პეტროგ მ. ლეიხტენბერგთან ერთად ურალში ახმატის მაღაროები დათვალიერებისას მან აღმოაჩინა იმ დროს მინერალოგებისათვის უცნობი და, რაღა თქმა უნდა, შეუსწავლელი კრისტალი. კრისტალის ფერი შავი იყო და მინასავით ძლიერ ბრნიშნული და. სიმაგრე, როგორც გამოირკვა, მინდვრის შპატზე ოდნავ მეტი ჰერნდა.

1847 წელს ხსენებული კრისტალის შესახებ პეტრე ბაგრატიონის ახლობელმა, ცნობილმა მინერალოგმა ნიკოლოზ კოკშაროვმა დაწერა გამოკვლევა. ნ. კოკშაროვის წინადადებით ამ მინერალს „ბაგრატიონი“ ეწოდა და დღესაც მსოფლიოში იგი „ბაგრატიონის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ნ. კოკშაროვი თავის მოგონებებში ხსენებული კრისტალის შესახებ აღნიშნავდა: „მისი საიმპერატორო უძიდებულესობის პეტროგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტმა, თავადმა პეტრე რომანის ძე ბაგრატიონმა მაშინ ურალიდან, სადაც პეტროგთან ერთად იმყოფებოდა, მინერალების საკმაოდ მდიდარი კოლექცია წამოიღო, რომელთა შორის იყო დიდი შავი კრისტალი... — რომელიც მე გამოვთხოვე თავად ბაგრატიონს ყოველმხრივ გამოკვლევისათვის“. ნ. კოკშაროვი აღნერს, თუ როგორ გამოიკვლია პეტრე ბაგრატიონის მიერ მოპოვებული კრისტალი და დაამტკიცა, რომ იგი იმ დროის მინერალოგებისთვის უცნობი და ახალ მინერალს განეკუთვნებოდა, რომელსაც „თავად ბაგრატიონის პატივ-საცემად „ბაგრატიონი“ ვუწოდე“.

მ. ლეიხტენბერგის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შეკროვე-

ბული მინერალების კოლექცია ბავარიის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა.

პეტროგს თავის კოლექციასა და, საერთოდ, ქანებზე, მემუარების სახით, ნაწერები ჰქონია, რომელიც ნ. კოკშაროვს ბერლინში ყოფნისას ლეოპოლდ ბუხის ხელში უნახავს.

1859 წელს ბავარიის მეცნიერებათა აკადემიის ას წლისთავზე მოწვეულ სტუმართა შორის ნ. კოკშაროვიც ყოფილა, როგორც რუსეთის სამთო ინსტიტუტის წარმომადგენელი. მიუნხენში დაუთვალიერებიათ მინერალოგის კაბინეტი, სადაც ნ. კოკშაროვს უცვნია მის მიერ გამოკვლეული კრისტალი, „ბაგრატიონიტი“, რომელიც მას პეტრე ბაგრატიონის თხოვნით უჩიუქებია პეტროგ ლეიტენბერგისათვის. მეცნიერის ლევანლი მეცნიერებასა და სახელმწიფო მმართველობაში, ასევე მინერალოგის დარგშიც გამოიკვლია და ვრცლად აღნერა მკვლევარმა ვ. პარკაძემ, რომელმაც ცხადყო, რომ პ. ბაგრატიონმა ნათელი კვალი დატოვა მინერალოგიაშიც.

სამხედრო, სამეცნიერო და სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ნიჭთან ერთად პეტრე ბაგრატიონს პოეტური მონაცემებიც ჰქონია. მიუხედავად მოუცლელობისა ლევებიც დაუწერია. ტვერის გუბერნატორობის დროს იგი ბევრ მონინავე იდეის მქონე პირს დაუახლოვდა და მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა ზოგიერთ მათგანთან, კერძოდ, ძალიან ახლოს იყო და თავის მეგობრადაც თვლიდა რუს პოეტსა და პეტრიც თევდორე ნიკოლოზის ძე გლინკას, რომელიც 1860-70-იან წლებში ქ. ტვერის მკვიდრად ითვლებოდა. თევდორე ნიკოლოზის ძე გლინკა კადეტთა კორპუსის აღზრდილი და 1812 წლის სამამულო ომის აეტიური მონაწილე იყო. მოგვიანებით დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაციის — „ხსნის კავშირის“ — საქმიანი წევრი და 1819-1825 წლებში რუსული სიტყვიერების მოყვარულთა თავისუფალი სა-

ზოგადოების თავმჯდომარე. დეკაბრისტთა აჯანყების შემდეგ, მეფის მთავრობამ სხვებთან ერთად თ. გლინკაც გადასახლდა პეტროზავოდსკში, სადაც სწავლობდა კარელის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და მრავალი ლექსი დაწერა და გამოაქვეყნა, რომელთაგან ბევრი პოპულარულ სიმღერად იქცა. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნარკვევები, რომელთაგან ყველაზე გახმაურებულია „ნარკვევი ბოროვდინოს ბრძოლებზე“. ამ ნარკვევს დადებითი შეფასება მისცა ბ. ბელინსკიმ. როგორც ჩანს, პეტრე ბაგრატიონს მოეწონა საღად მოაზროვნე პოეტი და პუბლიცისტი თ. გლინკა და დაიმეგობრა იგი. სწორედ ამ მეგობრობის გამოიყო, რომ პეტრე ბაგრატიონმა 1869 წლის ბოლოსა და 1870 წლის დასაწყისში საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსი მიუძღვნა მას.

ლექსში პეტრე ბაგრატიონის საზს უსვამს დროსა და შრომას, რომელსაც ადამიანი არ ითვლის, მაგრამ დაბადებიდან გვჯერა, რომ წელს წელი მისდევს და სახერთო მოძრაობის მეოხებით სამყარო ყოველწლიურად წინ მიდის, რომ ჩვენ ყოველდღე შევიცნობთ მამა-პაპათა შეცდომებს. მოუცლელობის გამო იგი უდრობას უჩივის და დასძენს, რომ ბავშვობიდან არავინ აქცევს ყურადღებას, მიფრინავს თუ კუსავით მიხობავს დრო. მოგვიანებით კი ადამიანი უკვე ძუნწობს დღრის მიმართ და როცა „ზემოდან ქვემოთ გაცილების დრო მოდის, ცხოვრება გვეჩურჩულება: მოეშვი ნატვრას, მეგობრის ოჯახში ფინჯანი ჩაის დასალევად დაჯექი და დაისვენე ფაციფუციისაგან“. ბოლოს ლექსის ავტორი მეგობრის ურჩევს, რაც შეიძლება მხიარულად გაატაროს მთელი წელი — სამას სამოცდახუთი დღე. ეს ლექსი ავტორის გარდაცვალების შემდეგ — 1878 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, მიღერის სტამბაში.

**აისაილ გონიაზოლი**

ნოდარ დუმბაძე:

# აფხაზთა გულის სიმაგრე ვიზუალური უნდა გევასო!

ამას წინათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“ წავიკითხე. ჩემი ბავშვობა, ყმანვილებაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა. ლექსმა ჯერ სიხარულით ამავსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს — შური.

დიახ, კეთილი შურით ვწერ ამ წერილს.

## დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა გამოართვა კაცს სათქმელი სიტყვა აირიდან?

„ჩემი მორდუ აფხაზეთში  
იზრდებოდა თარბებთან,  
ბადეს შლიდა და შვილდისრით  
ტყეში ნადირს არბევდა...  
ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები  
ჩაუქად და რაინდად,  
ბეჭზე ორბი შეუფრინეს,  
ურაიდა-რაიდა“.

ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მევარ?! ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა ქუჩაში. ასფალტზე მუხლებადაყვლეფილს იოდს როგორ მასხამდა შენუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ მითათუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ მანყნარებდა — გაჩუმდი, ვაჟუაცის ტირილი ვინ გაიგონაო. რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის — ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და დეიდაჩემის — მაროს საყვედურიანი ხმა მესმის: ბიჭო, სულ სარა ბარაბზია ბზბონიტი როდემდე უნდა იძახო, სხვა რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად, ქმრის ხათრით, ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხოვბა და-წერა და გამოაქვეყნა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც

კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს.


„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.  
მაგ ტკბილ კალთაში  
თავს ჩაგიდებ  
და გავყუჩდები,  
ლოცვით, მადლობით,  
აღსრულებით მითრთის

ტუჩები“...

მკვდარი მიმიტანეს სოხუმის მეორე საავადმყოფოში. თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომეხი, რუსი, აფხაზი, ქართველი — ყველა ერთად მადგას თავზე. არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო. ბურანში ნასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს ვხედავ... ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს ვარჩევ... თბილისიდან გადმოცვენილ ექიმებს ვხედავ, ნათესავებს ვხედავ, სისხლსა და ხორცს ვხედავ ჩემსას, ვიცი, ამათი ბახალავარ და ამათ უნდა მიტირონ, მაგრამ ამათ რაღა უნდათ, უზარმაზარ ამრასავით რომ მადგანან თავზე და მათბობენ?! ცოტა რომ მოვიკეთე, მოწყალების დები მიამბობდნენ რიგრიგობით:

— რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, სულ დამეკარგა ვენა, ვერაფრით ვერ მივაგენი და ნემსი ვერ გაგიკეთეთ!

— რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, იმ წუთში ვიპოვე ვენა და გა-



გიკეთეთ ნემსი, თორემ მაგას რა იპოვიდა, სულ არ გქონდათ წენევა!

ამ რამდენიმე წლის წინათ გუდაუთაში ერთი კაცი ამისირდა „ბენზოკალონკასთან“, გინდა თუ არა, ურიოდ უნდა გამიშვაო.

— რატომ? — ვეკითხები.

— იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურს, — ვატყობ, ნასვამია, აშკარად შარზეა და ჩხუბი უნდა, თან ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა უზის, ანგელოზი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, არ წავეჩუბე, ურიგოდ გავუშვი....

მოსკოვში ვარ, რესტორანში ვსხედვართ მე და ერთი იქაური ჩემი ნაცნობი. ოფიციანტმა შამპანური და შოკოლადი მოიტანა.

— ეს მოგართვეს! — მეუბნება.

— ვინ? — ვეკითხები.

— ვინაბა არ უთქვამს, აი, იმ ახალგაზრდამ!

გამახედა აფიციანტმა. რესტორნის კართან ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი დავლანდე. ვხედავ, მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის. მელიმება.

— ვინ იყო? — მეკითხება თანამოსაუბრე.



— ჩემი აფხაზი მეგობრის ვაჟი!  
— ვუპასუხ.

— მერე რატომ თვითონ არ მო-  
ვიდა? — უკვირს ჩემს მეინახეს.

ახლა ამას როგორ ავუხსნა, რა-  
ტომ არ მოვიდა აფხაზურ ოჯახ-  
ში აღზრდილი ვაჟუკაცი მამამისის  
ტოლ კაცთან, რატომ არ მომიჯ-  
და გვერდით, რატომ არ გადადო  
ფეხი ფეხზე, რატომ გამომიცხა-  
და ასე შორიდან სიყვარული და  
უხმოდ რატომ წავიდა?!

— ალბათ, ეჩქარებოდა! — ვუ-  
თხარი როყიოდ.

კიდევ ორი ოჩამჩირელი მოს-  
ნავლე გოგონა მაგონდება: ერთი  
— აფხაზი, მეორე — ქართველი.  
სანატორიუმში მინახულეს ავად-  
მყოფი, თავიანთი ბალის ფორთო-  
ხალი და ლიმონი მომიტანეს თა-  
ნაკლასელების სახელით. ვიდრე  
ჩემთან იდგნენ, ძალიან ყოჩალად  
ისხდნენ, მაგრამ თვალები ცრემ-  
ლით ჰქონდათ სავსე. რომ წავიდ-  
ნენ, აივიდან გადავხედე. ამათ  
მხრებზე მხოლოდ ანგელოზები  
ესხდნენ და თავჩაქინდრულნი მი-  
დიოდნენ, ჩემი ნახვით დაზაფრუ-  
ლებს, ალბათ, იმედი გადაუწყდ-  
ათ, — ამას რა გადაარჩენსო?

**გადავრჩი,** ჩემო ძვირფასო გო-  
გონებო, და თუ დაშიჯერებთ, ის  
თქვენი მოტანილი ლიმონი და  
ფორთოხალი იმ ყველა ამერიკულ  
და გერმანულ წამალზე უფრო მო-  
მიხდა. მადლობელი ვარ, თქვენ  
შემოგევლოთ ჩემი სიცოცხლე.

სულ ახლახან ერთ ჩემს ისტო-  
რიკოს მეგობარს ვთხოვე, ჩვენი  
ისტორიული წარსულიდან აფხა-  
ზთა და ქართველთა ძმობის რაი-  
მე ლამაზი ამბავი გაიხსენე-მეთ-  
ქი. დიდხანს იფიქრა, მერე უარყო-  
ფის ნიშნად თავი გაიქნია.

— რა იყო? — ვკითხე გაკვირვე-  
ბულმა.

— არძმობის ამბავი ვერ გავიხ-  
სენე და ის როგორლა გავიხსე-  
ნო? — ასე მიპასუხა.

ან ბრძენი კაცის მოგონილი სიც-  
რუეა, ან მართლაც ასე იყო. ყოველ  
შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენით,  
ჩვენმა შვილებმა და შვილიშვი-  
ლებმა ასე უნდა იცოდნენ...

და უნდა იცოდნენ ჩვენგან.



მასულ გუდამ მახსოვს აკა-  
კი ცერეტლის, კონსტანტინე  
გამსახულდიას, ლეო ქიარე-  
ლისა და სევათა შემდეგ კა-  
ცი როგორი სიცრთხილით  
უდია შეეხოს აფხაზთა გუ-  
ლის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ  
ძმებსაც უდია ახსოვდეთ,  
ძართვალთა გულის სიმებს  
რომ შეეხიან ხოლმე.

მიხარია, შოთა ნიშნიანიძე ეგ-  
ზომ ლამაზად რომ შეეხო ჩვენი  
გულების საერთო სიმებს. მე რომ  
ახლა ამ წერილს ვწერ, უფრო თა-  
ვისუფლად და ლალად ვგრძნობ  
თავს, რადგან მწერალთა კავშირ-  
ში აფხაზეთის საბჭოს თავმჯდო-  
მარე ვარ, უმაღლესი საბჭოს დე-  
პუტატად აფხაზეთიდან გახლა-  
ვართ არჩეული, აფხაზეთში მოვ-  
კვდი და დავიბადე ხელმეორედ,  
ლენინური პრემია რომ მივიღე,  
ათასი დეპეშა მომივიდა და აქე-

დან ნახევარზე მეტი აფხაზეთი-  
დან იყო. სხვა რომ არაფერი, სა-  
მადლობელი მექუთვნის და ვამ-  
ბობ კიდევაც. და ასეც რომ არ  
იყოს, სულაც შავი ზღვის პირას,  
აფხაზეთში მიდგას ოდა.

„ჩანს ოდაზე კოლხთა ღერბი,  
ღერბი სიმინდ-ჯიქურის,  
და აფხაზურ ცხენის ნალი  
ავგაროზად მიკრული“.

შოთა ნიშნიანიძის ლექსის კით-  
ხვა რომ ჩავათავე, გულში უსაშ-  
ველო სითბო ჩამეღვარა, ავდექი  
და ჩემს სიცოცხლეში პირველად  
მოვძებნე ლექსიკონში გულის გა-  
ნმარტება.

**გული** — უმთავრესი ნაწილი  
ცხოველთა შინაგანი აგებულები-  
სა, რომლისაგანაც მოიქცევის სი-  
სხლი ყოველთავე ძარღვთა შინა,  
— ასე წერია ლექსიკონში.

აუ, რა დიდი ფერება და გაფრ-  
თხილება სჭირდება თურმე გულს.



# ვანო სარაჯიშვილი – 135

ვანო სარაჯიშვილი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი, ლირიკულ დრამატული ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, „საქართველოს ბულბული“ სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ასეთი პოპულარობა მოუხვეჭა მას იშვიათი სილამაზის ხმამ, დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა. დაიბადა 1879 წელს, სიღნალში. 1887 წლიდან სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აქვე მღეროდა მოსწავლეთა გუნდში (1888-1895 წლები); 1898 წელს შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი) 1898-1900 წლებში. იყო ქართული ხალხური გუნდის მომღერალი – სოლისტი (ხელმძღვანელი ს. კავსაძე); 1903 წლიდან პეტერბურგში სწავლობდა სიმღრას ჯერ ი. პრიაშნიკოვთან, შემდეგ ა. პანაგეა-კარცევასთან. აქვე შედგა სარაჯიშვილის დებიუტი 1907 წელს ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატაში“. პარალელურად იტალიაში კასტერნოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხელოვნებას (1906-1908 წლებში). მართავდა კონცერტებს იტალიის საოპერო თეატრებში.



1910-1920 წლები ვანო სარაჯიშვილის შემდეგ მომღერალმა მუშაობა განაგრძო იტალიურ დასში. 1908 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. გამოდიოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

1913 წლის 28 მაისს შეასრულა ფრაგმენტები ზაქარია ფალიაშვილის ახლად შექმნილი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ (აბესალომის პარტია). 1916-1917 წლებში ცხოვრობდა ბაქოში, სადაც აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა. თბილისში დაბრუნების

შემდეგ სარაჯიშვილი მონაწილეობს ზაქარია ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, ასრულებს აბესალომის („აბესალომ და ეთერი“) და მალხაზის („დაისი“) პარტიებს. ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო“ ზაქარია ფალიაშვილმა ოპერაში შეიტანა ვანო სარაჯიშვილის თხოვნით.

მრავალფეროვანია სარაჯიშვილის რეპერტუარი, იგი თანაბარი წარმატებით ასრულებდა, როგორც ლირიკულ ისე დრამატულ პარტიებს: შოთა (დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), კოტე (ვ. დოლიძის

„ქეთო და კოტე“), რადამესი (ვერდის „აიდა“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), ფაუსტი (ჰუნოს, „ფაუსტი“), პერცოგი (ვერდის „რიგოლეტო“), ალფრედი (ვერდის „ტრავიატა“), ნადირი (ბიზეს „მარგალიტების მაძიებელი“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), ლენსკი, (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკას ქალი“), სინოდალი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვ. გადაღებულია კინოფილმში „მამის მკვლელი“ (1923). მისი ხმა აღინიშვილი იყო რამდენიმე ტექნიკურად არასრულყოფილ გრამფირფიტაზე, რომელთა რესტავრირებაც განხორციელდა 1999 წელს ანზორ ერქომაშვილის მიერ ლონდონში აღმოჩენილი დედნების საფუძველზე, ნოდარ ანდლუაძემ კი პირველადი სრულყოფილი ხმოვანება აღადგინა. გამოვიდა ამ ჩანაწერების კომპაქტდისკი.

ვანო სარაჯიშვილი დაკრძალულია თბილისის ოპერის თეატრის ბალში.

## ნატო გაჩნაძე:

ეს ვთავა უმოგდი იმ აღამიათიან, ვიცხ  
ესართველი სალხის სიყვარული იყო,  
ცოლო ჩემი ხეის ახალგაზრდებისათვის  
— ნამდვილი კერპი.



ნატო გაჩინაძე:

# მისი სიმღერის ქალა უკვდავ ლეგადეასავით დარჩა ხალხი

1923 წლის ზაფხულში ჩვენი კინომრეწველობა შეუდგა ალექსანდრე ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის“ მიხედვით სურათის გადაღებას. ფილმში მონაწილეობის მისაღებად მონვეული იყო ვანო სარაჯიშვილი. ის ასრულებდა იაგოს როლს, მე ვთამაშობდი ნუნუს.

ვისაც ვანო სარაჯიშვილი უნახავს სცენაზე, მისთვის დიდი სიამოვნება ცოცხალი და მოძრავი იხილოს ის ეკრანზე. ამ სურათს თუნდაც იმიტომ აქვს ღირებულება, რომ მისი წყალობით საშუალება გვეძლევა, მეხსიერებაში აღვადგინოთ ამ შესანიშნავი არტისტის მაღალი ოსტატობა და შთამაგონებელი სახე.

**ვანო სარაჯიშვილმა კინოში მოიტანა არა მარტო თავისი გამოცდილება, არამედ საუკეთესო სცენური ტრადიციები და ის თავისებურება, რომელიც ამ დიდ ხელოვანს ახასიათებდა.**

მე მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სულ 16 წლის გოგონა, ადვილად ნარმოიდგენთ, თუ რა სიხარული იყო ჩემთვის ვანო სარაჯიშვილის პარტნიორობა. მე ვთამაშობდი იმ ადამიანთან, ვინც ქართველი ხალხის სიყვარული იყო, ხოლო ჩემი ხნის ახალგაზრდებისათვის — ნამდვილი კერპი.

სარაჯიშვილი მაშინ 45 წლის იყო, მაგრამ ნახეთ ის ეკრანზე და დარწმუნდებით, რომ სხვა ნიჭთან ერთად ბუნებამ ის საოცრად დაზოგა და შეუნარჩუნა ახალგაზრდული შეხედულება, დიდი ტემპერამენტი და მომხიბვლელობა.

მთელ ექსპედიციაში ყველაზე უფრო აღტაცებული, ცოცხალი, დაუღალავი, მხიარული და ამასთანავე საოცრად უბრალო და გულისხმიერი ვანო სარაჯიშვილი იყო.

სარაჯიშვილი თავიდანვე დიდი სერიოზულობით მოეკიდა საქმეს.

აპარატის წინ დგას ვანო სარაჯიშვილი — იაგო, უკან კი აპარა-

ტია, ოპერატორი, რეჟისორი, მისი თანამემნე, ასისტენტები, მსახიობები და საჭირო ტექნიკური პერსონალი. იწყება გადაღება სცენისა, სადაც იაგომ სიყვარული უნდა გამოუცხადოს ნუნუს. აი, საცაა უნდა ამუშავდეს აპარატი, როცა უეცრად სარაჯიშვილმა უკმაყოფილო გადახედა აპარატს, მის გარშემო მდგარ ხალხს და საყვედურით მითხრა:

— რას ჰყავს ეს ამბავი? როგორ გამოგიმუდავნო ჩემი სიყვარული, როცა ამდენი ხალხი და შენი ქმარიც კი ეგერ დამდგარან, შემომცეკრიან და ერევიან ჩემს საქმეში. არ შეიძლება განა ეს სცენა გადავილოთ მონმეთა გარეშე?

მუშაობდა ის ყოველთვის შთა-

გონებულად და დიდი ტემპერამენტით. ხშირად თვითონვე იყო თავისი თავით კმაყოფილი და, როგორც ჭაბუკი, გულუბრყვილოდ და სიხარულით იტყოდა:

— დიდებულად კი ჩავატარე ეს სცენა! ას, რა კარგად ვითამაშე! ყოჩად ვანო სარაჯიშვილ!

რამდენიმე ტრიუკი ამ ფილმში ისეა გაკეთებული, რომ მასში მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობდა სარაჯიშვილი, მაგრამ ის იმდენად გატაცებული იყო თავისი მუშაობით, რომ, როცა ბოლოს ეკრანზე ნახა მთელი სურათი, დარწმუნებული იყო, თითქოს ყველაფერი მის მიერ იყო გაკეთებული.

ერთობ შესაქცევი იყო შემდეგი შემთხვევა: მოქმედების მიხედვით მე ტყეში დავეხეტები: აი, საცაა დათვი თავს უნდა დამესხას. ტყეში მართლაც იყო დათვი, მაგრამ ის უკანა ფეხით დაბმული იყო და გაბრაზებული ღრინავდა. იმ წუთში, როცა ის თითქო უნდა მე-

აბესალომი — ვანო სარაჯიშვილი



ცეს, გამოჩენდება იაგო – სარაჯიშვილი, მივარდება დათვს, ჩასცემს ხანჯალს და მოკლავს. ეს კადრი გადაიღო აპარატმა შემდეგნაირად: სარაჯიშვილი — იაგო გადაიღეს ცალკე, გახელებული დათვიც ცალკე. სარაჯიშვილმა — იაგომ მხოლოდ ხანჯალი ამოიღო და რაღაცას ჩასცა. ეკრანზე კი ისე გამოვიდა, თითქო იაგო ეცა დათვს და მართლაც ჩასცა ხანჯალი.

როცა ეს კადრი ნახა ვანო სარაჯიშვილმა, ის იმდენად გაკვირვებული იყო მისი რეალობით, რომ დარწმუნებული შეიქნა, თითქო მართლაც მან მოკლა დათვი. უყურებდა კადრს და ამბობდა:

— ძალიან მარჯვედ კი ვიყავი! აი, ხომ ხედავთ, რა საშინელი მხეცია. მაინც არ შევუშინდი და ჩავეც ხანჯალი! ხუმრობა ხომ არაა მისი მოკვლა!

**სამწუხაროა,** რომ მის დროს ხმოვანი კინო არ არსებობდა. ძველმა ეკრანმა აღბეჭდა ვანო სარაჯიშვილის სახე, თამაში, მაგრამ მთელი მისი სიდიადე ხომ სიმღერაში იყო.

ვისაც სარაჯიშვილი მოუსმენია, მისი ხმისა და სიმღერის ძალა განუცდია, მისთვის ის დაუვიწყარია.

მრავალს მოუსმენია ვანო სარაჯიშვილი, მაგრამ ბევრს არ ჰქონია ბედნიერება, მოესმინა იმ წუთებში, როცა თითონ მას ემღერებოდა, იმ წუთებში, როცა მას არ შეეძლო არ ემღერა, როცა ის თავის ღმერთთან ურთიერთობაში იყო.

მე ერთხელ მქონდა შემთხვევა ასეთ წუთში მომესმინა მისთვის. ეს მოხდა სილაციის. გაზაფხული იყო, აივანზე ვისხედით ძველი ციხე-გალავნის ახლო. ნათელი, მთვარიანი ლამე იყო. ქვევით ალაზნის ველი გადაშლილიყო. დღით მე დავინახე, თუ როგორ ჰყვავოდნენ იქ, ქვევით, ალუბლის და ვაშლის ხეები და ახლაც, ამ ნათელ ღამეში, მეჩვენებოდა, თითქო ვხედავდი მათ და ვყნოსავდი დამათრობელ სურნელს. მთვარით განათებული კავკასიონის თოვლიანი ქედი თეთრად ბრნყინავდა. სიჩუმეში ვიდექით და გავცეროდით



ნატო ვაჩიაძე და ვანო სარაჯიშვილი — კადრი ფილმიდან „მამის მავლები“

ყველანი ამ მომხიბლავ ჩვენებას. და აი, თითქოს მოულოდნელად კი არა, არამედ თითქო ჩვენი გულიდან ამოსულიყო, მოისმა ჯერ ჩუმი ჰანგი, ისეთივე ჩუმი, როგორადაც ლოცვა იწყება.

ეს ვანო სარაჯიშვილი მღეროდა მშობლიურ ურმულს; ჩუმად დაიწყო, შემდეგ მისი ხმა თანდათან გაძლიერდა, გადაეფინა გაყუჩებულ ალაზნის ველს და შორეულ მთებს გადასწვდა. მისი ხმა, მისი არსება შეერთებული იყო ამ წუთში იმ მომხიბლავ ჩვენებასთან, რომელიც შორ მანძილზე გადაშლილიყო. მომღერალი თითქო უბრუნდება გარემოს იმ ჰანგს და ხმას, რომელიც მისგანვე მიეღო.

ეს ხმები — დაბადებული ამ ველზე, მის მწვანეში, ალაზნის ტალღებში, გლეხის კერის ღუღუნში, — იქნებ ესმოდათ ყველა ამათ ისევე, როგორც ჩვენ, ადამიანებს.

ის მღეროდა დიდხანს და ყველაფერი მას უსმენდა მის ხმაში მისი მშობელი ხალხის ხმა ისმოდა.

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ეს ღამე.

სული ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი.

ის თითქოს მითიურ ორფეოსად იქცა ჩვენთვის და მისი სიმღერის ძალა უკვდავ ლეგენდასავით დარჩა ხალხში.

„მოგონებები და შეხვედრები“, თბილისი, ხელოვნება, 1950 წ.



ლეონიდ სობინოვი:

# რაღ გვინდეთ აქ სამღარღად, როდესაც ვანო საჩავალი გყავთ?!

ალიარებულ რუს ტენორს ლეონიდ სობინოვს ზოგჯერ ვანო სარაჯიშვილს ადარებდნენ. რამდენად მართალი იყვნენ პარალელის გამვლები, დღეს ძნელი სათქმელია, მაგრამ 1912 წლის 28 მარტის გაზეთი „ზაკავკაზისკაია რეჩის“ ნომერში თუ ჩავიხედავთ, ამოვიკითხავთ: „სობინოვი, რამდენადაც მასზე მსჯელობა შემიძლია, არა იმდენად შესანიშნავი მომღერალია, რამდენადაც უბადლო ინტერპრეტატორი, რომელიც მხატვრული სისავსით გადმოგვცემს მის მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა ყოველ წვრილმანს. ლეონიდ სობინოვის სიმღერაში გონება მეფობს. მისი ხმა განვრთნილია განვლილი სკოლით უმცირეს დეტალებამდე; ამიტომ ამ ჭეშმარიტ ხელოვან-ოსტატის სიმღერა სტილიურია. სტილი კი განუყრელად თან სდევს მხოლოდ გონების ნაყოფს. ტემპერამენტსა და გრძნობას სობინოვის სიმღერაში მეორე ადგილი უჭირავს. სობინოვი აპოლონია, მის სიმღერას გონების სადაცე ჰელობს; სარაჯიშვილი დიონისია, გრძნობისა და ტემპერამენტის ქურუმი... დიახ, სობინოვი აპოლონია და ამიტომაც ის კარგია, შეუდარებელია იმ ნაწარმოებებში, სადაც საჭიროა აპოლონიზმი: „ლეონიდონი“, „მაისის დამე“...

მაგრამ ნაწარმოებებში, სადაც საჭიროა სითბო, ტემპერამენტი, სობინოვი უკვე ის აღარ არის, არ ვიტყვი, რომ სუსტია, არა, მომღერალი-ხელოვანი იქ არ არის თავის სფეროში. აპოლონს არ შეუძლია დიონისოდ გახდომა... სობინოვისთვის საჭიროა ინტელიგენტი მსმენელი. სობინოვის ხმის ტემპი ცივი სკოლაა, მაგრამ გონების მხატვრული შემოქმედების სკოლაა, სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სკოლა, სტილი, — იქ სობინოვი შეუდარებელია მხატვრული თვალსაზრისით. აპოლონი — სოპინოვი, დი-

ონისო — სარაჯიშვილი, აი, ორი პოლუსი...

მიუხედავად ასეთი შედარებისა (თუმცა აქ გადაჭარბებული არა-ფერია), არც სობინოვს დაჲკლებია რაიმე და არც ვანო სარაჯიშვილს მიმატებია. პირიქით, მათი მეგობრობა მუდამ სამაგალითო იყო. მეტიც, ვანოსთვის სობინოვის სახელს მომნუსხავი ზეგავლენა ჰქონდა. მოვიტანთ ერთ მაგალითს. 1908 წელს ვანო სარაჯიშვილს პეტერბურგის იტალიურ დასმი დებიუტი ჰქონდა დანიშნული. რეპეტიციაზე ქართველმა მომღერალმა თითქოსდა

ხმის დაკარგვის საშიშროება იგრძნო და შეშფოთდა. მეგობრის „განუურნება“ ჩელოზე დამკვრელმა ილიკო აბაშიძემ იკისრა:

— ვანო, ახლა მომაგონდა, — უთხრა მან აღელვებულ მომღერალს, — ერთხელ სობინოვთან ერთად გამოვდიოდი კონცერტზე, შიშმა ხმა დამიკარგა, სობინოვმა თავისი ნამალი მომცა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— მერედა, ამდენხანს რად სდემდი? — ჰყითხა ვანომ, — რაკი სობინოვისაა, უთუოდ მიშველის, ჩეარა მომიტანე.

„სობინოვის ნამალიც“ გაჩნდა და ვანო სარაჯიშვილის დებიუტმაც ბრწყინვალედ ჩაიარა. სპექტაკლის შემდეგ ვანომ სობინოვს სთხოვა, „მისი წამლის“ რეცეპტი მიეცა. რუსი მომღერალი წინასწარ ყოფილა გაფრთხილებული მომხდარ ამბავზე და, რათქმა უნდა, საიდუმლო არ გაამხილა, სამაგიეროდ ვანო ერთ აფთიაქარს მიამაგრა, რომელსაც ყოველ მის



«აკოლოე — სოპინოვია, დიონისო —

სარაჯიშვილი, აი, ორი პოლუსი...» მიუხედავად ასეთი შედარებისა (თუმცა აქ გადაჭარბებული არა-ფერია), არც სოპინოვს დაჲკლებია რაიმე და არც ვანო სარაჯიშვილი შემოქმედების სკოლაა, სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სკოლა, სტილი, — იქ სოპინოვი შეუდარებელია მხატვრული თვალსაზრისით. აპოლონი — სოპინოვი, დი-

გამოსვლაზე თითო ბილეთს აძლევდა ე. ნ. „სობინოვის წამლის“ საფასურად. ბოლოს და ბოლოს, საიდუმლო გამჟღავნდა, თურმეი ი. აბაშიძეს ნარზანი და რძე შეუზავებია.

ვინ იყო ლეონიდ სობინოვი?

ლეონიდ ვიტალის ძე სობინოვი დაიბადა 1872 წლის 26 მაისს იარსელავლში. აქვე მიიღო ზოგადი განათლება, ხოლო 1894 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობისას უნივერსიტეტის მომლერალთა გუნდშიც მდეროდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ქვეითთა სამხედრო სასწავლებელში გაამნესეს. პარალელურად ვოკალის საიდუმლოებას ეუფლება მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო-დრამატულ სასწავლებელში. შემდეგ კი სპეციალობით მუშაობდა. ადვოკატურაში პირველ ნაბიჯებს წარმატებაც მოჰყვა. ბოლოს და ბოლოს, სიმღერამ იმდლავრა და 1897 წლის 24 აპრილს დიდ თეატრში დებიუტიც დაინიშნა. ასე გახდა თეატრის სოლისტი. 1905-1911 წლებში დასავლეთ ევროპის საოპერო თეატრების სცენაზე პოპულარობაც მოიპოვა. ორი სეზონი „ლა სკალაში“ გაატარა.

ლირიკული ტენორი, საიმპერატორო თეატრის სოლისტი ლეონიდ სობინოვი იყო რუსული კლასიკური ვოკალური სკოლის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. გამოიჩინდა მუსიკალური სახის პოეტურობით, პლასტიკით.

ლეონიდ სობინოვი საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი თეატრის დირექტორიც გახლდათ.

ლეონიდ სობინოვი საქართველოს პირველად 1912 წლის მარტში ეწვია. გაზეთი „ზაკავკაზიკაია რეჩ“ 1912 წლის 4 მარტს მკითხველს აუწყებდა: „გუშინ როსტოკიდან ჩქარი მატარებლით ჩამოვიდა ლეონიდ სობინოვი. 4 და 6 მარტს გამართული კონცერტების შემდეგ იგი გაემგზავრა ბაქოში“. 6 მარტს იგივე გაზეთი წერდა: „ლეონიდ სობინოვის კონცერტი უნდა გამართულიყო სახაზინო თეატრ-



ოპერა „ქალთავზა“, 1900 წ.

ში 4 მარტს, მაგრამ რკინიგზამ ბარგი დროზე ვერ ჩააბარა და კონცერტი გადაიდო“. ბოლოს, როგორც იქნა, რუსი მომლერლის კონცერტებმა წარმატებით ჩაიარა და რეცენზიებიც დაიწერა.

ლეონიდ სობინოვი თბილის მეორედ 1914 წელს ესტუმრა. იმსანად მომლერალი საკონცერტო ტურნეს მართავდა რუსეთში. მან შემოიარა ვიტებსკი, ვილნო, უკრაინა, ყირიმი, კოლგისპირეთი და თბილისაც ენვია. მის აფიშებზე ერთი და იგივე წარწერა იყო გაკეთებული: „ლ. ვ. სობინოვი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცების სასარგებლოდ მართავს კონცერტებს“. გაზეთი „აზრი“ კი 29 აპრილს ახალ ამბებში იტყობინებოდა: „სახელგანთქმული მომლერალი ლ. სობინოვი უკვე ჩამოვიდა რუსეთიდან თბილისში“.

29 აპრილს სახაზინო თეატრში წარუდგა მსმენელებს. იმავე საღამოს საპატიო სტუმარს ქალაქ-გარეთ ბანკეტი გაუმართეს. საპასუხო სიტყვაში სობინოვმა დიდი სითბოთი ილაპარაკა მუსიკის ქართველ თაყვანისმცემლებზე, მათ შალალ მუსიკალურ ერუდიციაზე და რწმენა გამოთქვა, რომ კვლავაც სიამოვნებით ჩამოვიდოდა თბილისში.

2 მაისს მომლერალი მეორედ წარუდგა მუსიკის მოყვარულთ. გაზეთმა „ზაკავკაზიკაია რეჩმა“ 2 მაისის რეცენზიაში აღნიშნა:

„ლეონიდ სობინოვი არის ვოკალური ხელოვანი, ღვთაებრივი მომლერალი... ჩვენი დიდი მომლერლის საინტერესო პროგრამას შეეძლო და ემავაყოფილებინა ყველაზე მომთხოვი მსახელის გემოვნება“.

1923-24 წლების სეზონში ლეონიდ სობინოვი საგასტროლოდ მოინვიეს თბილისში. მის პატივ-საცემად წარმოადგინეს ოპერა „დაისი“, სადაც მალხაზის პარტიას ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. გვიან დამით კი კოტე მარჯანიშვილმა მეგობარს ბანკეტი გაუმართა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ რუს მომლერალს უყვარდა ქართველი ხალხი, ქართული კულტურა, ქართული სიმღერები. მშვენივრად მდეროდა „მრავალუამიერს“ და... მეგობრების სითბოთი მოხიბლულმა ბანკეტზე „მრავალუამიერი“ შემოსახა, მერე ვანო სარაჯიშვილს მიუბრუნდა და „თავო ჩემოს“ შესრულება სთხოვა. როგორც კი ქართველმა მომლერალმა პირველი სტროფი ჩაათავა, სობინოვს აღტაცების შეძახილი აღმოხდა. რამდენიმეჯერ გაამეორებინა კიდევც. ბოლოს მეგობარს გადაეხვია და ნაღვლიანი ღიმილით თქვა:

— სიმღერის ამ ყაიდას მთელი სიცოცხლე ვეძებ. მოვხუცდი, მაგრამ ვერ დავეუფლე. არ იფიქროთ, რომ სუფრა და პურმარილი მალაპარაკებდეს. მე გეკითხებით: **რად გვიწვევთ აქ სამღერლად, როდესაც ვანო სარაჯიშვილი გყავთ?**

ლეონიდ სობინოვს მასპინძლებმა თბილისში დარჩენა შესთავაზეს. მომლერალმა კი პირიქით, ვანო სარაჯიშვილის დიდ თეატრში გადაბირება მოინდომა და ვანოს უთხრა:

— თქვენ ყველაფერი გააკეთეთ საქართველოსთვის. წამოდით ახლა ჩვენთან, გვაჩვენეთ თქვენი უბადლო ხმა, ტემპერამენტი,



მშვენივრად მოგაწყობთ.

საქართველოს ბულბულმა შორს დაიჭირა შემოთავაზებული ნინადადება.

— სამშობლოზე უკეთესი არა-ფერი მეგულება და აქვე დავრჩე-ბიო, — უთხრა კოლეგას.

სამწუხაროდ, სობინოვისა და სა-რაჯიშვილის მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვანო 1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა.

სამგლოვიარო დღეებში გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა: „სობი-ნოვმა შეძლო იტალიური „ბელ-კანტოს“ სანქისების ნაციონალი-ზება და ტექნიკური ოსტატობით რუსული სული შთაბერა. იგი არის პირველი რუსი ბელკანტისტი“.

ერთხელ, ემილ კაპელნიცეს სო-ბინოვისთვის უკითხავს: მოგწონ-დათ თუ არა სარაჯიშვილის ნადი-რის პარტიაო.

სობინოვი არც დაფიქრებულა, ისე უთქვამს:

— ვანო სარაჯიშვილს ნადირის პარტიაში ტოლი არ ჰყავდა, იგი უნიკუმი იყო.



ვანო სარაჯიშვილის გარდაცვა-ლების შემდეგ ათი წელი იცოცხ-ლა ლეონიდ სობინოვმა. 62 წლი-სა გარდაიცვალა 1934 წლის 14

ოქტომბერს მოსკოვში.

**მამია ჩარგლებიშვილი,**  
წიგნიდან „თითქოს  
აქ ვიყავ დაბადებული“

## ოპერის ძველი თეატრი

ვორონცოვის თაოსნობით 1847 წლის 15 აპ-რილს საძირკველი ჩაეყარა ოპერის თეატრის მშენებლობას, რომელიც იტალიელი არქიტექ-ტორის ჯოვანი სკუდიერის ხელმძღვანელობით ოთხი წლის მანძილზე გრძელდებოდა და 1851 წლისათვის დასრულდა. ინტერიერი მოხატა და გააფორმა რუსმა მხატვარმა გ. გაგარინმა. თე-ატრი აიგო თბილისის ცენტრალურ, მაშინდელ ერევანსკის მოედანზე (დღევანდელი თავისუფ-ლების მოედანი, ქალაქის მერიის მიმდებარე ტე-რიტორია). შენობის დაგეგმვარების თავისებუ-რება მშენებლობის პირობებით იყო ნაკარნახე-ვი. მეფის ხაზინა უარს ამბობდა დაფინანსება-ზე, ამიტომ კერძო პირს თბილისელ ვაჭარს, ვინ-მე თამამშეეს მიმართეს ნინადადებით, რომ თე-ატრის გარდა შენობის დიდ ნანილში სავაჭრო-ები მოთავსდებოდა. ამასთან, მაღაზიები მის სა-კუთრებაში რჩებოდა, ხოლო თეატრი კი ქალაქს გადაეცემოდა. იტალიური რენესანსის სტილში აგებული მონუმენტური შენობა მაშინვე გაბა-ტონდა მოედანზე.

მუსიკალური თვალსაზრისით ერთობ „ჭრე-ლი“ ქალაქური ფოლელორის პირობებში, თბი-ლისის თპერის თეატრი ქვეყნის კულტურული

ყოფის უმნიშვნელოვანეს კერად გადაიქცა. ამი-ერკავასის მასტებით პირველი ოპერის თეატ-რი, რომელიც 800 მაყურებელს იტევდა, ფასა-დით და შიდა ინტერიერით იმხანად არსებულ ევ-როპის თეატრებს შორის არქიტექტურული იე-რით გამოირჩეოდა. 1851 წლის 12 აპრილს თეა-ტრი გაიხსნა გრანდიოზული მეჯლისით, რომე-ლსაც თბილისის მაღალი საზოგადოება დაქს-რო. რამდენიმე თვეში XIX საუკუნის ერთ-ერთ პოპულარულ პარიზულ გაზეთში „ილუსტრასი-ონი“ (1851 წლის 25 ოქტომბერის ნომერი) დაი-ბეჭდა ედმონდ დე ბარესის ვრცელი სტატია თე-ატრის შიდა ხედის ორა სურათით. სტატიის ავ-ტორი წერდა: „ქალაქის ეს ერთადერთი თეატ-რი, რომლის ინტერიერი მთლიანად მავრიტანუ-ლი სტილითა გაფორმებული, უდავოდ წარმო-ადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ელეგანტურ, მოხდენილ და ნარმტაც სათეატრო ნაგებობას, რისი აღემაც ადამიანს შეუძლია.“

ძველი შენობა 1874 წლის 11 ოქტომბრის ხან-ძარმა გაანადგურდა, პრატიკულად არ გადარ-ჩა არც ერთი დეკორაცია, კოსტიუმი, თუ რეკ-ვიზიტი, ვერ მოხერხდა მდიდარი სანოტო ბიბ-ლიოთეკის გადარჩენაც.

**ალექსეი ტოლსტიო:**

# ჩვენ განსაკუთრებით გვიყვარს საქართველო და ვალის ერთობის კულტურული საგანძვის

სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული გამოჩენილი რუსი მწერალისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტიოს საქართველოსადმი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამორჩეულია. იგი ჩვენს ქვეყნას ხუთჯერ ეწყია და ამ მოგზაურობებს, ქართულ სამყაროსთან შეხვედრებს, უკვალოდ არ ჩაუვლია.

ალექსეი ტოლსტიო პირველად 1911 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა საქართველოში და მოიარა შავი ზღვის სანაპირო; იყო ბათუმში, აფხაზეთში. აქ მიღებული შთაბეჭდილებები აღნერა მოთხრობებში „ეშერა“ და „მცდარი ნაბიჯი“. მეორედ 1915 წელს გვესტურა. იმხანად გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის“ სამხედრო კორესპონდენტი იყო და კავკასიის ფრონტზე ეცნობოდა ჯარისკაცების ცხოვრებას. ამჯერად მან 20 დღე დაჰყო ჩვენთან და თბილისის მოსიყვარულებაც მოასწორო. მოგვიანებით მწერალი დაწერს: „ადრიან დილით, აივნიდან მე დავინახე ნაბლისფერი, მონითალო კრამიტით გადახურული ტფილისი, მისი აღმოსავლეთი მხარე. გამჭვირვალე ჰაერში სახლების სახურავებიდან ამოსული ბოლი მიიკვლევდა გზას. მღვრიე, მქუჩარე მტკვარზე ნელა ბრუნავდა მოცურავე წისქვილების ბორბლები... მოშორებით, აზიურ ნანილში მოჩანს რუსი მონასტრები, გუმბათები... ოთხი საათისათვის მთავარი ბულვარი საზაფხულოდ გამოწყობილი მანდილოსნებით, ოფიცირებით, ჯარისკაცებით, ჩიხაბალუხინი მამაკაცებით ივსება... ტფილისში დამით ცარიელია ქუჩები... მთან-მინდაზე, როგორც აღმასი, ბზინავს მარსი... ტფილისში დამე გავათიე და გზა გავაგრძელებათუ-

**მისაკენ, მოწინავე პოზიციებისა-კენ“.**

საქართველოში ყოფნისას მწერალზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აკაკი წერეთლის ნეშტან ქართველი ხალხის გამოთხოვებას. იგი შემთხვევით შესწრებია სამგლოვიარო პროცესიას. ალ. ტოლსტიო იგონებდა: „**მე მოვხევი აკაკი წერეთლის დაკრძალვისა. მე ვხედავდი, თუ როგორ დაოგდება ერთ-ველი ხალხი, რომელიც ეთ-ხოვებოდა საყვარელ პოეტს, რომელიც ბროლის კუბობი იცვა... მე მივხვდი, თუ რა იყო თავისი ხალხისთვის აკაკი წერეთლიც“.**

თბილისიდან წასულმა ალექსეი ტოლსტიომ თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მოიარა. იმერეთში მთელი თვე დაჰყო და, როდესაც კოლეგებს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებდა, უთხრა: „**მე დაგამიყვევა იმართმა, იძაურმა ხალხმა! მაღალი კულტურისა და დი-დი გულის ადამიანებმა. სა-ძართველო ნაგდვილი აღმოჩენაა ჩიმთვის. სიფრვები არ მყოფის ჩიმი აღთავისა და სიყვარულის გადმოსაცე-მად“.**

ბათუმში ჩასული მწერალი დაბინავებულა გონიოს ციხის ტერიტორიაზე, სადაც იმხანად რუსეთის არმია იყო დაბანაკებული.



იმდენად დიდი იყო საქართველოსთან შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებები, რომ 1916 წელს ისინი წიგნად შეკრა და „კავკასიის“ სახელით დასტამბა კიდეც.

სამშობლოში მიძრუნებული ალექსი ტოლსტიო თბილისთან კავშირს არ წყვეტს და აქაურ უურნალებს ხშირად უგზავნის თავის ნაწარმოებებს. ასე დაიბეჭდა 1921 წელს ნაწყვეტები მისი „დღიურებიდან“.

საბჭოთა საქართველოსთან შეხვედრა გამოჩენილ მწერალს ცოტათი მოუგვიანდა — 1932 წლის ზაფხულში ჩამოვიდა პირველად მეუღლესთან ერთად. იმხანად იგი კისლოვოდსკეში ისვენებდა და საქართველოს სამხედრო გზით იმგ-



ზავრა. წარუმლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ალექსეი ტოლსტოიზე ბუნებას. თბილისის შემდეგ ბათუმსაც ეწვია, იმოგზაურა ჭოროხისა და აჭარის სწყლის ხეობები და განცდილი აღწერა ნარკვეპში „აჭარის წყალი“, რომელიც 1933 წლის 1 იანვარს დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „იზვესტიაში“. ნარკვეპში გაშუქებული იყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, ჩაისა და ყურძნის ხარმოება, ეროვნული კულტურის განვითარების საკითხება... ბათუმში ყოფნისას მწერალს უბის წიგნაკეში ჩაუწერია: „ოდა-სახლები მიმოფანტულია, როგორც მერცხლის ბუდეები, ხეობებში მოედინება მდინარე აჭარის წყალი და ჭოროხი. აქ მრავლად არის ძველი ქვის ხიდები, რომლებიც მოხერხებულად გაუდვიათ მდინარეებზე“.

საბჭოთა საქართველოში მწერალი მეორედ 1934 წელს ჩამოვიდა. ამ სტუმრობამ იგი ქართველ ხალხს მტკიცედ დაამეგობრა. ამჯერად მას ფრიად სასიხარულო შეხვედრა ჰქონდა ტიციან ტაბიძესთან, რომელსაც იგი 1933 წელს გაეცნო ლენინგრადში. მართალია, ალექსეი ტოლსტოი სასტუმროში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველდღე ტ. ტაბიძის ოჯახში დადიოდა. ერთ-ერთი სტუმრობისას ტიციანის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ, არყით სავსე ვერცხლით მოვარაყებული, მინიატურული ყანნი მიართვა და უთხრა: „თბილისში გატარებულ დღეთა მოსაგონებლად შესვითო... ეს ყანნი ალექსეი ტოლსტოის მთელი სიცოცხლე არ მოუმორებია, როგორც სანუკვარი რელიქვია, სამუშაო ოთახში, ძვირფას სუვენირებს შორის, ეკიდა.



მას შემდეგ, რაც თბილისში მეგობრებთან ყოფნით გული იჯერა, ბათუმს ეწვია და მონაწილეობა მიიღო ფირდოუსისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაში. 1938 წელს იგი კვლავ თბილისშია. იმხანად კისლოვოდსკში ისვენებდა მწერალი და მეგობარს აკაკი ვასაძემ მანქანა გაუგზავნა და საქართველოს დედაქალაქში მოინვია მეუღლესთან ერთად. 7 ივლისს ჩამოვიდა მწერალი. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ალექსეი ტოლსტოი დატოვეს უყურადღებოდ და იგი თბილისში მოინვიეს. სამწუხაროდ, ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ერთხელ კიდევ მოსიყვარულებოდა ქართულ სამყაროს, „აღთქმულ ქვეყანას“. სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ,

**«ეს დაგატყვევა იმართება, იქანონია  
ხალხი! მაღალი კულტურისა და დიდი  
გულის ადამიანება. საქართველო  
ნამდვილი აღმოჩენაა ჩამთვის. სიტყვაბი  
არ მყოფის ჩამი აღტაცებისა  
და სიყვარულის გადმოსაცემად»**

20

კავშირში კოლეგებს შეხვდა და სიტყვაც წარმოთქვა. მან თქვა: „საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო, თხოვნით მიმე-მართა ქართველი კოლეგებისთვის, დამხმარებოდნენ საბჭოთა ხალხების ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს ერთი თავის დაწერაში. ამ თავში უნდა გადმომეცა ლიტერატურის განუყრელი კავშირი ფერწერასთან, მუსიკასთან, არქიტექტურასთან... მჯერა, რომ ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი თავი დაამშვენებს სახელმძღვანელოს...“ შეხვედრაზე მწერალმა ისაუბრა, აგრეთვე, ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, შემოქმედებით გეგმებზე... გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი მიმართვა საქართველოს ახალგაზრდობისადმი. 11 ივლისს კი მწერალთა სასახლეში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნას. სამწუხაროდ, 1938 წლის შემდეგ ალექსეი ტოლსტიო საქართველოში ვეღარ ჩამოვიდა. მან არაერთხელ მიიღო მიწვევა საქართველოში სტუმრობაზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჩვენთან ჩამოსვლა ვერაფრით მოახერხა. საქართველოში უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ სახელმოხვეჭილმა მწერალმა შვიდიოდე წელი იცოცხება და 63 წლისა 1945 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა მოსკოვში.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1940 წლის მოწვევის ამბავიც. იმ-



**ალექსანდრე ტოლსტიოს მუზეუმი, სადაც ინახება ჟიციდა ფაზიდის ნაჩურარი ყანი, როგორც მცენობის საცეკვარი რელიეფი**

ხანად აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავს ზეიმობდნენ და ალექსეი ტოლსტიოსაც დიდი სურვილი ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო სახალხო ზეიმში, მით უმეტეს, მას შემთხვევა მიცია, უკანასკნელ განსასვენებლამდე მიეცილებინა დიდი ქართველი მგოსანი. სამწუხაროდ, ამჯერადაც ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, თუმცა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი მისი წერილები ერთდროულად გამოქვეყნდა გაზეთებში — „იზვესტიასა“ და „ზარია ვოსტოკაში“ 1940 წლის 22 ივნისს. იგი წერდა: „**ჩვენ განსაკუთრებით გვიყვარს საქართველო**“

**და ვაჟას ეპთერთული კულტურის საგანძუროს. ისინი ჩვენს ნინები ცალმოდგნენ, როგორც უძველესი ზღაპრული განდი. ჩვენს ახალგაზრდა საპატიო მცენობის შეუძლიათ, პეტიონი რამ ისრაელი გირგების და თავდაგალი, საკუთარი თავისადგი მოხსოვოვნების დაუღალევის — აკაკი ცერიტლისაგან“.**

„ალთემულ ქვეყანასთან“ ალექსეი ტოლსტიოს სიკვდილამდე არ გაუწყვეტია კავშირი და მუდამ მისი ისტორიის, ხელოვნებისა და კულტურის თაყვანის მცემელი იყო. ამის დასტურად მოვიტანთ ერთ მაგალითს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც შალვა ნუცუბიძის მიერ მაღალ მხატვრულ დონეზე ითარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსან“ და რუსულ ენაზე დაისტამბა. მწერალი წერდა: „მე მინდა მადლობა გადავუხადო მთარგმნელს — შ. ნუცუბიძეს, რომელმაც მე, საბჭოთა მკითხველს, საშუალება მომცა, შემეგრძნო რუსთაველის სიდიადე... თარგმანმა დამარწმუნა, რომ დიადი რენესანსის განთიადზე ასე შეეძლო ემდერა მხოლოდ დიდოსტატს“. დეა სვანიძე



# რა სენსაციური ჩანარიები დაგვიტოვა აკაკი ხორავა?

ამ ვეებერთელა მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეუს უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები — ეხება ეს თეატრს თუ საზოგადო ყოფას — ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერიდან ჩანდა. XXI საუკუნის საქართველო, იქნებ, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანანერების ავტორს (ამ გადასახედიდან ხომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს), მაგრამ, ვფიქრობთ, იმ ეპოქის თუ გარემოს გაცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის. მერე რა, რომ ამ ჩანანერებში შეხვდებით მსახიობის კოლეგებს, რომლებიც მთლად მისაბაძი საქციელით არ გამოირჩევიან; იმავე დროს, შეხვდებით ლავრენტი ბერიას, საქართველოს ცკ-ის ამა თუ იმ მდივანსა თუ თანამშრომელს, რომლებიც კოლეგებისგან დაბეზღებული მოღვაწის გადარჩენაზე „ზრუნავენ“, შეხვდებით კეთილ, სტუმართმოყვარე ბელადს, რომელსაც ქართველებთან ყოფნას არაფერი ურჩევნია; აქვე სხვა დიდი მსახიობებისა თუ რეჟისორების მისამართით გამოთქმულ საყვედურსა თუ მწარე კრიტიკასაც ამოიკითხავთ, მაგრამ გვინდა, შეგახსენოთ — ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვალით დანახული ის მოვლენებია, რომლებიც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოეთში ხდებოდა, და ამ ჩანანერებს სულაც არ აქვს უდავო ჭეშმარიტების მტკიცების პრეტენზია.



(გაგრძელება. დასაცილი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №5-6)

გაჩნდნენ ხელოვნებაში მედროვენი, რომელთაც უნდოდათ, კოტეს ავტორიტეტი თავისი კარიერისათვის გამოეყენებინათ. გარს შემოხვია კოტეს მოქეიფენი, ყოველი ჯურის მოქეიფენი, ყოველი ჯურის ბოჭემის ხალხი. ყველა ცდილობდა, კოტეს დამცველად გამოსულიყო და ამით მისი გული მოეგო. გინებამ ახმეტელისა და დურუჯელებისა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. „ქართული თეატრის შეურაცხმყოფელი, ინტრიგანები, უნიჭონი, ნიჭიერ მსახიობთა მდევნელი, ავანტიურისტები“ და სხვა ამგვარი ეპითეტებით გვიმასპინძლდებოდნენ ახმეტელის მომხრებს და თვით ახმეტელს. თანდათან ისე გააღვივეს კოტეს ეჭვები სანდროს მიმართ, მანაც გული აიცრუა სანდროზე. ხანდახან ვფიქრობ, რომ კოტემ, საზოგადოდ, გული აიცრუა ქარ-

თულ თეატრში მუშაობაზე და უნდოდა, ისე გასცლოდა მას, რომ შერჩენდა სახელი ქართული თეატრის მოჭირნახულისა, რომელსაც თითქოს ახმეტელი და მისი კორპორანტები არ აძლევდნენ საშუალებას, ემუშავნა. ხომ ყველამ იცის, რომ კოტე დიდხანს ვერცერთ თეატრში ვერ ძლებდა და, თუ საქართველოში ჩამოვიდა, იმიტომ, რომ ბათუმით საზღვარგარეთ ნასულიყო.

კოტე სუსტი ნებისყოფის კაცი იყო, ხშირად მოექცეოდა ხოლმე გავლენის ქვეშ. ერთი ფაქტი: კოტემ კარგად იცოდა, რომ არსდებოდა დურუჯი, რომლის მიზანი იყო, კოტე შეენახა ქართულ თეატრში და მისი მითითებები ახალი თეატრის შექმნის შესახებ ზუსტად გაეტარებინა ცხოვრებაში. კოტე თვით ლებულობდა მონაწილეობას მანიფესტის შედგე-

ნაში და თვით ლებულობდა მონაწილეობას დურუჯის გამოსვლის ფორმის შედგენაში. ძველი ქართული თეატრის და მსახიობის წინააღმდეგ არავინ არ იყო ისე ულმობლად განწყობილი, როგორც თვითონ კოტე ხოლო, როდესაც დურუჯის გამოსვლამ თეატრში აღშფოთება გამოიწვია, იმავ ღამეს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, გაიქცა კოტე მაყაშვილთან (იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან) და ევედრება შეცვლას, „მე ვუღალატე საქართველოს, შემაცდინეს, საშინელი ამბავი ჩამადენინეს“ და სხვ. ეს ფაქტი, მე ვფიქრობ, ძალიან დამახასიათებელია კოტეს ადამიანური ბუნებისათვის. ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ახმეტელი კომუნისტებს მიეყიდა, რომ მას არაფერი აქვს საერთო ქართულ კულტურასთან. კოტეს ირგვლივ დაირაზმნენ მონაციონალისტო ელემენტები, განსა-

კუთრებით რეფისორები, ძველი მსახიობები და სანდროსა და კოტეს გათიშვას აჩქარებდნენ. რა-საკეთო გველია, ამ არეულ, მღვრიე წყალში ყველა თევზის დაჭერას ლამობდა. გაჩალდა ინტერესთა თამაში.

**ახმეტელი და ჩვენ ვგრძნობდით ამ თამაშს. არც ერთ-ხელ კოტეს ცინააღმდეგ სიტყვა ცუდი არ თქმულა, ხოლო პრაზი მოგვიღოდა იმ ხალხის მიმართ, რომელმაც კოტე, ეს დიდი ხელოვანი, გა-ხადეს თავიანთი მზაკვრული მიზნების მისაღვევ იარ-ად. სანდრო იყო პრინციპული ხელოვანი, კარგი სამეცნიერო და საამსანა კაცი. გულწრფელი და დაუდეგარი მებრძოლი ნამდვილი ახალი ქართული თეატრის შექმნისათვის — ფორმით ნაციონალურის და შინაარსით ინტერ-ნაციონალურის. გრძნობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა ქართულ თეატრს განახლების ყოველგვარი პირობები, მტკიცედ იდგა საბჭოთა პლატფორმაზე. ვიმეორებ: იმსანად საშას კოტეს ნინააღმდეგ ძვირ სიტყვას ვერ ათქმევინებდი და ყოველთვის ცდილობდა, როგორმე თვალი აეხლო მისთვის ამ ადამიანებზე, რომლებიც კოტეს, როგორც უსულო ტიკინას, ათამაშებდნენ.**

საინტერესოა ასეთი ფაქტიც: სანდროს მონინააღმდეგენი საზოგადოებაში ავრცელებდნენ ხმას, რომ ახმეტელი და მისი ამ-ხანაგები კომუნისტებს მიეყიდნენ, ხოლო პარტიულ საზოგადოებრიობაში სანდროს ეძახდნენ ფაშისტს. „მარჯანისტები“ ავრცელებდნენ ხალხში ხმას, თითქოს ახმეტელმა, ხორავამ და ვა-საძემ გააძევეს მარჯანისტვილი თეატრიდან. საშინელი პროვოკაციაა. თითქოს ჩვენ განცხადება განცხადებაზე შეგვერდნა ცეკვაში, რომ მარჯანისტვილი მოეკიდება, ახმეტელი და მისი ამონი მოეკიდება. ამ უსირცხვილო გადატრიუმვილ გველის დანარჩენი და არჩენი თეატრში. დ. ანთაძე გამძაფრებულ მუშაობას ენეოდა ახალგაზრდებში, რომ ახმეტელებინა ისინი ახმეტელის ნინააღმდეგ. რა-კი მთავრობამ თეატრი ახმეტელს ჩააბარა, დაიწყო მარჯანისტების ბრძოლა ახალი თეატრის შექმნისათვის ქუთაისში. დაიწყო უსირცხვილო გადატრიუმვილ მასახიობებისა. ამ საქმეში დიდი ღვანლი მიუძღვის დ. ანთაძეს, რომელიც ცდილობდა, ახალ თეატრში ახმეტელის ადგილი დაეკავებინა.

კოტე მოაშორეს რუსთაველის

თეატრს ანჯაფარიძემ და მისმა წერემ. „ზესტაფონელებიც“ გადავიდნენ ანჯაფარიძეს მხარეზე, განსაკუთრებით დ. ანთაძე, რომელსაც სურდა ახმეტელის ადგილის დაკავება.

არწმუნებდნენ კოტეს, დაენებებინა თავი თეატრისათვის და უწინასნარმეტყველებდნენ, რომ ერთ წელიწადში თეატრში დარჩენილი ახმეტელი და მისი ჯგუფი მხატვრულად უთუოდ დამარცხდებოდა, რის შემდეგ მარჯანიშვილი და მისი მომხრები „გამარჯვებულები“ დაბრუნდებოდნენ თეატრში.

კოტე წავიდა თეატრიდან და შეუდგა კინოსურათის გადაღებას. ფიქრობდა — ერთი წელიწადი სურათზე წავიმუშავებ და შემდეგ, როდესაც ახმეტელს გააგდებენ თეატრიდან — დავბრუნდებიო.

საშა ახმეტელი ბევრს ეცადა, დაებრუნებინა კოტე თეატრში. თვითონაც წავიდა კოტესთან მოსალაპარაკებლად. ყველანაირ დათმობაზე მიდიოდა, ოღონდ კოტე თეატრისათვის შეენახა. თითქოს შეთანხმებაც მოხდა, მაგრამ კოტეს გარს ეხვია, ასე ვთქვათ, „მარჯანისტები“, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შეთანხმება არ მომხდარიყო. კოტეს მოადგილედ კინოში იყო კინორეჟისორი შაქრი ბერიძვილი, რომელსაც სხვებთან ერთად მიუძღვის დიდი წელი ხალხში სათაო განვითარებული ხალხში და ყოველგვარი პირობების შექმნის შესახებ. იმათ მხოლოდ თავისი კარიერა აინტერესებდათ და არა ქართული თეატრის მომავალი. ვხედავდი, რომ ისინი იყვნენ ყოველგვარ პრინციპულობას მოკლებული ხალხი და ყოველი მათგანი ელოდა დაპირებულ როლს (კოტე ყველას სათითაოდ დაპირდა ამა თუ იმ როლს). ძველმა რეჟისორებმა, იმ იმედით, რომ კოტე თავის მარჯვენა ხელად ახალ თეატრში მათ გახდიდა, საშინელი დანძლვა-გინება გააჩალეს რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ. ანჯაფარიძეს ქუთაისის თეატრშიც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — კოტემ მთავარ რეჟისორად მიიწვია კ. ანდრონიკაშვილი. ჭიაურელი ისევ გარეთ დარჩა. მე არ ვიცი, ახმეტელთან რატომ დარჩა ზოგიერთი მსახიობი. ვფიქრობ, რომ ზოგი მათგანი წინასწარ გრძნობდა, რომ კოტესთან „ზესტაფონელები“ მათ არ გაახარებდნენ და არჩიეს, ახმეტელს ამოდგომობნენ გვერდით. **ნამდვილად ვიცი, ცულუკიდა იმითომ დარჩა სანდროსთან, რომ თეატრში პრემიერას ადგილი დაეკავებინა — გარჯანიშვილთან, სადაც 3. ანჯაფარიძე იცო, მისი კარიერა უთუოდ განცირული იყო.**

თეატრში დაბრუნება. რასაკვირველია, კოტე არ გამოუშვეს და წარმოდგენა უკოტეოდ წავიდა. საშა ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ კოტე დიდხანს ვერ გაძლებდა გარსშემორტყმულ წრეში, გაიგებდა მათ მზაკვრობას და დაბრუნდებოდა ისევ თეატრში. გაიხსნა ქუთაისის თეატრი. თეატრიდან წავიდნენ უშანები, მრავალი მსახიობი და, მათ შორის, ახალგაზრდებიც.

დამახასიათებელია ერთი ფაქტი, თუ რა აინტერესებდათ წასულ მსახიობებს, როდესაც კოტესთან მიდიოდნენ. ეს ფაქტი დიდად მეტყველებს კოტეს ირგვლივ მყოფი მსახიობების მიზნებზე.

**არ მომწონდა „მარჯანისტების“ საქციელი. ვხედავდი და ვგრძნობდი მათ ზრავებს, მათ ფლიდურ განცხადებებს ახალი ქართული თეატრის შექმნის შესახებ. იმათ მხოლოდ თავისი კარიერა აინტერესებდათ და არა ქართული თეატრის მომავალი. ვხედავდი, რომ ისინი იყვნენ ყოველგვარ პრინციპულობას მოკლებული ხალხი და ყოველი მათგანი ელოდა დაპირებულ როლს (კოტე ყველას სათითაოდ დაპირდა ამა თუ იმ როლს). ძველმა რეჟისორებმა, იმ იმედით, რომ კოტე თავის მარჯვენა ხელად ახალ თეატრში მათ გახდიდა, საშინელი დანძლვა-გინება გააჩალეს რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ. ანჯაფარიძეს ქუთაისის თეატრშიც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — კოტემ მთავარ რეჟისორად მიიწვია კ. ანდრონიკაშვილი. ჭიაურელი ისევ გარეთ დარჩა. მე არ ვიცი, ახმეტელთან რატომ დარჩა ზოგიერთი მსახიობი. ვფიქრობ, რომ ზოგი მათგანი წინასწარ გრძნობდა, რომ კოტესთან „ზესტაფონელები“ მათ არ გაახარებდნენ და არჩიეს, ახმეტელს ამოდგომობნენ გვერდით.**

**ნამდვილად ვიცი, ცულუკიდა იმითომ დარჩა სანდროსთან, რომ თეატრში პრემიერას ადგილი დაეკავებინა — გარჯანიშვილთან, სადაც 3. ანჯაფარიძე იცო, მისი კარიერა უთუოდ განცირული იყო.**



ვხედავდი, თუ როგორ დევნიდა საზოგადოება ახმეტელს. მესმოდა მისი უმართებულო გინება, ლანდღვა, ვგრძნობდი, რომ სანდრო ნამდვილად ებრძოდა ყოველგვარ ინტრიგანებს, იბრძოდა ახალი იდეური საბჭოთა მსახიობის შექმნისათვის, რომ მტკიცედ იცავდა თეატრში კოლეგიალობას, იყო კოლექტივში დევიზის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — განუხრელად გამტარებელი, ყოველ საქმიანობაში მაგალითის პირველი მიმცემი. მე ეს ძალზე მომწონდა და ერთგულად ამოვუდექი გვერდით და ვიბრძოდი მასთან ერთად რუსთაველის თეატრის მომავლისათვის.

ჩვენ მხარეზე იყვნენ მრავალნი პარტიულ მუშაკებიდან, მწერლებიდან, ახალგაზრდობიდან. ჩვენ კარგად ვიკოდით, რომ მხოლოდ დაუღალავი შრომით, კარგი წარმოდგენებით შეგვეძლო საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვება; ახმეტელმა აკრძალა მარჯანიშვილის თეატრზე ყოველგვარი ლაპარაკი. ძალიან გაჯავრდებოდა ხოლმე, როდესაც ვინმე ცუდად ახსენებდა კოტეს ან მის მსახიობებს.

დაიდგა „ანზორი“, „რლვევა“, „ყაჩალები“, „თეოტულდი“ და სხვა პიესები, რომელთაც საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურეს. 30-33 წლებში მოსკოვში გამართულმა გასტროლებმა დიდი სახელი გაუთქვა თვით ახმეტელს და რუსთაველის თეატრს. ქართველმა საზოგადოებრიობამ პირი იბრუნა რუსთაველის თეატრისაკენ. ნამდვილი პატრიოტები გახარებულნი იყვნენ, რომ ქართველ ერს ჰყავდა ორი შესანიშნავი თეატრი. რაც უფრო დიდ სახელს იხვეჭდა რუსთაველის თეატრი, მით უფრო გაცოფებული იბრძოდნენ ჩვენ წინააღმდეგ. მიდიოდა წლებიდა „მარჯანიშვილისტებს“ არავინ ეპატიუებოდა რუსთაველის თეატრში.

მარჯანიშვილის თეატრი გადმოიყვანეს თბილისში. ახლა ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. იმედ-გაცრუებული „მარჯანიშვილისტები“ რა ხერხებს, რა პროვოკაცი-

ებს, რა დემაგოგიას არ მიმართავდნენ, რათა გაეშავებინათ ჩვენი თავი საზოგადოების წინაშე და ამ საქმეს სათავეში ედგა დიდი დემაგოგი, პროვოკატორობის მომწყობი, უნიჭო რეჟისორი და პატივმოყვარე ინტრიგანი დოდო ანთა-ძე (მაგაზე სხვა ადგილას).

ჩვენი თეატრი კი განაგრძობდა მუშაობას. თეატრში შეიქმნა მაგარი და ნიჭიერი ბირთვი რეჟისორისა, მხატვრებისა, მუსიკოსებისა, თეატრში მუშაობდნენ შ. ალსაბაძე, კ. პატარიძე, ი. ტალია, ირ. გამრეელი, ახალგაზრდა დიმიტრი თავაძე, ვ. გოკიელი, გ. კილაძე, მსახიობები გ. დავითაშვილი, ა. ვა-საძე. წამოიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები: ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ლალიძე და მრავალი სხვანი. მძიმე მატერიალურ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ იმდენად გვიტაცებდა შემოქმედებითი საკითხები, რომ თეატრში დღე და ღამეს ვატარებდით. ახმეტელმა შეიქმნა მეგობრული, ამხანაგური ატმოსფერო კოლექტივში და ჩვენ ყველას თეატრი საკუთარ ოჯახად მიგვაჩნდა.

შეკრული იყო არამარტო შემოქმედებითი პერსონალი, არამედ მთელი ტექნიკური პერსონალი. ბევრ მსახიობს სურდა ჩვენს დასში მოხვედრა, მაგრამ სანდრო არ ღებულობდა ინტრიგანებს, უნიჭობებს და ცერბერივით ედგა დარაჯვად კოლექტივის ერთსულოვნებასა და მთლიანობას.

იქ კი, მარჯანიშვილის თეატრში, თავი იჩინა უზნეობამ, გარყვნილობამ. სიმართლე უნდა ითქვას, დ. ანთაძე ებრძოდა ამ უმსგავსობას, მაგრამ ვერას გახდა. კოტეგულგრილად ეკიდებოდა თეატრის ეთიკურსა და მორალურ მხარეს. კარიერისათვის რას არ სჩადიოდნენ. თვითონ წამყვან მსახიობებში დაირღვა ერთსულოვნება, წარმოიდგინეთ — ზესტაფონელებს შორისაც კი. გამოვყოფ თ. ჩხეიძეს, რომელიც წუხდა კოლექტივში შექმნილი მდგომარეობის გამო. არაერთხელ მე და ჩხეიძე ღამით გავსულვართ ქალაქერეთ, დავმსხდარვართ რომელიმე რესტორანში და საათობით გვიმ-

სჯელია, როგორ გვეშველა არეულ-დარეული საქმისათვის.

თუ თეატრში ყველა თავისი ანგარიშით მოდის, თუ თეატრის კოლექტივის დამაკავშირებელია ყოველი მსახიობისადმი დაპირებები და ყველა ელის ხელმძღვანელობის მიერ დანაპირების განაღდებას — იქ კოლექტივი არ არის, არც რაიმე იდეურობას უნდა ვეძებდეთ — ასეთი კოლექტივი ვერ შექმნის თეატრს. ვითომდა საქმის გამოსწორების მიზნით, წამყვანი მსახიობები აშკარად ერეოდნენ კოტეს ფუნქციებში, შეიქმნა მრავალი დაჯგუფება. ყველა იმ ჯგუფს აერთიანებდა მხოლოდ რუსთაველის თეატრისადმი სიძულვილი, სხვა საკითხში ერთმანეთს ჭამდნენ. ბევრი იყო შემთხვევა, რომ მარჯანიშვილის კოლექტივიდან მოსულან მსახიობები სანდროსთან და უთხვით უკან დაბრუნება. ქეიფობა, ლოთობა, ბოჰემური ცხოვრება, ზოგიერთის გარყვნილობა ედო სარჩულად იმათი კოლექტივის ზნეობრივ მხარეს. კოლექტივი ისე დაიმალა, რომ დაიწყეს კოტეს კრიტიკა და დამუშავება. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის ვ. ანჯაფარიძეს და შეძეგ დ. ანთაძეს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ დელეგაცია ანჯაფარიძის მეთაურობით ხშირად დადიოდა ცეკაში თხოვნით, მოეშორებინათ კოტე თეატრიდან. აბრალებდნენ გარყვნილობას, საქმის ცუდ გაძლოლას, თეატრში გარყვნილი ქალების ყოლას და სხვა ასეთი. ხაშურში საზაფხულოდ ყოფნის დროს ვ. ანჯაფარიძემ ააჯანყა თეატრის ახალგაზრდობა და ავადმყოფ კოტეს, თითქმის სასამართლო გაუმართეს. ახალგაზრდობამ ანჯაფარიძისთან ერთად დატოვა თეატრი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ანჯაფარიძე დაბრუნდა თეატრში და ახალგაზრდობა კი გარეთ დარჩა.

კოტეს გული აუცრუვდა თავის თეატრზე და აიღო მოსკოვის თეატრებში დადგმები.

ერთხელ მოსკოვში ყოფნის დროს ხელოვნების სამმართველოს უფროსთან შ. დუდუჩჩავასთან



მივიღნენ ანჯაფარიძე, ლამბაშიძე, ანთაძე, თუ არ ვცდები — უჩხეიძეც, და გადასცეს ხელმოწერილი განცხადება, სადაც მოითხოვდნენ „გამოჩერჩეტებული მოხუცის“ მოშორებას (ეს გაგონილი მაქვს თეატრალური მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილისგან). დუდუჩჩავამ უპასუხადელეგაციას, რომ ასეთი დიდი საქმე მის კომპეტენციაში არ შედიოდა, დაპირდა, ეცნობებინა ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის. შემთხვევით იქ მყოფ ბუხნიკაშვილს განცხადების ასლი გადაუღია და ეს ასლი დღესაც, თურმე, მის არქივში ინახება.

მოსკოვიდან დაბრუნებულ კოტეს ხელოვნების სამართველოში შეუვდია. დუდუჩჩავას გადაუცია კოტესათვის დელეგაციის მოთხოვნა მისი თეატრიდან მოშორების შესახებ. მოხუცს გული წავლია და იატაკზე დავარდნილა.

მალე კოტე ისევ მოსკოვს გაემგზავრა. იქიდან გამოუგზავნა ნერილი ახმეტელს. გავიდა ცოტა დრო და მოვიდა ცნობა კოტეს უცარი გარდაცვალების შესახებ. „კოტეს მონაფეხბმა“ სასწრაფოდ დაიბრუნეს განცხადება. და მის შემდევ ნიანგის ცრემლებით დასტირიან კოტეს სახელს. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. თავიანთ მასნავლებელს ჯერ სისხლი გაუშრეს და შემდეგ სიცოცხლეც მოუსწრაფეს, დღეს კი დადიან და კოტეს სახელით ვაჭრობენ, საფლავშიაც არ ასვენებენ მოხუცს. წარმოუდგენელია ასეთი პირმოთნეობა და ორგულობა. დღეს სჭირდებათ კოტეს სახელი ქართულ თეატრში თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად და კვლავ განაგრძობენ რუსთაველის თეატრის გინებას.

არ ასვენებენ ახმეტელსა და მის მომხრეებსაც, ალბათ, ეშინიათ — ვაითუ, სიყალე კოტესადმი სიყვარულისა გამოაშკარავდეს და დღეს პირზე საკოცნელი სახე ხვალ ჩასაფურთხებელი გახდეს. ამ ხალხს ავიწყდება, რომ ამქვეყნად და ისიც საბჭოთა პირობებში, არაფერი დაიმალება და სიმართლე საშკარაოზე გამოვა.

„მარჯანისტების“ ვექილები გაიძახიან — „კოტე რუსთაველის თეატრმა მიიყვანა სიკვდილამდე. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს კოტეს ცრემლებს, როდესაც ქუთასში მიდიოდა“.

რა უსინდისობაა და პროვოკაცია. მომდევნო თაობა მისწვდება სიმართლეს და სააკშარაოზე გამოიტანს, თუ რა ტრაგედია დაატრიალეს კოტეს თავზე მისმა გამოზრდილმა „მოწილეებმა“.

კოტეს გარდაცვალების ამბავმა თავზარი დასცა რუსთაველის თეატრის კოლექტივს და, განსაკუთრებით, სანდროს. მან მოიწვია კრება და აცნობა დასს ეს შემზარავი. სანდრო ლაპარაკს ვერ ახერხდა — ცრემლები ახრჩობდა. რასაკვირველია, ჩვენი აღშფოთება მიმართული იყო იმ ხალხისკენ, ვინც კოტე სიკვდილის პირამდე მიიყვანა. ვაცხადებ კატეგორიულად — პირველები, რომლებმაც დაურჩიეს სანდროს ხმა, რომ ის ნაციონალისტია, ფაშისტია, საბჭოთა ხელისუფლების მტერია და სხვა ამდაგვარი, იყვნენ „მარჯანიშვილისტები“, რომლებიც მისი და რუსთაველის თეატრის მუშაკების წინააღმდეგ პოლიტიკურ პროვოკაციებსაც კი არ ერიდებოდნენ.

არ შეიძლება, ადამიანი ფაშისტი იყო და ამავე დროს, უაღრესად რევოლუციონერულ წარმოდგენებს დაგამდე, წარმოდგენებს, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრიბის და პრესის მიერ აღიარებული იყო, როგორც დიდი მიღწევა პარტიის ეროვნული პოლიტიკისა და, მეორეც, გამოსახულება გამარჯვებული მუშისა და გლეხის რევოლუციური სულისკვეთებისა. და, აკი, ამიტომაც რუსთაველის თეატრმა ჩვენი კავშირის ხალხთა თეატრალურ ილიმპიადაზე პირველი ხარისხის პრემია მიიღო და დაისცა საკითხი თეატრის უცხოეთში გაგზავნის შესახებ. გულს შემოყრილ „მარჯანიშვილისტებს“ რომ როგორმე დაემცირებინათ რუსთაველის თეატრის გამარჯვებები, ხმას არხევდნენ, რომ საქებარ რეცენზიებს თითქოს ახმეტელი აწერი-

**ნებდა.** რა უკაბილო და უსუსური ბრალდებაა — განა შეიძლებოდა, რომ პარტიული და საბჭოთა პრესა მოესყიდა ახმეტელს, განა შეიძლებოდა, ლუნაჩარს კის, თ. კონის, ბესკინის, კრუტის, ვოლკოვის და ასეთ მოღვაწეთა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის თეატრების მოსყიდვა, რომ მათ ეთქვათ, რუსთაველის თეატრისაგან შეიძლება ბევრი ვისწავლოთო? როგორ შეიძლებოდა უცხოელ კრიტიკოსთა მოსყიდვა, რომლებიც აღფრთოვანებულ წერილებს უძღვნიდნენ ჩვენს წარმოდგენებს?! როგორ შეიძლებოდა ყოველ საღამოს მაყურებლებით სავსე დარბაზის მოსყიდვა, რომლებიც აღნახულ კრიტიკოსთა მოსყიდვა, უმართავდნენ კოლექტივს და, ვერ იკავებდნენ რა თავს, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, ავარდებოდნენ ხოლმე პარტერიდან სცენაზე?

**ა6 როგორ უნდა მოესყიდა ვინე ახმეტელს, იმხანად რუსთავი არავისთვის ცნობილ რეზისორს, რომალიც ჩვენსავით ნახევრად მშირ ცხოვრებას ატარებდა?**

მარგარ, მაშინ, საქართველოში ინტერიგაციას, შურით გამოვიდა და ვარდა გამოვიდა კარის სანაზარებელი მშირ ცხოვრებას ატარებდა. მაგრამ, მაშინ, საქართველოში ინტერიგაციას, შურით გამოვიდა და ვარდა გამოვიდა კარის სანაზარებელი მშირ ცხოვრებას ატარებდა. მაგრამ, მაშინ, საქართველოში ინტერიგაციას, შურით გამოვიდა და ვარდა გამოვიდა კარის სანაზარებელი მშირ ცხოვრებას ატარებდა.

ახმეტელის შემოქმედებაზე ცალკე მექნება ლაპარაკი.

\*\*\*

მე ჩასიძებული ვიყავი ჩემი მეუღლების მშობლების ოჯახში. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. მე და ჩემს მეუღლებს ცალკე ოთახი გვქონდა. მესხიშვილების ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ვცხოვრობდით ერთ ოჯახად, ტკბილად, შეხმატებილებულად. არასოდეს მიფიქრია, ცალკე ბინაში გადავსულიყავი.

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ვასა-



ედა მითხრა: არც შენა გაქვს ბინა, არც მე. მოდი, ვთხოვოთ ბერიას, ახალ სახლების მოგვცეს ბინები. თვითონ ცხოვრობდა მაშინ-დელ ვოზნესენს კის ქუჩაზე კარგა მოზრდილ ორ ოთახში. მე ვუთხარი, რა მინდა-მეტე და უარზე დავდექი. მან იმდენი მიჩინინა რამ-დენიმე დღეს, რომ, მაინცადამა-ინც სიხარულით არ მოვკიდებულ-ვარ ბინის საქმეს, მაგრამ განცხა-დებები მაინც დავწერეთ; მითხრა, რომ მოაწყობდა ბერიასთან ამ სა-კითხზე ჩვენს შეხვედრას.

ერთ დღეს გამაფრთხილა, ამ და ამ დროს გველოდებაო და ჩვენც წავედით. ბერიას კაბინეტის უკან ჰქონდა კიდევ პატარა ოთახი — იქ მიგვიღო. აკაკი ესაუბრა ჩვენი უბინაობის შესახებ. ბერიაც დაგ-ვპირდა. შემდეგ შეგვეკითხა, რო-გორ არის თეატრში მდგომარეობა, რატომ არ ვინცებთ მუშაობას და სხვ.

წინასწარ უნდა ვთქვა, რომ დე-კადის შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი თეატრის საფრანგეთში და ამერიკაში საგასტროლოდ გამგ-ზავრების შესახებ. რასაკვირვე-ლია, კოლექტივი გახარებული იყო. ნახევარი სეზონი არა გაგვი-კეთებია რა. დასი არ მუშაობდა გასტროლების მოლოდინში. ახმე-ტელიც გვარნმუნებდა, რომ დღეს-ხვალ მივიღებდით გამგ-ზავრების ნებართვას. სეზონი არ გაგვიხსნია.

რამდენიმე თვე უსაქმურად ვხე-ტიალობდით. ხალხი და ხელმძღვანელობა გვსაყვედურობდა უმ-ოქმედობაზე. უმოქმედობის გამო კოლექტივი დიდ მატერიალურ სიძნელებს განიცდიდა, თითქმის ვშიმშილობდით. დასში აქა-იქ გა-ისმოდა უკმაყოფილება უსაქმუ-რად ხეტიალისა გამო და თითქმის ყველას გვსურდა, სეზონი დაგ-ვეწყო, გვემუშავნა და, თუ გასტ-როლების ნებართვას მივიღებ-დით, მაშინ, დაგვეწყო მისთვის მომზადება. რაკი სეზონს არ ვხსნიდით, მოგვცეს წინადადება, შეგვედგინა მხატვრული ბრიგადა და გაგვენია მომსახურება კახე-თის რაიონებისათვის. შედგა ბრი-გადა და გავემგზავრეთ გურჯაა-

ნის რაიონში. იქ გვეგულებოდა ერთი ჩვენი თეატრის მეგობარი გრიშა ალავიძე, რომელიც დაგვ-პირდა ჩვენი კონცერტების ხელის შეწყობას. მართალი რომ ვთქვათ, ქალაქში შიმშილმა შეგვაწუხა და ნავედით სოფლად, რომ ცოტა მა-ინც მოვსულიერებულიყავით და ჩამოგვეტანა ცოტა რამ სურსა-თიდან, მაგრამ მაშინ მძიმე წლე-ბი იყო და სოფელსაც უჭირდა, ასე რომ, ჩვენმა მოგზაურობამ იმე-დები არ გავიმართლა. ლვინო და ჯონჯოლი — ეს იყო ჩვენი სუფ-რა: ყველს თუ ვიშვიდით სადი-ლად, ეს ხომ ბედნიერება იყო.

მე იმხანად არ ვიცოდი, თუ ბე-რიასა და ახმეტელს შორის შავმა კატამ გაირბინა.

მე ვუთხარი ბერიას ჩვენი კო-ლექტივის მდგომარეობა, გადა-ვეცი კოლექტივის სურვილი სე-ზონის გახსნისა და ვთხოვე, რომ მოეხდინა გავლენა ახმეტელზე და სეზონი გაგვეხსნა.

რასაკვირველია, უცხოეთში არ გაგვიშვეს და ბერიას ნათქვამიც გამართლდა.

სშირად მაგონდებოდა წულუკი-ძის სიტყვები, ახმეტელისადმი თქმული: „საშა, შენ აქ არ გაფასე-ბენ სათანადოდ, ამერიკაში უნდა გაემგზავრო, იქ დადგა სპექტაკ-ლები, იქ შენს ტალანტს დააფასე-ბენ და გახდები მსოფლიოში ცნო-ბილი. აქ კი დაიღუპები“.

ამგვარ აზრებს უჩინინებდა წუ-ლუკიძე ახმეტელს. წულუკიძეს ჩვენ ვძულდით კიდევ იმიტომ, რომ, როდესაც გავიგეთ, რომ სან-დრო აპირებს, წაართვას წულუ-კიძე ს. ამაღლობელს, ვისი ცო-ლიც იყო, და მასზე ჯვარი დაიწე-როს, კოლექტივის უფროსმა ამ-ხანაგებმა, ყოფილმა კორპორან-ტებმა კატეგორიულად მოვთხო-ვეთ საშას, თავი დაენებებინა წუ-ლუკიძისათვის. ვაფრთხილებ-დით, რომ წულუკიძე, თავისი უზ-ნეო ხასიათითა და კარიერის სტუ-ლის სულისკვეთებით ეცდება, სა-შა ნააჩხუბოს მის ამხანაგებს და ამით დაანგრიოს კოლექტივი. სა-შას გული წაუვიდა, რომ მოსული-ერდა, გვითხრა: ამხანაგებო, წუ-თუ მე ისეთად მიცნობთ, რომ

ქალზე გაგცვალოთო. რა გვეთქ-მოდა. „მაჩუქეთ მე ეს ქალი“, — თქვა საშამ და ჩვენც „ვაჩუქეთ“. დავიჯერეთ მისი სიტყვები. წუ-ლუკიძემ ეს იცოდა და, რასაკვირ-ველია, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ყოფილ კორპო-რანტებს, განსაკუთრებით, ჩემსა და საშას, შორის არსებული მე-გობრობა ჩაეფუშა.

**წულუკიძე ვერ ითანდა, რო-დესაც რეცენზიები ჩემი და ვასაძის შეფასება მაღალი იყო, ვინამ მისი. ცდილობდა, დემაგოგების და პროცე-ტორების მეშვეობით დაეშა-ლა დასი. გადაგვიდებოდა ახალგაზრდობა. ეს შეძლო კიდეც. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნაცილი ახალ-გაზრდობისა — ეს. ლორთ-ძილანდის, ი. აბაშიძე, ვ. ლა-ლიძე, ი. ჩანთარისა, გ. გავიშ-ვილი, რ. ბერიძე და სხვანი. არც უნდა მათ, რომ საშას უნდა ჩვენი მომორება და მთელი გულისყრი ახალ-გაზრდობაზე უნდა გადაითა-ნოს და სხვა ამგვარი.**

რამდენად მართალია პარტია, როდესაც მსახიობისაგან მო-ითხოვს არამარტო ოსტატობას, არამედ მტკიცე იდეურობას, მო-ქალაქებრიობას. არამაზროვ-ნე, უპრინციპო შემოქმედს ადვი-ლად შეიძლება, გაუღვივო ყველა ეს უარყოფითი თვისება, რომე-ლიც, სამწუხაროდ, როგორც ძვე-ლის გადმონაშობები, ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენს პროფესიას.

**წულუკიძეს ანჯაფარიძის სა-ხელი მოსვენებას არ აძლევდა.** თუ ანჯაფარიძე მარჯანიშვილის თეატრში პრემიერშად ითვლებო-და, წულუკიძეს რუსთაველის თეატრში უნდოდა, თავის მი-მართ დაემკვიდრებია იგივე. ზი-ნაიდა რაიხის მაგვარად, რომელ-საც ხელში ჰყავდა ჩაჭერილი მე-იეროლდი, სურდა, ახმეტელი ხელში ჩაეგდო და რუსთაველის თეატრი თავის თეატრად გაეხა-და. კატეგორიულად ვაცხადებ: რომ არა წულუკიძე, ახმეტელს ბევრი უბედურებანი, რაც მას თავს დაატყდა, ასცდებოდა და,



## შეიძლება, არც დალუპულიყო.

წულუკიძე აქეზებდა ახმეტელს, არ დაეგდო ყური ცეკასათვის და დამოუკიდებლად ემოქმედა თეატრში. ერთხელ ბერია ცენტრალური კომიტეტის აივანზე სეირნობდა, ახმეტელი რამდენიმე თავის ამხანაგთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. რა დაინახა ბერია, თავის ამხანაგებს უთხრა ბერიას გასაგონად — „მაიცათ, მე ამ მეგრელს მალე ვაჩვენებ სეირს“. სახდროს ამგვარი „გმირობის“ შესახებ წულუკიძე დასში ამბობდა. ბევრი აღფრთვისანებული იყო სანდროთი — „რა უშიშარი და ვაჟუაცი კაცია. ბერიასიც კი არ ეშინია“. მე ბევრჯერ მითქვამს სანდროსთვის, დაენებებინა ასეთი დემონსტრაციებისათვის თავი, მაგრამ ის გაიძახდა, მე მაგისი არ მეშინიაო. ვატყობდი, რომ საშა თანდათან გვცილდებოდა, ჩემი სიყვარული და პატივისცემა მისდამი არ შენებულებულა, თუმცა, მრავალი ეჭვი ტრიალებდა ჩემს გულში...

როდესაც ერთხელ საშას ვუთხარი, წულუკიძე (უკვე ცოლი იყო მისი) ანგრევს კოლექტივს და ყურადღება მიაქციე-მეთქი, გამიჯავრდა და მითხრა, — არაფერსაც არ ანგრევს და მე უკეთ ვიცი, რასაც აკეთებსო.

დასში ახმეტელის გმირობის და ვაჟუაცობის კულტი იყო გამეფებული, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში, და ამ კულტის განსახიერება იყო თვით ახმეტელი, ამ კულტის გამაღვივებელი იყვნენ თამარ წულუკიძე და ის ახალგაზრდობა. უნდა ვთქვა, ამ კულტის შექმნაში თვითონ ახმეტელს მოკრძალებით ეჭირა თავი, მაგრამ, რასაკვირველია, უხაროდა ეს ამბავი. ჩვენ, ძველი კორპორანტები, ვგრძნობდით, რომ მას, როგორც გვჩვენებდა ხოლმე, ჩვენგან პირში თქმა მისი ნაკლის შესახებ სწყინდა და ვერიდებოდით მასთან კონფლიქტს, წულუკიძე კი თავის საქმეს აკეთებდა. ბერიასთან ჩვენმა ყოფნამ (ბინების შესახებ) საშინელი გაბრაზება გამოიწვია საშასი, წულუკიძესი და ნაწილ დასშიც. საზოგადოდ, საშას არ უყვარდა; რომ დასის წევრს რაიმე საქმიანი

დამოკიდებულება ჰქონოდა თეატრის გარეშე პირებთან, ან რაიმე ეზრუნა ვინმეს თავისი პირადი საქმისათვის მის გარეშე. ჩვენი საქციელი ბერიასთან ბინის საკითხზე ყოფნის შესახებ შეფასებული იყო წულუკიძის და სხვათა მიერ, როგორც ახმეტელის უგულებელყოფა და ღალატი მისდამი და საშას ჩვენით უკმაყოფილება უფრო გაიზარდა. უნდა ვთქვა, რომ მე არავისთან დამიმალავს, რომ ვიყავი ბერიასთან. ან რა იყო აქ დასამალი. მე ისევ ვიყავი მისი მეგობარი და დამოკიდებულება მისდამი არ შემცვლია. დარწმუნებული ვიყავი, რომ საშა გონს მოვიდოდა, გაიფანტებოდა ის თავბრუდამხვევი ალერსი და სიყვარული, რაც წულუკიძემ, ახალგაზრდა ქალმა, თავს მოახვია უკვე ნელ დამოართს მყოფ სანდროს და თეატრს დაგვიბრუნდებოდა ის საშა, რომელიც ყველას გვიყვარდა და რომლის დიდ ნიჭს ყველა ვაფასებდით. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა და წულუკიძემ გვაჯობა.

რასაკვირველია, წულუკიძის სიძულვილი ჩემდამი უფრო გაძლიერდა და ამით გაიზარდა მისი ზეგავლენა საშაზე. როდესაც თეატრის 10 წლისთავის იუბილე გაიმართა, მთავრობამ ახმეტელს, ვასაძეს და მე მოგვანიჭა სახალხო არტისტის წოდებები, ხოლო წულუკიძეს დამსახურებული მსახიობისა. ამ ფაქტმა მოთმინებიდან გამოიყვანა წულუკიძე. მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როგორც მსახიობმა, და არ გამოთქვამდა რა აშკარად თავის უკმაყოფილებას, ახმეტელს უმტკიცებდა, რომ ერთნაირი წოდების ჩვენთან ერთად მიღება არის საშას შეუფასებლობა, უგულებელყოფა და სხვა ამგვარი. რასაკვირველია, სანდრო ადამიანი იყო და ამგვარი ჩანვეთებები მასზე მოქმედებდა. საშამ დაკარგა უნარი, კრიტიკულად შეფასებინა ყოველივე, რასაც ეუბნებოდნენ, და სავსებით მოექცა წულუკიძის გავლენის ქვეშ.

რასაკვირველია, გამოჩნდნენ თეატრში პოდხალიმები, ისეთები, როგორებიც იყვნენ კორიშვილი,

მისი მეუღლე, დები ღვინიაშვილები და სხვები, რომლებიც თითქოს „თავგამოდებით“ იცავდნენ საშას ავტორიტეტს და პიროვნებას ნამდვილად არარსებული მტრებისაგან ჩვენის სახით (ვიგულისხმები, მე, ვასაძე, პატარიძე, ტუსკია, ალსაბაძე, გამრეკელი და სხვები).

თეატრში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

წავედით საგასტროლოდ ბაქოში. თეატრი კარგად გავიდა. მონონება დიდი იყო. წერდნენ განსაკუთრებით ახმეტელზე როგორც რეჟისორზე, ჩემზე და ვასაძეზე, როგორც მთავარი როლების შემსრულებლებზე...

მსახიობები მაშინაც და შემდეგშიაც ნაწყენი იყვნენ ჩემზე, რომ მათზე ნაკლებად წერდნენ და ჩემზე კი მეტს. რასარ მაბრალებდნენ: რომ თითქოს მე ვაწერინებ ჩემზე რეცეზიებს. რა სულმდაბლობაა. უმთავრესად დასწერდნენ, რასაკვირველია, მთავარი როლის შემსრულებლებზე. კარლოსი, ანზორი, ბერსენევი, არგიულდი, ოტელო, არსენა, იჩო, დიდი ხელმწიფე, ოიდიპოსი, მურადოვი, სააკაძე და სხვა ნამყვან როლებზე წერდნენ, უმთავრესად და ამ როლებს მე ვთამაშობდი. აბა, ვისზე უნდა დაეწერათ. და, თუ მაქებდნენ, რასაკვირველია, მეც მიხაროდა და ვცდილობდი, უფრო კარგად მეთამაშნა. იმისათვის, რომ შურიანი მსახიობების ავადმყოფური თავმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა, ხომ არ ვეცდებოდი, რომ ცუდად მეთამაშნა.

ამ გასატროლების დროსაც წულუკიძეზე ნაკლებად წერდნენ. რასაკვირველია, ამას წონასწორიდი გამოყავდა წულუკიძე. ახმეტელი თითქმის ჩამოგვაშორა თავის ამხანაგებს და სულწულუკიძის გარემოცვაში იმყოფებოდა. ჩვენ კი: პატარიძე, ვასაძე, ალსაბაძე, ტუსკია, გამრეკელი, მ. აფხაძე, დები, სალარაძე, ჯაფარიძე, ლაფარი, თუშიშვილი და ზოგიერთი სხვებიც, ჩვენდა უნებურად, ცალკე დავრჩით.

**დასასრული  
შემდეგ წომისი**



# სტალინი გაუგრძელებელი აედაქტორი იყო

ამ ისტორიულ ფაქტს იხსენებს იტალიური გაზეთი **La Stampa** და სტალინის, როგორც გაზეთის რედაქტორის, პორტრეტს ამ საინტერესო შტრიხს უმატებს — რედაქტორისა, რომელიც ავტორიტეტებს არ ერიდება და წუნდებულ პროდუქციას გაზეთის გვერდებისკენ გზას უკეტავს. მაგრამ წერილი მარტო ამის შესახებ არ არის.

**La Stampa** წერს: იგი არასოდეს განშორებია თავის ლურჯ ფანქარს. ამ ფანქრით ხელში უნახავს ჩერჩილს სტალინი, როცა ომისშემდგომ ევროპას ინანილებდნენ; უკოვს, როცა ისინი ალყაში მოქცეული სტალინგრადის რუკას შეისწავლიდნენ. მისი ენერგიული ხელწერა კვლავ ემჩნევა დოკუმენტებს ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც...



## როგორ დაიტუნა სტალინა ლენინის 47 სტატია

იოსებ სტალინი მიჩვეული იყო ლურჯი ფანქრით მოშაობას იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ ჯუღაშვილის გვარით იყო ცნობილი და გაზეთ „პრავდას“ რედაქტორობდა. იმ დროს სტამბაში გაგზავნამდე გამზადებული მასალის ფოტოების გვარით ხდებოდა, ლურჯი ფანქრით ჩანასწორები ფოტოზე მკრთალად ჩანდა. იგი შეუბრალებელი რედაქტორი იყო და ლენინს 47 წერილი დაუბრუნა. ლენინი აღფრთვანებული იყო თავისი მონაფის უკრნალისტური ნიჭით. შემდგომში სტალინი თავის ავადმყოფ ლიდერს, რომელიც განმარტოებით ცხოვრობდა აგარაკზე ქალაქებარეთ, უგზავნიდა გაზეთ „პრავდის“ ასლებს, რომლებიც სპეციალურად მისთვის იძეჭდებოდა, რათა ლენინი არ ყოფილიყო რეალურად მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში.

ბევრი დიქტატორი თავიანთი კარიერის დასაწყისში უკრნალისტობდა და სტალინმაც შეისწავლა რედაქციის უპირველესი საიდუმლოება: მას, ვინც ასწორებს და რედაქტირებას აკეთებს, უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე მას, ვინც წერს. **ისტორიკოსე-**

**ბის მთელი რაზმები სწავლობდნენ სტალინის შენიშვნებს და ჩასწორებას, რომლებითაც ულვაშა აზრებიდა მის ხელში მოვალეობილ ცავისი გიგანტი დაგვიხული პარტიულ დოკუმენტამდე და საბაზეთო სტატიები... ლურჯი ფანქრით ნასწორებიდან ნარმოდებება ხასიათი, განსხვავებული იმისგან, როგორიც ნარმოგვედგინა: ფრთხილი, რაციონალური, ფხიზელი. იგი ამოშლიდა ხმამაღალ, იდეოლოგიით სავსე პასაჟებს, გადახაზავდა მისდამი მიძღვნილ მლიქვნელურ სიტყვებს, დასცინოდა რიტორიკულ ქედმაღლურ მტკიცებას ირონიული „პა-პა“-თი, სძულდა მაღალფარდოვანი ზედსართავი სახელები. მანიაკალურად ასწორებდა, აკეთებდა კორექტურას, რედაქტირებას ნებისმიერი დოკუმენტის: პოლიტბიუროს დადგენილებების პროექტებიდან დაწყებული და საგაზიეთო სტატიებით, ნებისმიერი დარგის სამეცნიერო მოხსენებებით დამთავრებული; საერთაშორისო შეთანხმებები იქნებოდა თუ მსჯავრდებულთა სიები.**

„ლურჯი ფანქარი მისი საიდუმლო იარაღი იყო, რომლის მეშვეობითაც იგი ქმნიდა ქრონიკას, ისტორიას, მითს“, — წერს კორნე-

ლის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოლი კეისი თავის შესანიშნავ ესეში, რომელიც რედაქტორ სტალინისადმია მიძღვნილი.

ნაყოფიერი მწერალი და უმაღლესი ცენზორი ავტორობით არ იყო დაინტერესებული და მის ნაშრომს „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც სტალინიზმის ბიბლიად იქცა, თავისი სახელი არ მოაწერა. ტექსტის სრულყოფილი ვერსიის შექმნით დაინტერესებული, იგი მოითხოვდა, ყველა საბჭოთა მოქალაქეს პარტიის ისტორია შეესწავლა არა პროპაგანდისტი-ქურუმების შუამავლობით, არამედ — პირადად. ამას კომუნისტური პროტესტანტიზმი შეიძლება ვუწოდოთ. იმ დროს წიგნი იყო რწმენის ძირითადი, თუ ერთადერთი არა, წყარო.

„მოკლე კურსის“ კრიტიკულ ვერსიას სტალინის ჩანასწორებით მაღე გამოაქვეყნებს იელის უნივერსიტეტი.

## უმპაცრესად ასტორებდა თავის ნაშერებს

სტალინი განსაკუთრებულად მომთხოვნი და მკაცრი რედაქტორის პოზიციიდან კითხულობდა თავის ნაერებას თუ გამოსახვეყნებლად გამზადებულ თავის საჯარო

გამოსვლებს. რუსულ ინფერ-  
ენტისივოლცები გამოჩდა  
ამის დამადასტურებელი სა-  
პუთიშვილი, რომლებიც სტალი-  
ნისა და ვიტოშალავ მოლო-  
ტოვის პირად არ ძივებდნ  
ინახებოდა. მათ შორის სა-  
ორი იდენტური ტექსტი სტა-  
ლინის ცნობილი სადლეგრე-  
ლოსი რუსი ხალხის შესახებ,  
რომელსაც საცუდლად დაე-  
ორ ერთი და იგივე სტენოგ-  
რაფიული ჩანაწერი.

მათგან პირველი, სტალინის  
ჩანაწერებით, ადრეც იყო გა-  
მოქვეყნებული: 1945 წლის 25 მა-  
ისს დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის  
გაზეთებში, შემდეგ არაერთხელ  
იქნა ტირაჟირებული და ინტერპ-  
რეტირებული მკვლევარების მი-  
ერ. მაგრამ თვით სტენოგრაფიუ-  
ლი ჩანაწერი დაინტერესებული  
მეცნიერებისთვის მიუწვდომელი  
რჩებოდა, და განსაიდუმლოვდა  
მხოლოდ 1990-იანი წლების ბო-  
ლოს.

მეორე დოკუმენტში რადიკა-  
ლური ჩანაწერია არ ჩანს — სტა-  
ლინისა მხოლოდ შეცვალა გამოთ-  
ქმა „მე ვსვამ“ სხვა, უფრო ამაღ-  
ლებული, არა სუფრული, არამედ  
საზეიმო სიტუაციას უფრო მორ-  
გებული გამოთქმით — „მე წარ-  
მოვთქვამ სადლეგრძელოს“.

ახლა, როცა მკვლევართა გან-  
კარგულებაშია პირველწყაროს  
ამოსავალი ვარიანტი — სტენოგ-  
რაფიული ჩანაწერიც და საბო-  
ლოო ვერსიაც — ოფიციალური  
საგაზეო პუბლიკაცია, ანალი-  
ტიკოსებს საშუალება მიეცათ,  
კვლავ გადახედონ ბელადის სა-  
დლეგრძელოს რუსი ხალხის შესა-  
ხებ.

ამთავითვე ვთქვათ, რომ იმ ჩას-  
ნორებებით, რომლებიც სტალინ-  
მა გააკეთა, მთელი სისავსით გა-  
მოჩნდა ის პატივისცემა და დაფა-  
სება რუსი ხალხის მიმართ, ნიუ-  
ანსებშიც კი, რომელიც ომგადახ-  
დილ ბელადს ჰქონდა ამ ერის მი-  
მართ.

ანალიტიკოსები თანხმდე-  
ბიან იმაშიც, რომ სტალინია  
არ დამაღა შეცდომები, რომ-  
ებიც სამამულო როის დროს



**დაუშვა საბჭოთა მთავრობაზ  
და პირადად მან. თუმცა ეს  
აღიარება, რომელსაც გამო-  
ვეყნებისთანავე, რა თავა  
უნდა, მსოფლიო განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას მიაპ-  
ევდა, დააპიროსაირებული  
იდეოლოგიის მძონე მხარე  
საბჭოთა კავშირის სანინა-  
აღმდეგოდ, დიად გამარჯვე-  
ბაში მისი როლის დასაკი-  
ნებლად რომ არ გამოეყენე-  
ბინა, ერთგვარ დიპლომატი-  
ურ ჩარჩოებში მოაქცია.**

მკვლევარები ასე განსჯიან: წარმოთქმულ სადლეგრძელოში  
სტალინი აღიარებს მთავრობისა  
და მის მიერ დაშვებულ შეცდო-  
მებს „სასონარკვეთილი მდგომა-  
რეობის“ უამს, რასაც ადგილი  
ჰქონდა 1941-1942 წლებში. ასეთი  
აღიარება მიკიბ-მოკიბვის გარეშე  
არის დაფიქსირებული სიტყვის  
ჩაუსნორებელ ვარიანტში — ანუ  
ისე და იმგვარადა გადმოცემუ-  
ლი, როგორც სტალინმა საზეიმო  
მიღებაზე თქვა — პირდაპირ და  
შეულამაზებლად. სტალინმა ხაზ-  
გასმით განაცხადა, რომ იმ შეც-  
დომებისთვის, რომლებიც მთავ-  
რობამ დაუშვა, ხალხს შეეძლო ეს  
მთავრობა (მაშასადამე თვით  
სტალინიც) გზიდან ჩამოეცილე-  
ბინა, განედევნა. „ეს შეიძლება  
მომხდარიყო, იქონიეთ მხედვე-  
ლობაში“, — შეახსენებდა ბელა-  
დი. იმეორებდა, რათა გონებაში

ჩაეჭედა გამარჯვების ეიფორია-  
ში მყოფი სარდლებისთვის. სტე-  
ნოგრამის ტექსტი ამას ადასტუ-  
რებს: „ვიმეორებ, ჩვენ გვქონდა  
შეცდომები, პირველ ორ წელი-  
ნადს ჩვენი არმია იძულებული  
იყო უკან დაეხია. გამოდის, რომ  
ვერ დავეუფლეთ მოვლენებს, ვერ  
დავეუფლეთ შექმნილ მდგომარე-  
ობას“.

ასე იყო ნათქვამი. მაგრამ, რო-  
გორც ჩანს (რაც მხოლოდ ვარა-  
უდია, თუმცა ლოგიკას მოკლე-  
ბული არაა), სტალინმა საჭიროდ  
არ ჩათვალა ომის დასაწყის ეტ-  
აპზე თავისი პასუხისმგებლობის  
ამგვარი აფიშირება, გაითვალის-  
წინა არაერთგვაროვანი მსოფ-  
ლიოს რეაქცია და გამოსაქვეყნე-  
ბელი ტექსტიდან ამოშალა სიტყ-  
ვები „ჩვენი საბჭოთა მთავრობის  
წარმომადგენელი“, რომელიც  
მის პერსონაზე ყურადღების ფო-  
კუსირიებას უეჭველად გამოიწ-  
ვევდა.

შემდეგ ბელადმა, ალბათ, ჩათ-  
ვალა, რომ რუსი ხალხის დასახა-  
სიათებლად ნახმარი მრავალსი-  
ტყვაობა, შესაძლოა, ნაკლებ ეფ-  
ექტიანი და აღსაქმელადაც ერთ-  
გვარი გაფანტულობის შემცველ-  
იც იყო და ამიტომ „საღი გონების,  
საერთო-პოლიტიკური საღი გო-  
ნების“ ნაცვლად ტექსტში ჩანერა  
„ნათელი გონება“.

პასურობისა და მომლოდინეო-  
ბის ელფერი, რომელიც რუსი ხალ-



ხის შეფასებაში ჩანდა, რომელსაც „სჯეროდა, ითმენდა, ელოდა და იმედოვნებდა“, სანამ საბჭოთა ხელმძღვანელობა „დაძლევდა მოვლენებს“, სტალინმა იმთავით-ვე არასასურველად ჩათვალა. სტენოგრამაში შესაბამისი ჩასწორების შემდეგ გამოვიდა, რომ მას (ხალხს) ომის დასაწყისში დაშვებული შეცდომებისა და ნარუმატებლობის მიუხედავად არა მხოლოდ „სჯეროდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორის“, არამედ აქტიურად მხარს უჭერდა საომარ მოქმედებათა მსვლელობისას და გაიღებდა უდიდეს მსხვერპლს გერმანიის დამარცხების უზრუნველაყოფად.

„რუსი ხალხის საბჭოთა მთავრობისადმი ნდობა“, სტალინის მიერ ჩასწორებული ტექსტით, აღმოჩენდა გადამცირდებული არამარტობის გადამცირდებული გამოცირდებითაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეაძლო არამარტო დაეძლია საკუთარი საპატიო გადამცირდებით. რუსი ხალხის საბჭოთა მთავრობისადმი ნდობა“.

კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსური ჩასწორება, რომლის გარეშე დაირღვეოდა, ანალიტიკოსების აზრით, გულდაგულ რედაქტირებული და მიზნობრივად აწყობილი ტექსტის ერთიანი სხეული და მწყობრი სტრუქტურა.

**რუსი ხალხისთვის დამახასიათებელი თვისებების ჩამოთვლისას სტალინმა ჩანერა სიტყვები „მაგარი ზურგი“.**

მაგრამ, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, გადაწყვიტა, რომ ეს არამარტო ამოვარდნილი იქნებოდა კონტექსტიდან, არამედ დაამცირებდა რუსი ხალხის ლირსებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთქმაში შეურაცხმყოფელი არაფერი იყო.

**სტალინი რუს ხალხს განცილებადა მთავარ ღერძად — თავისებურ საფუძვლად, როგორზე დაყრდნობითაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეაძლო არამარტო დაეძლია საკუთარი საპატიო გადამცირდებითაც გადავიტანთ!**

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი იხსენებს ერთ საინტერესო ფაქტს. 1946 წელს საბჭოთა ეკრანზე დაიწყო დემონსტრირება მხატვრული ფილმისა „ფიცი“, რომლის სცენარი დაწერეს პეტრე პავლენკომ და მიხეილ ჭიაურელმა. ფილმი სტალინისადმი იყო მიძღვნილი. აქ არის ერთი

სცენა — სტალინის (რომლის როლს ასრულებს მიხეილ გელოვანი) და „რუსი მშრომელი დედის“ ვარვარა პეტროვას (სოფია გიაცინტოვა) დიალოგის, როცა პეტროვას შეკითხვას, იქნება თუ არა ომი, სტალინმა უპასუხა: „ყველაფრიდან ჩანს, რომ ომი იქნება და მას თავიდან ვერ ავიცილებთ“. ნიშანდობლივია, დედის რეაქცია სტალინის პასუხზე: „უკეთესიც კია, იოსებ ბესარიონის ძევ, თუ ომი ჩვენ დროს იქნება. ჩვენ გამოცდილი ხალხი ვართ, მივეჩვიეთ სიძნელებიდან გამოსვლას. რა არ გადავიტანეთ! ჩვენ მაგარი ზურგი გვაქვს. ჩვენს ზურგზე გადავიტანთ ამ ომსაც“.

ანალიტიკოსები არ მიიჩნევენ, რომ ეს გამოთქმა — „მაგარი ზურგი“ სტალინმა „ფიცის“ სცენარიდან ისესხა. უფრო პირიქითა: მიხეილ ჭიაურელისადმი სტალინს მეგობრული, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, ბატონი მიშა ხშირად ხვდებოდა ბელადს, განსაკუთრებით, ფილმის გადაღებისას და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მისგან გაიგონა ცნობილმა რეჟისორმა ეს გამოთქმა.

ეს მხოლოდ ნიუანსია.

დაბოლოს, საერთო დასკვნა: წითელი არმიის სარდლების წინაშე გამოსვლისას, სტალინი, უჭველია, თავს ტრიუმფატორად გრძნობდა. გამარჯვებულებს რომ არ ასამართლებენ, ცნობილია, ლოგიკურად — არც გამარჯვებულები ასამართლებენ თავიანთ თავს. „თავისი ვარსკვლავური საათის უამს, — ნათევამი სტალინისადმი მიძღვნილ ერთ-ერთუალეს პუბლიკაციაში, — გამარჯვებული სტალინისათვის ნათელი გახდა, რომ ალსარების თქმა უადგილო იქნებოდა და ამიტომ თავისი სიტყვა, რომელიც ომის დამთავრებიდან მეორე კვირის თავზე, 1945 წლის 24 მაისს წარმოთქვა წითელი არმიის სარდლების პატივსაცემად გამართულ მიღებაზე კრემლში, მყაფრირედაქტირების ქურაში გაატარა“.

მოამზადა

არმაზ სანებლივებ



სტალინი და ნადეჟდა ალილუვა (მარჯვინი)

კონსტანტინე გამსახურდია:

# კვლავ უცხოთაგან ამართელ კარპატები ვლოცულობი

„ჩვენ კულტურულ ზრდას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიული გზა ნათელსა და სწორ გზატკეცილს როდი ჰგავს, იგი უფრო უღრან ტყეებში და კლდე-ლრეებში მავალ შარას მოგაგონებთ, უფსკრულებით რომაა განყვეტილი აქა-იქ“, — ამ შარას, რომელზეც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა გასულ საუკუნეში, დასასრული არ უჩანს. თანამედროვე ქართველობაც ბრძად მიუყვება მას, უკანმოუხედავად, რადგან უცხოა და მიმზიდველი. ვერ გაგვითვალისწინებია, სადაა „ჩვენისა“ და „უცხოს“ საზღვარი და „კვლავ უცხოთაგან ამართულ კერპებზე ვლოცულობთ“.

კ. გამსახურდიას „ქართველობა და უცხოეთის გენი“ ისე ესადა-გება დღევანდელ ჩვენს ყოფას, თითქოს ახლახან დაეწეროს დიდ მწერალს. საერთოდაც, მისმა შემოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და, მეორე მხრივ, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების ადგილის გარკვევაში.

ყველაფერი გენიალური დღესაც აქტუალურია.

დღეს უცხო სინდრომითაა დაავადებული ქართველი და ქართული ენა უდიდეს კრიზის განიცდის. ქართულ სახელმწიფოში არ არსებობს არანაირი სტრუქტურა, სამსახური, რომელიც ბარბარიზმებით, უარგონითა და დამახინჯებული ფორმებით ჩვენი ენის დაკნინებას წინ აღუდგება.

ყველა დიდ მამულიშვილს ანუ-სებდა მშობლიური ენის ბედი. როგორც კი ენას რაიმე საშიშროება და მუქრებოდა, ქარქაშიდან ამოღებულ ხმლად იქცეოდნენ ხოლმე.

„ქართული ალფაბეტი, — მითხრა ერთმა უცხოელმა ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, — ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია, — სიამაყით წერდა ბატონი კონსტანტინე, — მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით რომ ავი-

ლოთ, ვერც გოთური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს. ქართველები ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ რასათა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

მწერალი ალნიშნავს, რომ მსგავსი რამ ზოგადად ჩვენს კულტურაზეც შეიძლება ითქვას.

„დღევანდელმა ქართველმა რომ უკან მოიხედოს, ვგონებ, თვალსაც ვერ მიაწვდენს ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირველ საფეხურებს. ერთი თვალის გადავლებით ვერც კი გაარჩევს ნარსულის ნისლში ჩვენი ისტორიული ცხოვრების კონტურებს.

ცხადია, დიდი ერის ნატეხი ვართ, თუმცა ნარსულშიაც არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი ბაზისი ახალ იდეათა და მიმდინარეობათა, როგორიც ძველი ინდოეთი, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

არ ყვითებულ ვართ ახალ იდეათა ჯვაროსანნი, — არც თუ რეფორმატორული მისია დაუკისრებია ჩვენთვის ისტორიას.

ჩვენი ეროვნული ცხოვრების დუღილი ჩვენივე ქვეყნის ზღუდეებს არ გასცილებია...



თუ კერძო ადამიანის უდიდესი იდეალია სოკრატეს სებური თვითშეცნობა, მით უმეტეს მთელ ერს, ამ გაცილებით უფრო ღრმასა და რთულ ფსიქოლოგიურ ერთეულს — მართებს თავისი ძალის სიგრძე-სიგანის შეგნება, თავის შემოქმედების ფარგლების ცნობა.

იტყვიან: ამის მიზეზი ქართული ეროვნული ოჯახის ქართველთა ნათესავის სიმცირეაო.

მართალია, ერთ სისხლის თანამოზიარეთა სიმრავლეს დიდი წილი უძევს ერის კულტურულ-ცივილიზაციურ მუშაობის განაყოფიერებაში, მაგრამ აქ უბრალო პროპორციის კანონების მობოდიშებით ვერას დავამტკიცებთ. განა ძველი ელადა ყველა თავის მეზობელ ერზე უფრო მცირე რიცხოვანი არ იყო?

მაგრამ ილიონის ბჭეებთან აქაველების გამჭრიახობამ ტროელთა მრავალრიცხოვნობასა სძლია.

რელიგია უმიროსის, მოსეს, ქრისტესი მცირერიცხოვანმა ერებმა არ წარმოშვეს?

მრავალრიცხოვანი და პოლიტიკურად ძლიერი იყო რომაელთა



საკეისრო. მისი გზატკეცილები დღევანდელ რუმინიამდე უწევდა, მაგრამ უძლიერეს და თავის დროზე ყველა ერებზე მრავალიცხოვან ერის უდიდესი მგოსნი ვირგილიუსი მხოლოდ საცოდავი ეპიგონი იყო, შედარებით სუსტისა და მცირერიცხოვანი ელლენთა ბრმა ნათელმხილველისა (ვგულისხმობ უმიროსს), აგრეთვე, კულტურის სხვა დარგებში: ხუროთ-მოძღვრებაში, სათეატრო-სასცენო ხელოვნებაში, მწერლობასა და ფილოსოფიაში რომაელები უბადრუები მიმბაძველები და პლაგიატორები იყვნენ“.

დღეს პლაგიატორობა და მიმპაძველობა სამარცხვინო საქმედ არ მიიჩნევა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც მთელი ჩვენი სატელევიზიო სივრცე უცხოურის ანალოგიური შოუებითა და გადაცემებით.

„ისტორიის იდეალიზაცია ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის“. ძნელია ქართულ სპეციფიურ ფსიქიკაზე დაბეჯითებით, კატეგორიულად რისიმე თქმა.

მომავალი რომ აშენოდა იშრომო ამას წიგნის სიყვარული და კითხვა სჭირდება! ჯერ ის უნდა იცოდე ვინ ხარ და საიდან მოდიხარ. რა ლირებულებების მატარებელი იყო შენი ერი, შენი წინაპარი, რომელმაც ეს ქვეყანა — საქართველო შენამდე მოიტანა საკუთარი სისხლის ფასად და გადმოგცა, მიუხედავათ უამრავი ძნელებისა: დალატისა, მტრობისა, გაუტანლობისა და უთანასწორო ბრძოლებისა დიდ იმპერიებთან. უნდა ჰქონდეს ადამიანს გათავისებული, რა არის ქართველ-

ობა, რას ნიშნავს, იწოდებოდე ქართველად და რა ლირებულებების მატარებელი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე. ამ ვალდებულებას კი პირნათლად, ღირსეულად შესრულება უნდა.

ადამიანმა თუ არ იცის საკუთარი ქვეყნის კულტურა, დამწერლობა, მშობლიური ენის ფესვებზე არ აქვს წარმოდგენა, განხირულია...

„სხვა, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში თაობა თაობას მისდევდა, თაობა თაობას გადასძახებდა ხოლმე თავის ანდერძს, თაობა თაობის მხრებზე იდგამდა ფეხს. ერთ საუკუნეში დაწყებულ სოციალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს და არტისტულ ზრახვათ მომდევნო საუკუნეში გამოუჩნდებოდნენ ხოლმე მემკვიდრენი. ერთი თაობის, ერთი გენერაციის მიერ ჩაყრილ დუღაბსა და კირს მახლობელი გენერაცია აწყობდა აგურს. ამ მხრივ ძველი საბერძნების, საფრანგეთის ისტორიული ცხოვრება სათეატრო დრამასა ჰყავს, მოქმედება მოქმედებას რომ მისდევს თანდათანობით და ერთი მეორის შევსებით, გაძლიერებით, სადაც ფინალი დრამისა ლირიკული დასკვნაა ყველა აქტების“.

ჩვენი ისტორიული ყოფა კი კინემატოგრაფიის სეანსებს მოგაგონებთო, — წუხს მწერალი, — თვალის დახამხამებაზე რომ სწყდება ერთი სურათი და სულ სხვა შინაარსი რომ მოსდევს: „აბა, რა აქვს საერთო XII და XIV საუკუნე-

ების ან XII და XVII-XVIII საუკუნეების ქართველების კულტურულ ყოფას? „ვარდბულბულიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“, „ქაცვია მწევმს“ და ჩახრუხაძის ოდებს? იშვიათად თუ არსებულა სხვა რომელიმე კულტურული ერის ისტორიაში ასეთი უფსკრული ორ დიად ისტორიულ ეპოქათა შორის, როგორც იყო XII და XVII საუკუნეები ჩვენს წარსულში“. ხუროთმოძვრებას, კაზმულ ხელოვნებასა და საეკლესიო მხატვრობას რომ თავი ვანებოთ, თვით ქართული ენის განვითარებაშიაც საშინელ რეგრესს ვხედავთო.

„თუნდ გრიგოლ ხანძთელის დროის ენა, მკვეთრი და მოქნილი, XVII და XVIII საუკუნეები ბრგვნილ, ბარბარიზმებით და უმგვანონ ნეოლოგიზმებით აჭრელებულ ლიტერატურულ ჟარგონად ქცეულა.

ჩვენი ტერიტორია „ხალხთა ხიდი“ იყო. ჩვენი ისტორიული მისასია: ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს — ევროპის და აზიის სულის შესამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსგან გადმოსროლილ ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა.

„ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიაც ქართული სული სავსებით განსახიერდა, რომელზედაც მთელი მისი თანამედროვე კულტურის სახე მინიატურულადაა ჰეცესტოს ასტატურ ხელით გადმოცემული. ეს დიადი სარკეც ქართული კულტურის ისეთივე სინთეზია ზემოთ ნახსენებ სამყაროთა, როგორიც გოეთეს „ფაუსტი“ ელლინიზმისა და ქრისტიანიზმის.

განა მარტო „ვეფხისტყაოსანი“, ყველაფერი, რასაც ქართული კულტურა ეწოდება, არითმეტიკულ საშუალებას წარმოადგენს ელენურ-ბიზანტიურსა და სპარსულ, აღმოსავლურ ექსტრემებს შორის, ვიდრე მუსულმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაემხობოდნენ, ჩვენ უმაშვალოდ ვდებულობდით ამ კულტურულ გოლფშტრომებს.

რელიგია და მისი გაგება ერთგ-

«...მიუხედავად მჩვალი საუკუნის  
 ახსებობისა, თანამედროვე ქართველობას  
 თავისი კულტურული შინაარსი  
 ვერ გამოვახდავიანი სავსებით.  
 ვერ თანამედროვე ქართველობას ვერ  
 გაგვითვალისწინებისა, სადაა «ჩვენისა» და  
 «ეცეს» საზღვანი. ვერაც არ ვიცოდოთ  
 ქართულ აზრს, ქართულ გრძელებას»

ვარი გამოცდაა კულტურული ერისა.

„ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი.

თუმცა ქრისტიანული რელიგია, ჩვენთვის სრულიად არა ნათესავ და უცხო რასის შექმნილი იყო, მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ძრისფილი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ. ჩვენთვის ძრისფილი პირი იყო.

თამამად შეიძლება ითქვას: არც ერთ ევროპიელ ქრისტიან ერს არ უცდია და არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით.

...არც ესპანური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი ჩვენ სარწმუნოებრივ ცხოვრებას არ ჰქლებია. ჩვენ არ გვახსოვს არც ბართლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგენოტები, არც აუტოდაფე.

ჩვენი ბერები მონასტრის კედლებშიც ერის კაცებად რჩებოდნენ, ერისათვის, „სოფლისათვის“ ზრუნავდნენ. მოიგონეთ გრიგოლ სანდოელი და მისი მონაფენი, კლარჯეთის მაშენებელნი“.

მაგრამ დღეს თუ რომელიმე საულიერო პირი თავის მამულიშვილურ პოზიციას გამოხატავს და ჩვენი ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე დადგება, მავანი მას უმაღ მიუთითებს — შენი საქმე ეგ არ არისო.

საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის XIX საუკუნის ყოფას თვით ერის შინაგანი ცხოვრების დულიმა ჩაუყარა საფუძველი. ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას კი გარე ფაქტორები განსაზღვრავდა, ამოძრავებდა ქართული აზროვნებისა და გრძნობის მექანიზმს:

„XVIII საუკუნის მინურულში ქართულ ცხოვრებას ისეთი მოულოდნელი დამბლა დაეცა, რომ მთელი სამერმისოდ მოკრეფილი შემოქმედებითი ენერგია დასწვა

„აქ არ იტანჯებიან. წვალობენ. კი არ ლოცულობენ, იღრიფებიან, მსხვერპლს როდი სწირავენ. კვარცხლბეკზე ამართულ კერპებს“. დიახ, გატონი კოცეცანტინი, ღღესაც ასეა და, მგონი, უარესადაც, უცხოთა კვარცხლბეკზე ამართულ კერპებს მსხვერპლად თავად კი არ ენირებიან ხელისუფალნი, ხალხს სწირავენ ზვარა-კად, ეროვნულ ფასეულობებს, იმას, რითაც ჩვენი არსებობის მანძილზე მოგვწონდა თავი.

დიციებს ეწინააღმდეგება?! ახლანან განა ასე არ მივიღეთ ერის შეურაცხმყოფელი და მამათმავლების დამცავი კანონი?!

„აქ არ იტანჯებიან. წვალობენ. კი არ ლოცულობენ, იღრიფებიან, მსხვერპლს როდი სწირავენ. მსხვერპლად ენირებიან უცხოთა კვარცხლბეკზე ამართულ კერპებს“. დიახ, ბატონო კონსტანტინე, დღესაც ასეა და, მგონი, უარესადაც, უცხოთა კვარცხლბეკზე ამართულ კერპებს მსხვერპლად თავად კი არ ენირებიან ხელისუფალნი, ხალხს სწირავენ ზვარა-კად, ეროვნულ ფასეულობებს, იმას, რითაც ჩვენი არსებობის მანძილზე მოგვწონდა თავი.

განვაგრძოთ:

„...მიუხედავად მრავალი საუკუნის არსებობისა, თანამედროვე ქართველობას თავისი კულტურული შინაარსი ვერ გამოუმულავნებია სავსებით. ჯერ თანამედროვე ქართველობას ვერ გაგვითვალისწინებია, სადაა „ჩვენისა“ და „უცხოს“ საზღვარი. ჯერაც არ ვიცნობთ ქართულ აზრს, ქართულ გრძნობას“.

არ ვიცნობთ და დიდად არც გვაინტერესებს, რადგან ახლა მთავარია ევროინტეგრაცია, ნატოში შესვლა, აშშ-ისთვის თავის მოწოდება გოშიასავით კუდის ქიცინით... დიახ, არც ჩვენს ცხოვრებაში ჩასახულა „ქართული ფსიხიური ტიპი“ და „კვლავ უცხოთაგან ამართულ კერპებზე ვლოცულობთ“.

**დარეჯან აცლიამა**



პავლე ინგოროვეგა

# საქართველოს მოსახლეობა

საქართველოში, გარდა ახალციხე-ახალქალაქის, ბათომის და არტაანის მხარეებისა შემდეგი ორი ბუნებრივი, გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური რაიონია:

1. აღმოსავლეთი საქართველო  
(ანუ ტფილისის გუბერნია),

2. დასავლეთი საქართველო  
(ანუ ქუთაისის გუბერნია).

დანარჩენი ადმინისტრაციული ერთეულები, პატარა სანაპირო მხარეები საქართველოსი, წარმოადგენენ უშუალო გეოგრაფიულ გაგრძელებას ამ მთავარი პროვინციებისას და სამეურნეო პირობებით გამოყოფელი არიან მათგან. ეს მხარეებია:

3. სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე (სოხუმისა და სოჭის ოლქები), რომელიც დასავლეთ საქართველოსთან ერთად შეადგენს ერთ ეკონომიკურ ოლქს;

და

4. აღმოსავლეთ საქართველოს სანაპიროები: ქვემო-ყარაიას ველი, ბამბაკი, ყაზახ-მამშადილი და ზაქათალა, რაც ტფილისის პროვინციის განუყოფელ ჰინტერლანდს წარმოადგენს.

მოსახლეობა ამ პროვინციებისა შემდეგია:

## ტფილისის და

## ქუთაისის გუბერნია

საქართველოს ამ ორ მთავარ პროვინციაში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. სულ ორსავე გუბერნიაში 1916 წლისათვის ითვლება (გარდა ჯარში განვეულებისა) 2.236.000 სული მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ქართველი — 1.765.000, სული — 78,9%; დანარჩენები სხვადასხვა მცირერიცხოვანი ჯგუფია.

ასეთ ჯამს ვდებულობთ ქალაქების მითვლით, სადაც, როგორც ყოველგან, შედარებით მეტია

უცხო ელემენტი; ქალაქების მიუთვლელად ამ ორს პროვინციაში ითვლება 1.862.000 სული მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ქართველები — 1.600.000 სული, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა პატარა ჯგუფები — 262.000 სული; ქართველობა შეადგენს მრთელი მოსახლეობის 85,9 %-ს.

## სამურზაყანო-აფხაზეთ-ჯიქეთის მხარე

(სოხუმის და სოჭის ოლქები)

აქედან ჯიქეთი (სოჭის ოლქი) თითქმის დაუსახლებელია.

სამურზაყანო-აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ქართველობა; შემდეგი ადგილი უჭირავს ქართველების ძმურად მონათესავე ტომს — აფხაზებს, სხვები მცირერიცხოვანი უმნიშვნელო ჯგუფებია. სულ სოხუმის ოლქში 1916 წლისათვის ითვლება — ქ. სოხუმის გარდა — 126.000 სული მკვიდრი მცხოვრები, აქედან ქართველი — 70.000 სული, აფხაზი — 42.000 სული. რაც შევეხება ქ. სოხუმს, იგი ერთვეული შემადგენლობით ეპრიულ ძალას ცარმოდგენის ერთობენ არა მარტო ახლო რასისული ნათესაობა (ისინი ეკუთვნიან ქართულ-მთიულურ ენათა ოჯახს და ლინგვისტურად აფხაზურ ენას უჭირავს საშუალო ადგილი ქართულ ენასა და მთიულურ ენებს შუა), მათ აერთებს ეპრიულებითან არა მარტო სარმატენოება (მთელს ამ მხარეში აფხაზთა პროვინციაში, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ქ. სოხუმი, რომელსაც სპეციფიკური ქართული ხასიათი აქვს და რომ ავიღოთ მარტომდენ სოხუმის ოლქის სოფლების მკვიდრი მოსახლეობა, აქ ქართველობა არის — 55,6%; აფხაზები — 33,3%; სხვა და სხვა პატარა ეროვნული ერთეულები — 11,1%;



ხოლო ერთად მრთელი ქართული ჯგუფი (ქართველები და აფხაზები) — 88,9%.

კერძოთ აფხაზების შესახებ, რომელთაც ჩვენ აქ ქართველებთან ერთად ვასახელებთ ერთ ჯგუფში, უნდა ვიცოდეთ: აფხაზებს ქართველებთან აერთებს არა მარტო ახლო რასისული ნათესაობა (ისინი ეკუთვნიან ქართულ-მთიულურ ენათა ოჯახს და ლინგვისტურად აფხაზურ ენას უჭირავს საშუალო ადგილი ქართულ ენასა და მთიულურ ენებს შუა), მათ აერთებს ეპრიულებითან არა მარტო სარმატენოება (მთელს ამ მხარეში აფხაზთა პროვინციაში აფხაზთა შემადგენლობასთან შეკავშირებულია მრავალ-საუკუნოვანი კულტურული ერთობით. აფხაზობა თაობითვე შედიოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულში და აფხაზთა

ტომს, მიუხედავად მისი რიცხვობრივი სიმცირისა, დიდი ღვანლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის წინაშე; აფხაზეთში დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ობრიობის აღმოჩენა. (ამის ანარეკლი შენახულა ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიაც, რომელიც ასე იწყებოდა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“) ქართული დინასტიაც კი ნახევრად აფხაზური იყო, აფხაზებმა მისცეს ამ ქვეყანას არა ერთი და ორი გამოჩენილი პირი (ცნობილია თვითონ ბიზანტიური წყაროებით ქართველი ფილიოსოფოსი იოანე, ტომით აფხაზი), მოკლედ — საქართველოს ოცნებულობა და აფხაზების ისტორია ამავე დროს აფხაზეთის ისტორია არის.

## აღმოსავლეთი საქართველოს სანაკიროები: შეგებო ყარაბა, ზაქათალა, ბამბაკი და ყაზახ- შამუაღილი

ა) ქვემო ყარაბის ველი დაუსახლებელია.

ბ) ზაქათალის ოლქში — ვიდრე იმ ხაზამდე, სადაც გასადევს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (მდ. ყაშაბაის მიჯნამდე), 1909 წლისათვის ითვლება — ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებით — 69.825 სული მკვიდრი მცხოვრები. მოსახლეობს აქ ოთხი ხალხი: ჭარელები (ლევის ცალკე ტომია, ენით შორეული ნათესაობა აქვთ ავარიელებთან) — 29.785 სული — 42,6%; ნეხურელები (ესენიც ლევის ტომია ჯგუფს ეკუთვნიან, ცალკე ენა აქვთ) — 11.485 სული — 16,5%; მუდალები (ტომით მონგოლები არიან; მონგოლური დაცინებული აქვთ, ლაპარაკობენ თურქულს) — 11.121 სული — 15,9%; და ქართველები, რომლებიც ჭარელების შემდეგ ყველაზე დიდ ერთეულს შეადგენენ ზაქათალის ოლქში: ქართველობა ითვლება აქ 17.434 სული (25%), მათ შორის

ქრისტიანი ქართველი — 4.263 სული, მუსულმანი ქართველი — 13.171 სული. როგორც ერის-ტიან, ისე მუსულმან ერთველებს ცვილად შეუნახავთ ქართული დედა-ენა.

ზაქათალის ოლქის ამ ოთხ პატარა ეროვნულ ჯგუფებს შორის აგვილობის მატერიალური ერთობები ერთველები არიან, ხოლო სხვეგი ბოლო დროს არის ჩამოსახლებული ამ ძირეულ ქართულ აროვინ-ციაში. ასე, — ჭარელ-ნებურელები გადმოიყვანა დალესტნიდან სპარსეთის მმართველობამ მეჩვიდმეტე საუკუნეში (როცა აღმოსავლეთი საქართველო ერთ ხანად დაიჭირეს შაპ-აბაზის ურდინებმა) და დაასახლა ადგილობრივი მკვიდრი ქართველობის პარტიაზე, რომლებიც აპყარეს აქედან, რიცხვით 100.000-ზე მეტი და გადაიყვანეს სპარსეთში, ჩასახლება არაქართული ელემენტისა ზაქათალაში მოხდენილ იქნა სტრატეგიული მიზნით, და მართლაც ზაქათალის ოლქი, შემოჭრილი საქართველოს ველების შუაგულში (ალაზნის ველის შუა წელში) ნამდვილი შემოსავალი კარგია ტფილისის პროვინციისა.

**ბამბაკი და ყაზახ-შამუაღილი-ილი.** სულ ორსავე კუთხეში ითვლება 1916 წლისათვის 178.000 სული მკვიდრი მცხოვრები, უმთავრესად საქართველოს სომხები და თათრები. ჩამოსახლებულნი საქართველოს ამ ოლქებში სხვადასხვა დროს, ეს ხალხი ხანგრძლივი მეზობლური ურთიერთობისა გამო ქართველობასთან კულტურულად დაუახლოვდა საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთ. ამიტომაც იყო ეს მხარე, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსახლეობის დიდ პროცენტს შეადგენდა მუსულმანობა, ყველაზე ლოიალური პროვინცია საქართველოს სახელმწიფოსი და მისი ჩამოშორება ვერ შესძლეს დიდმა მეზობელმა — მუსულმანურ სახელმწიფოებმა მაშინაც კი, როდესაც ამ სახელმწიფოთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა. ჩვენ აქ არას ვამბობთ იმის შესა-

ხებ, რომ ეს მხარე მფიდრო სამულნეო ურთიერთობით არის გადაგული საქართველოსთან, და რომ ჩამომორჩება საქართველოდან ისტორიულად ამ მისი განუყოფელი ნაწილისა დაარღვევდა საქართველოს როგორც ეპონომიურსა, ისე ფერით მომიტობაში: ეს იქნა ბოლო მორღვევას საქართველოსა სამხრეთ კავკასიის ედიფიცინ, საქართველოს ამ გუნიპრივი მიჯნისაგან სამხრეთის მხრით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო მის ისტორიულ საზღვრებში (და ეს საზღვრები ამავე დროს საქართველოს ბუნებრივი გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური ფარგლებია) ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს. რასაკვირველია აქ შეუძლებელია სახეში ვიქონიოთ ცალკე სოფლები ან ცალკე რაიონები, რომლის გამოთიშვა შეუძლებელია ორგანულად შენაწევრებული ტერიტორიული სხეულიდან; მთლიან საქართველოში ქართველობა შეადგენს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ქართველობა ითვლება (გარდა მესხეთის პროვინციისა, რომელიც დასხვედდებით დაჭრილია ოსმალთა ჯარების მიერ) 72,5%.

ეს რიცხვი დიდ პროცენტულ ერთეულად უნდა ჩაითვალოს არა მარტო კავკასიური მასშტაბით.

## მესხეთის პროცენტია

მხარეები ახალციხე-ახალქალაშისა და გათომ-არტანისა

საქართველო-ოსმალეთს შორის ამ სადაც მხარეების საერთაშორისო-უფლებრივი მდგომარეობა შემდეგია:

საქართველოს პროვინცია მესხეთი (ეს არის ძირეული ქართული ქვეყანა, რომელიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა) მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. მეცხრამე-



ტესაუკუნის მანძილზე ხელახლა შემორთებული ოსმალეთისაგან (ახალციხე-ახალქალაქის მხარე — 1829 წელს, ბათომი და არტანი — 1878 წელს), ეს მხარეები ამის შემდეგ ხელახლა შეადგენენ საქართველოს განუყოფელ ნანილს, თანახმად 1783 წლის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებისა.

ახალციხე-ახალქალაქის მხარის შესახებ ეს საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა; პირიქით, 1856 წლის პარიზის ტრაქტატი განმეორებით ადასტურებს, რომ ოსმალეთს ამ მხარეზე არავითარი უფლება არ აქვს.

რაც შეეხება ბათომისა და არტანს, მათვის 1918 წლის ბრესტის საზავო ხელშეკრულება ახალ უფლებრივ მდგომარეობას ჰქმნის, მაგრამ ჯერ ერთი:

— ტრაქტატის ეს მუხლი, რომელიც ეხება პატომსა და არტანს, არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულოდ, რადგან რუსეთი არ იყო უფლებამოსილი, დაეთმო საქართველოს მინა-ცყალი, შეერთობული მასთან განსაზღვრული პირობებით, მით უფრო, რომ ვიდრე პრესტის ხელშეკრულება დაიდებოდა, რუსეთმა ფარატიურად დასტორავას საქართველო, გაიყვანა რა თავისი პარები საქართველოს საზღვრებიდან, და ამით დაპარგა ყოველგვარი უფლება საქართველოზე, თანახმად იგავე საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებისა, რომელიც ერთადერთი ლოიალური ფუძე იყო საქართველო-რუსეთის საერთაშორისო უფლებისათვის.

და დამოუკიდებლად ამისგან თითონ ბრესტის ტრაქტატის მოხსენებული პუნქტი სრულიადაც არა სცნობს ბათომისა და არტანს ისმალეთის კუთვნილებად, არამედ ამ მხარეს ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს; რსმალეთის მიერ პარების შემოყვანას

## ამ მხარეში არ შეიძლება სხვანაირი განმარტება მიეცეს, თუ არა დარღვევა პრესტის ხელშეკრულებისა.

აქვე ვადგენთ ცნობას ამ მხარეების მოსახლეობის შესახებ.

სამივე მხარეში (ახალციხე-ახალქალაქის, ბათომისა და არტანში) მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა მუსულმანია სარწმუნოებით, ნანილი — ქრისტიანი.

1. **მუსულმანი ქართველები.** მუსულმანობა გავრცელდა აქაურ ქართველთა შორის მეჩივიდმეტე საუკუნიდან, მას შემდეგ რაც ეს მხარეები ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. ეპროველ მუსულმანები მიეცილები და არის დაცული ეპროველი რასსა, დიდ ნაილს შეუნახავს ეპროველი დედა-ენა, და მთელი ხალხი დღეგდე თავისთავს გურჯას (მ. ი. ეპროველს) ეპასის.

ეპროველი ენის გავრცელების დღევანდები სურათი შემდეგია:

ა) ახალციხე-ახალქალაქის მხარე. აქაურ მუსულმან ქართველებიდან ქართულს დედა-ენაზე ლაპარაკობს 50%-დან 60%-მდე. ქართული განსაკუთრებით შენახულა ანურის უბანში, აგრეთვე, ზემო-ქობლიანში და ურაველის უბნის ქვემო სექტორში;

ბ) ბათომის მხარე. აქ ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა. ბათომის მხარე განიყოფება ორ ოქად: ბათომისა და არტონისა; აქედან ბათომის ოლქის მრთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უწმინდეს ქართულ ენას. ართვინის ოლქის მუსულმან ქართველების უმრავლესობა (დახლოებით 60%-მდე), აგრეთვე, ლაპარაკობს ქართულს დედა-ენაზე, სახელდობრ — მურდულის, ლივანის, იმერხევის და ზემო-შავშეთის მოსახლეობა.

გ) არტანის მხარე. ქართული ენა აქ ძალზე შესუსტებულია. ქართული შემონახულა ადგილ-ადგილ ფოცხოვის უბანში არტანის ოლქისა, ტაოსკარის უბანში

ოლთისის ოლქისა და არტანის ოლქის ცალკე სოფლებში, მაგ., სოფ. ველში.

სამივე მხარეში ახალციხე-ახალქალაქში, ბათომში და არტანში ითვლება ქართველი მუსულმანობა: სოფლის მოსახლეობა 238.000 სული, ქალაქებში 5.000 სულამდე; მათ შორის ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობს არა ნაკლები 140.000-ისა.

2. **ქართველი ქრისტიანები** (მართლმადიდებელი და კათოლიკე). ესენი ითვლებიან აქ 50.000 სულამდე: სოფლებში (უმთავრესად ახალციხე-ახალქალაქის მხარეში) — 30.000 სული, ქალაქებში — 20.000 სულამდე. ქრისტიანი ქართველების დედა-ენა ქართულია.

რაც შეეხება დანარჩენ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, ესენია:

**თურქები.** მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია (ისინი აღნევენ აქ 20.000 სულამდე). თურქები მოსახლეობენ (თანახმად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სპეციალური გამოკვლევისა) არტაანის მხარის ცალკე კუთხებში: ჩილდირში, ტამალის საზოგადოებაში, და პენიაკჩის სათავეებში. რაც შეეხება ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომის მხარეებს, აქ თურქების მხოლოდ თითო-ოროლა სოფლებია, როგორაც — სოფ. გონია (ბათომის მხარეში) და სოფ. ყულალისი (ახალქალაქის მაზრაში).

**სომხები** (კოლონისტები). მოსახლეობენ უმთავრესად ახალქალაქის მაზრის შეს სექტორში, აგრეთვე, ქალაქებში. სომხობა გადმოსახლებულია ამ მხარეში რუსეთის მმართველობის მიერ 1829 წელს.

დანარჩენი პატარა ჯგუფებია: ქურთები, ბერძნები და რუსები.

ამნაირად მესხეთის პროვინციაში მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა.

ამავე დროს, — და ეს ყოვლის უნინარეს მისალებია მხედველობაში — ეპროველ ერს ამ მხარეზე რუსები მეტად ისტორიული უფლება აქვს. ეს პროვინცია —



**პირეული ქართული ქვეყანა**  
არის, აკვანი ქართული კულ-  
ტურისა, რასაც მისი ქვანიც  
კი ღალადებენ, — მრავალფე-  
როვან ქართულ კულტურის  
მოწვევითი...

## შეცვება

1. საქართველოს ამ სამი მხარის (ახალციხე-ახალქალაქის, ბათო-მის და არტანის) შესახებ, რომლებიც დღეს ოსმალთა ჯარების მიერ არის დაჭრილი, სტატისტიკი ცნობები წარმოდგნილია ქვემოდ ცალკე;

2. აქ მითვლილია, აგრეთვე, საქართველოს მკვიდრი მცხოვრები, დროებით გასულნისამუშაოდ ერთი პროვინციიდან მეორეში, სულ — 27.00,0 სული (ტფილისის გუბერნიაში — 14.000; ქუთაისისაში — 13.000);

3. ჯიქეთი დაცარიელდა ადგილობრივი მკვიდრი ელემენტის აფხაზ-უბისების გადასახლებისა გამო თავისი მინა-წყლიდან წარსული საუკუნის სამოციან წლებში. დღეს სოფის ოლქში ითვლება მავიდრი მოსახლეობა (გარდა დროებით მცხოვრებთა): სოფლებში — 15.000 სული, ქ. სოფში — 2.000 სული, ე. ი. მთელი 4.000 კვადრატის კილომეტრის მანძილზე — 17.000 სული. ეროვნებათა მინდვრით, ამათ შორის ქართველი არის 1.700, აზხაზი — 1.400, სევებიც ასეთი კატარა ჯგუფებია: რუსები, გერმანები, სომხები, მოლდავები, ესომელები და გერმანელები, ესომელები და გერმანები, ამათ შორის ქართველია: სოფლებში 3.600, ქ. სოფში 1.300 სული);

4. გარდა პატარა ქალაქის ზაქათალისა, სადაც ითვლება (იმავე წელს) 1.498 სული მკვიდრი მცხოვრები.

5. ეთნოგრაფიული შემადგენლობა ზაქათალის ოლქის მოსახლეობისა წარმოდგენილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამ-

ოკვლევის თანახმად; ამ საზოგადოების მიერ გაგზავნილ მკვლევართ საგანგებოდ შეადარეს თვითეულ სოფელზე ეთნოგრაფიული ცნობები 1909 წლის ოფიციალური სტატისტიკისა;

6. ქრისტიანი ქართველების სოფლებია: კაკი, მეშაბაში, დიდი ალათემური, პატარა ალათემური, ბაზარ-თალა, ბახთალა, საკანი, ყარამეშა, ქეშ-გუთანი, ხარაბ-თალა, ალი-ბეგლო, ქოთუქლო, და ყორადანი (ამ უკანასკნელში ნახევარი მოსახლეობისა ქრისტიანი ქართველებია; დანარჩენებში მარტო ქრისტიანი ქართველები მოსახლეობები); მუსულმანი ქართველების სოფლებია: ალიაბათი (ანუ ელისენი), სოსკანი, მარსანი, ლალაფაშა, ჩუდულო, ძაგამი, თასმალო (რამდენიმე კომლი ქრისტიანი ქართველებიც ურევია), შოთავარი, ბაბალო, ვერხვიანი, ენგიანი, მოსული, ფადარი, ყანდახი, ყაფანახები, ითი-თალა, ყანდახი,

7. ქართველობის იმ ერთ ნაწილს, რომელიც გადასახლებული არიან ფეხიდანის მიღამოვანში (ისაანის ახლოს), დღემდე მიღამ დაუცავთ ქართული დედა-ენა და ქართული შეგნება. ამ ქართველების რიცხვი იმ აღნევის 50.000-მდე;

8. სახელდობრ ბამბაკში: სომეხი — 40.000, თათარი — 5.000, სხვები: — 2.000; ხოლო ყაზახშამბადილში: სომეხი — 60.000, თათარი — 65.000, სხვები — 6.000;

9. კერძოდ, სომხების ერთი ნაწილი ოსმალეთიდან არის გადმოხვენილი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე; ნაწილი გადმოსახლებულია მათისავე თხოვნით საქართველოს მეფის — ერეკლე II-ის მიერ მეთვრამეტე საუკუნის გასულს ყარაბალიდან, საცა სომხობა დიდ დევნას განიცდიდა;

10. ოფიციალური რუსული სტატისტიკით 1916 წლისა, რომელიც ამ შემთხვევაში ენის პრინციპით ხელმძღვანელობს, ამ მხარის 59.000 მუსულმანი ქართველები-

დან ქართულად მოლაპარაკე ჯგუფში ნაჩვენებია 38.000 სული;

11. მარტო ერთი ნაწილი ქართველ კათოლიკეთა, ეგრეთ წოდებული „ველელი“ კათოლიკე ქართველები, გადმოსახლებული არტანის მხარიდან, ლაპარაკობენ თურქულს. მათი რიცხვი აღნევს 5.000-მდე; მოსახლეობების ისინი სოფლებში: ხულგუმოს, კარტიკამს, ბავრას, ტურცება და ნაწილად ვარევანს. (რაც შეეხება ქართულ დედა-ენაზე მოლაპარაკე ქართველ კათოლიკებს — ესენი მოსახლეობები: ქ. ახალციხეს, სოფლებში — უდეს, ვალეს, არალს, ბოლაჯურს, ბელას, ხიზაბარას და ვარგავს);

12. მესხეთის მოსახლეობის წარმოდგენილი სტატისტიკა შედგენილია თანახმად ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებისა. ადმინისტრაციის სტატისტიკაში მოსახლეობის დანაწილება ცალკე ჯგუფებად ნაჩვენებია უმთავრესად სარწმუნოების მიხედვით. ამ კორეკტივის შეტანის დროს ვხელმძღვანელობდით სპეციალური გამოკვლევით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ამ საგანზე, რომლიდანაც არის ნაჩვენები ზემოდ ტექსტში ცნობები მესხეთის ეთნოგრაფიაზე.

ახალციხე-ახალქალაში მხარისათვის აღებულია 1916 წლის უკანასკელი რიცხვიალური ცხოვები; გათომის მხარისათვის — რაღგან იგი რომ ასაარეზად გადაიქცა 1915-1916 წლებში — აღებულია რომის ნინობრივი დონის მინდვრით 1914 წლის სტატისტიკა. ხოლო არტანის მხარისათვის — უცვლელად განვითარებულია ადგინისტრაციის რიცხვიალური ცხოვები სტატისტიკა 1909 წლისა, აღგილობრივ შედარებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კომისიის მიერ.

3.0.

კონსტანტინეპოლი,  
4-6 ივნისი, 1918 წ.



# გათემის დაბრუნება

ბათუმის დაბრუნება მნიშვნელოვანი და მრავალი საინტერესო წერილმანებით აღსავსე ისტორიაა, რომელსაც ბოლო წერტილი ქართველმა გმირმა, გენერალმა მაზნიაშვილმა დაუსვა. მანამდე კი იყო უამრავი სავალალო ბატალიები, რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, 1878 წელს ბათუმისა და მთლიანად აფარა-არდალანის შემოერთებით დასრულდა. უამრავი მეცნიერული ნაშრომი, თემა, რეფერატი, წერილი თუ მხატვრული ნაწარმოები მიეძღვნა ამ მოვლენას, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს თემა მაინც ამოუწურავია. ამჟამად წარმოგიდგენთ პილიტის ერთ მოხსენებას.

**ცნობისათვის:** სერ ალფრედ ბილიოტი (1833-1915 წ.წ.) იყო იტალიის ლევანტის მკიდრი, რომელიც შეუერთდა ბრიტანეთის საგარეო სამსახურს და საბოლოოდ მისი ერთ-ერთი გამოჩენილი კონსული გახდა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი პროფესიით არქეოლოგი გახდათ და მნიშვნელოვან არქეოლოგიურ გათხრებსაც აწარმოებდა და სავლეთ და აღმოსავლეთ ანატოლიაში. მეთაურობდა წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის რაინდებს 1898 წლის ოქტომბრიდან. მისი არც თუ ისე კარგი ინგლისურით შედგენილი მოხსენებები აღიარებულია 21-ე საუკუნის სწავლულებისგან ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა დიპლომატიის ისტორია, ანთროპოლოგია და, რა თქმა უნდა, არქეოლოგია. ის მუშაობდა ბრიტანეთის ვიცეკონსულად როდოსში, საიდანაც 1873 წელს გადაიყვანეს ტრაბზონში. შემდეგ იყო კონსული ჩინეთსა და თესალონიკში. თესალონიკში მისი მოღვაწეობა დაემთხვა ომის მზადების პერიოდს, საბოლოოდ ბალკანურ მარში რომ

გადაიზარდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მის კონსაპონდენციებს, რომელთაც ის აგზავნიდა ბრიტანეთის საგარეო ოფისში. წარმოგიდგენთ ერთ-ერთ წერილს, რომელიც ეხება სწორედ ბათუმის საქართველოსთან დაბრუნებას, 1878 წელს.

„ვიცეკონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მილებულია 24 სექტემბერს).“

**ტრაბზონი. 12 სექტემბერი, 1878. ბათუმი ჩემო,**  
**ცარმოგიდგენთ რუსების მიერ ბათუმის დაკავშირებულ დეტალებს, რისი გეგროვებაც შევძლი.**

დილით, მიმდინარე თვის 6-ში, რუსული სამხედრო ნაწილები, რომელიც პრინც მირსკის მეთაურობით ჩაქვში იმყოფებოდნენ, დაიძრნენ ქალაქისკენ, ვიდრე რუსული ღუზაჩაშვებული ესკადრონი იმავე მიმართულებით უშვებდა ორთქლის ბოლქვებს.

(აღნიშვნის ლირისა, რომ მკვლევარი ვლადიმირ სიჭინავა წიგნში „ბათუმის ისტორიიდან“ ბათუმში რუსულ-ქართული ჯარის შემოსვ-

ლის თარიღად ასახელებს 25 აგვისტოს დღის 11 საათს. ეტყობა, ბილიოტი ახალი სტილით გადმოსცემს თარიღს, თანაც არსებობს პლანკეტის (ცნობა, რომელიც იმავეს ადასტურებს).

ბერძენი და სომეხი ლვთისმსახურები, ჯვრით ხელში და მოლა ადგილობრივ, ქრისტიან და მუსლიმან მოსახლეობასთან ერთად გაემართნენ რუსებთან შესახვედრად.

მცირე ხნის შემდეგ დერვის ფაშა, სამი ბატალიონის მეთაური, დაიძრა პრინც მირსკისთან შესახვედრად.

რუსები მოაპიჯებდნენ ამ შემადგენლობით:

კაზაკების ერთი ესკადრონი.

პრინცი მირსკი დევრიშთან, გენერალ ოკლიბუისთან, მიურიდთან, პრინც დოლგოროვსკისთან და პირად შემადგენლობასთან ერთად.

კაზაკების მეორე ესკადრონი.

41-ე დივიზიონის ოთხი ბატალიონი.

ეგერთა ოთხი ბატალიონი.

ერთი ბატალიონი 6 ზარბაზნით.

მთლიანად 7000 კაცამდე.

ხებასთან (კჰება) განთავსებული ორი რუსული ბატალიონი და გენერალი კომარვი ბათუმში არ შემოსულა.

რუსები ქალაქში შემოვიდნენ შუადღით, ისინი მიესალმნენ თურქულ დროშას ზარბაზნის 21 გასროლით და შემდეგ აღმართეს რუსული დროშა, ზარბაზნის 101 სალუტით.

პრინცმა მირსკიმ რამდენიმე სიტყვით გადმოსცა იმპერატორის დიდსულოვანი ეტილგანზრახვა ბათუმისა და მისი შემოგარენის მოსახლეობისადმი.

დერვიშ ფაშამ ისადილა პრინც მირსკისთან რუსეთის დროშის ქვეშ მცურავ გემზე და შემდეგ საპასუხო სადილზე მიინვია პრინცი მირსკი ერთ-ერთ თურქულ ხომალდზე.

ერთი დღის შემდეგ, როცა ვიცე-ადმირალი არიფ-ფაშა ჩამოვიდა ბათუმში, მას სალუტით მიესალმნენ, როგორც მთავარსარდალს და შემდეგ რუსულმა და თურქულმა სამხედრო გემებმა ადგილები გაცვალეს“.



№ 148. ბათუმი, ზარბაზნის მიმდევრული მდინარეზე დატუმის მოხსენება.



# ქველი ბათუმის არქიტექტურა

ბათუმის ურბანულ განვითარებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი და ეს პროცესი უშუალოდ უკავშირდებოდა ნავსაყუდელის ბათუმის კონცხისკენ გადმონაცვლების პროცესს. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისთვის ქალაქის საზღვრები ნური-გელის ტბის მიდამოებამდე აღწევდა. 1878 წლის ბათუმის რუკაზე ჩანს, რომ ამ დროსთვის ქალაქის დაგეგმარება არ ატარებდა მონესრიგებულ, გეომეტრიულ ხასიათს. არ იყო ჩამოყალიბებული ქუჩების ქსელის, კვარტლებად დაყოფისა და სისტემური განაშენიანების პრინციპები, მაგრამ სახეზე იყო ქალაქის ზოგადი მონახაზი, ვინრო ქუჩებისა და კვარტლების ორიენტირება ზღვისკენ, ბურუბ-თაბიეს ციხე-სიმაგრის მიმართულებით.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქალაქის სწრაფი განვითარება დაინიყო. ამ დროისთვის, ფაქტობრივად, განსაზღვრული იყო ქალაქის დაგეგმარება და ქალაქმშენებლობის ძირითადი პარამეტრები. ქალაქის ასეთ დაგეგმარებას, პირველ რიგში, ბათუმის კონცხის ბუნებრივი ადგილმდებარეობა და რელიეფის ხასიათი განაპირობებდა. ვაკეზე, სანაპირო ზოლის გაყოლებით, გაშლილი განაშენიანება ადგილის არაჩვეულებრივი

შეგრძნებით გამოირჩევა.

წესრიგი, ორიენტირება ზღვისკენ, მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო, სწრაფვა უსასრულო სივრცისკენ განსაზღვრავდა ბათუმის მიმზიდველობას.

ძველ ბათუმში არსად გვხვდება რთული რელიეფური ლანდშაფტებით გამოწვეული არქიტექტურული კონტრასტები, იშვიათია ჩაკეტილი სივრცული მონაკვეთებისა და მოულოდნელი ხედების დინამიკა. აქ ყველაფერი წესრი-

გისა და ზომიერების, ქუჩების გრძივი სივრცეების ჰარმონიული აღქმის პრინციპს ემორჩილება.

1890-იანი წლების მონაცემებით, ადმინისტრაციულად ბათუმი ოთხ პოლიციურ უბნად იყო დაყოფილი. „აზიზიე“, რომელიც მოიცავდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მსხვილი ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. აქ თავმოყრილი იყო ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებების უმეტესობა. „აზიზიეს“ აღმოსავლეთით მდებარეობდა „ახმედიე“, რომელიც ვინრო და მრუდე შესახვევების მქონე განაშენიანებით ხასიათდებოდა. ამ უბანში მდებარეობდა სავაჭრო დაწესებულებები, თურქული ბაზარი, საწვრილმანო დუქნები, ყავახანები და სხვ.

მოსახლეობის ღარიბი ფენა ქალაქის ყველაზე დიდ უბანში — „მუფთიები“ ცხოვრობდა, სადაც ნავთობის ქარხნები იყო განლაგებული. „აზიზიეს“ სამხრეთით





№ 51. Батумь. Набережная улица.  
Batum. Kajo.



მდებარე, ახალაღმოცენებული უბანი — „ნურიე“ უფრო ევროპული სტილის დასახლება იყო. აქ დასახლებულები, ძირითადად, ქალაქის არისტოკრატები იყვნენ. აქვე იყო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები და მარინის ქალთა სასწავლებელი. ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა საზღვაო ნავსადგურსა და ბულვარს შორის არსებულ ერთიან ცენტრად. საპორტო ქალაქის სპეციფიკამ ხელი შეუწყობისტურული სივრცის

ბუნებრივი დომინანტისკენ — ზღვიდან და ზღვისკენ ორიენტირებას. სანაპირო ზოლში მდებარე შენობები ყველაზე მთავარი და კაზმული ფასადებით ორიენტირებული იყო ზღვისკენ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზღვა იყო ძველი ბათუმის ბუნებრივი და მთავარი არქიტექტურული ორიენტირი, სადაც ყველაფერი იწყებოდა, მთავრდებოდა და თავს იყრიდა.

სანაპირო ზოლში მდებარეობდა ეკონომიკური თვალსაზრისით

ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი — პორტი. შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმში ყველა ქუჩა იწყებოდა ზღვიდან. ასეთი განაშენიანება ხელს უწყობდა ბათუმის მხატვრული იერსახის წარმოჩენასა და ქალაქის თავისუფლად გახსნას ზღვის სივრციდან. სწრაფვა გრძივი, თითქოს უსასრულო სივრცეებისკენ ბათუმის არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანია. სივრცის აღქმის ასეთი დამოკიდებულება, თავის მხრივ, ლანდშაფტითა და გეგმარებით არის განპირობებული.

რეგულირებული დაგეგმარების ხასიათან ერთად ძველი ქალაქის არქიტექტურულ მთლიანობას განაპირობებს ურბანული ქსოვილის უწყვეტი განვითარება და რიტმი. უწყვეტი, კვარტალური განვითარების ხასიათი ბათუმის ქუჩების, არქიტექტურული სივრცის მთავარი ნიშან-თვისებაა. ასევე სახასიათო თავისებურებაა ფასადების ორიენტირება ქუჩების მიმართულებით.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ბათუმში ისეთივე სურათია, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში. ბათუმის

№ 47. Батумь.  
Batum.

Вокзалъ.  
Stacidomo.





БАТУМЬ: Маринскій проспектъ.  
BATOUR. Rue Marinski Prospekt.



არქიტექტურას მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნება, სინთეზი და ეკლექტიურობა შენობების ფასადებზე გამოხატულებას ჰქოვებს ხან მსუბუქად, ხან კი საკმაოდ მკაფიოდ გამოვლენილი ბაროკული, რენესანსული თუ გოთური მოტივები, რასაც მოგვიანებით ენაცვლება რომანტიზმით, ადრეული და გვიანი მოდერნითა და კონსტრუქტივიზმით შთაგონებული არქიტექტურული ნიმუშები. სანაპიროს მიმდებარე ძველი უბნის შედარებით მოკრძალე-

ბული ზომის, სისადავით გამორჩეული ნაგებობები ხელსაყრელ ფონს ქმნიდნენ ბათუმის ცენტრის უფრო მსხვილმასშტაბიანი შენობების „პომპეზურობის“ წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით გამორჩეული იყო მ. აბაშიძის ქუჩა — ყოფილი მარინის პროსპექტი, რომლის სახეს ქმნიდა ევროპული სტილით ნაშენი, უხვად მორთული ფასადების მქონე ისტორიული შენობები.

ძველი ბათუმის ზოგიერთ უბანს, რიგი ჩარევების მიუხედავად,

დღემდე შენარჩუნებული აქვს ავთენტიკური (თვითმყოფადი) სახე. შედარებით უკეთესად, ერთიანი ისტორიული კონტექსტის სახით, მოღწეულია სანაპიროს მოსაზღვრე განაშენიანება (ი. გოგებაშვილისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი, უმეტესად „აზიზიეს“ ისტორიული უბანი).

გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახით ბათუმი დღემდე ინარჩუნებს ზემოქმედების ძალას. ურბანული განაშენიანების უწყვეტი დინამიკა, დაბალანსებული სივრცითი ნიშნულების არქიტექტურული რიტმი, მასშტაბების ზომიერება და სტილისტური მრავალფეროვნება დღემდე განაპირობებს ბათუმის გამომსახველობას. ნაგებობათა განთავსების რიტმი განსაზღვრავს ადამიანის მოძრაობის შედარებით მშვიდ და ზომიერ დინამიკას ძველი ქალაქის უბნებში. ეს თავისებურება კი იმის განცდას განაპირობებს, რომ ბათუმის ქუჩებში უსასრულოდ შეიძლება სეირნობა.

**მაია ჭიჭილეიშვილი,  
ხელოვნებათმცოდნე**





# საქართველოს კუმიში

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, საქართველოში გავრცელებულია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ტიპი, დანყებული დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირა თბილი ნოტიო სუბტროპიკული და აღმოსავლეთ საქართველოს ველების კონტინენტური და დამთავრებული კავკასიონის მარადიული თოვლისა და მყინვარების ზონის ეგრეთ ნოდებული ნიველური ჰავით. საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას განაპირობებს, ერთი მხრივ, ქვეყნის სუბტროპიკული ზონის დედამიწის ჩრდილოეთით, შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობა და, მეორე მხრივ, მისი რელიეფის ვერტიკალურობა და განსაკუთრებული სირთულე.

საქართველოს ჩრდილოეთის ზოლი უკავია კავკასიონის ქედს. იგი ბუნებრივი კედელია, რომელიც იცავს მას ჩრდილოეთიდან ჰავის ფიცი მასების უშუალო შემოჭრისაგან, ხოლო ჰავი ზღვა არეგულირებს ტემპერატურის მერყეობას.

ქვეყნის მთანი რელიეფი განაპირობებს ჰავის ტემპერატურას და მასთან ერთად სხვა კლიმატური პირობების (ნალექების რაოდენობის, თოვლის საფარის, ნიადაგების, მცენარეული საფარის) ცვალებადობას ვერტიკალური და პორიზონტალური მიმართულებით.

საქართველოში გამოირჩევა 13 კლიმატური რაიონი (ზონა), სადაც გავრცელებულია კლიმატის შემდეგი ძირითადი ტიპები: ჰავი ზღვის სუბტროპიკული ნოტიო; ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული; მშრალი, შენარჩუნებული ნოტიო სუბტროპიკული; მშრალი სუბტროპიკული; ზომიერი ნოტიო, კონტინენტური; მშრალი კონტი-

ნტური; ზომიერი სუბტროპიკული და სხვა.

დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) და აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის ბარი ერთმანეთისაგან ლიხის (სურამის) ქედითაა გამიჯნული. ეს ქედი ჰავი და კასპიის ზღვის წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი ამავე დროს ბუნებრივი საზღვარია, რომელიც ტენიან დასავლეთ საქართველოს ზონას აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი ვაკეებისა და ბარისაგან გამოყოფს. ვაკეებისა და მთათა ქვედა სარტყლების ბუნებრივი პირობები ლიხის ქედის დასავლეთით და აღმოსავლეთით სხვადასხვაგვარია.

როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე ქართლ-კახეთის ბარში ვაკეები, დაბალი ზეგნები და ბორცვები ერთმანეთს ენაცვლებიან, სხვა ფაქტორებთან ერთად ქმნიან შესანიშნავ კლიმატურ პირობებს და სწორედ აქ ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

კოლხეთის ბარი ატლანტის ოკეანიდან, ხმელთაშუა და შავი ზღვებიდან მომავალი ჰავის მასების გავლენის ქვეშ იმყოფება, ამიტომ აქაური შავი ზღვაური ტიპისაა, ტენიანი და თბილია და უფრო მეტად თანაბარი ტემპერატურით ხასიათდება. იგი მოგვაგონებს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატების ჯგუფის ჰავის.

ტემპერატურის რყევის ნლიური ამპლიტუდა (ანუ სხვაობა უთბილესი და უცივესი თვეების ტემპერატურებს შორის) კოლხეთის ბარში 17-21 გრადუსია, საშუალონწლიური ტემპერატურა კი 14-14,5 გრადუსს აღწევს. ამასთან, ზღვის დონიდან სიმაღლის მატების ყოველ 100 მეტრზე იგი 0,3-0,8 გრადუსით ეცემა. შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში ჰავის საშუალო თვეიური ტემპერატურა, მრავალწლიურ საშუალოსთან შედარებით, ცალკეულ ნლიურში შესაძლოა გადაისაროს ზამთარში 6-70C-მდე, ზაფხულში, 3-40C-ით. ამავე ზოლში, ცალკეულ დაბლობზე, ზოგიერთ ნელს ჰავის ტემპერატურა შეიძლეა დაცეს მინუს 15-20 გრადუსამდე. აქ ნლის ყველაზე ცივი თვე იანვარია.

უყინვო პერიოდი შავი ზღვის სანაპიროზე 300 დღეზე მეტსანს გრძელდება, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე — 120 დღემდე, 3000 მეტრზე მაღლა კი უყინვო დღეები პრაქტიკულად არ არის.

ატმოსფერული ნალექების ნლიური ჯამი შავი ზღვის სანაპიროზე 1200 მილიმეტრია, ზოგან კი იგი 2600 მილიმეტრამდე. დაბლობი რაიონების ზღვიდან დაშორების კვალობაზე ნალექების რაოდენობა მცირდება, ხოლო მთიან რაიონებში სიმაღლის მატებასთან ერთად მატულობს.

კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში ყველაზე მეტი ნალექი მოდის შემოდგომის და ზამთრის დამდეგს, ყველაზე ნაკლები კი გაზაფხულზე. მის აღმოსავ-





ლეთ ნაწილსა და მოსაზღვრე მთიან რაიონებში ნალექების მაქ- სიმალური რაოდენობა მოდის ზამთარში, მინიმალური გაზაფ- ხულის ბოლოს. თოვლის საფარის სიმაღლე კოლხეთის დაბლობში 15-20 სანტიმეტრს არ აღემატება, მთისნიერში კი იგი 60, ხოლო მა- ღალმთიან რაიონებში 100 სანტი- მეტრს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში მდი- ნარეთა ქსელი ხშირია, ისინი წყა- ლუხვია და ხასიათდებიან წლის მანილზე საკმაოდ თანაბარი ჩა- მონადენით, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს აქა- ურ კლიმატზე.


**კოლხეთისათვის დამახასიათე- ბელია სითბოს და ტენის მოყვა- რული მცენარეები.** ტყები გამო- ირჩევა დიდი სიხშირით და იმითაც, რომ აქაურ ტყებში შემონახუ- ლია ისეთი მცენარეებიც, რომელ- ბიც ზომიერ ზონაში მესამეულ პერიოდში (ტროპიკულ და სუბტ- როპიკული ჰავების ბატონობის ხა- ნაში) ხარობდა.

ლიხის ქედის აღმოსავლეთი აღ- მოსავლეთ საქართველოში, ბარის ბუნებრივი პირობები არსებითად განსხვავდება დასავლეთ საქარ- თველოს ბარის პირობებისაგან. ზღვის კლიმატური გავლენა აქ ძლიერ შესუსტებულია, ატმოს- ფერული ნალექების წლიური რა- ოდენობა 300-760 მილიმეტრა, ტემპერატურის რყევის წლიური ამპლიტუდა 24-250C აღწევს, ხო- ლო საშუალოწლიური ტემპერა- ტურა 11-13 გრადუსის ტოლია. მდინარეთა ქსელი აქ უფრო ნაკ- ლებია და ნაკლებ წყალუხვი, ვიდ- რე დასავლეთ საქართველოში.

**აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების მაქსიმუმი მოდის გა- ზაფხულზე, ზაფხულის დასა- წყისა და შემოდგომაზე, ხოლო მინიმუმი ზამთარში.**

ჰავერის მაღალი საშუალო თვი- ური ტემპერატურა (24-250C) აღინიშნება ამ ზონის დაბლობრა- იონებში, ყველაზე ცივი თვე კი ია- ნვარია.

საქართველოს ყველაზე მშრა- ლი კუთხეა ელდარის ველი. ის ნა- ხევრად უდაბნოს ლანდშაფტით



ხასიათდება. ატმოსფერული ნა- ლექების წლიური რაოდენობა აქ მხოლოდ 300 მილიმეტრამდეა.

აღმოსავლეთ საქართველოს ვე- ლები ხასიათდება მშრალი და კონტინენტური ჰავებით (ცხელი ზაფხულით და ზომიერი ზამთ- რით). მთის კალთები, რომელიც აქ იწყება 700-800 მეტრი სიმაღ- ლიდან, მსგავსად დასავლეთ სა- ქართველოსი, ტყითაა დაფარუ- ლი. საშუალო წლიური ტემპერა- ტურა ტყიან სარტყელში ცვალე- ბადობს 11-12 გრადუსიდან 4-5 გრადუსამდე (მცირდება ქვევი- დან ზევითკენ), ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რა- ოდენობა კი ამ ზონაში 600-1000 მილიმეტრია.

**აღმოსავლეთ საქართველოს ველები ჭაბობს სიშრალის ამ- ტანი მცენარებულობა,** მის გარ- კვეულ ნაწილში კი (ელდარში) გავრცელებულია გვალვისა და მლაშე ნიადაგების მცენარეულო- ბა. ჭალის ტყები შემორჩენილია მდინარეები მტკვრის, ალაზნის და ივრის ჭალებში.

როგორც დასავლეთ, ისე აღმო- სავლეთ საქართველოს ალპური სარტყლის ზევით — 2800-3000 მეტრი და მეტი სიმაღლიდან და- წყებული, კავკასიონისა და ზოგი- ერთი მისი განშტოების თხემებზე ვრცელდება მუდმივი თოვლის სარტყელი. მის ქვედა ზღვარს ნარმოადგენს ე. წ. თოვლის ხაზი,

რომელიც ყველაზე დაბლა დასავ- ლეთ საქართველოშია აფხაზეთ- ში, ყველაზე მაღლა კი ამოსავ- ლეთ საქართველოშია მთათუ- შეთში.

ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში დიდად განსხვავებულია **ქარის რეჟიმი და ჰაერის ტენიანობა.** შა- ვი ზღვის სანაპიროზე აღინიშნე- ბა ბრიზები, რომლებიც დღისით ზღვიდან ხმელეთისაკენ ქრიან, ხოლო დამით, პირიქით ხმელეთი- დან ზღვისაკენ. მთიან რაიონებში მთახეობის ქარები დღისით ხეო- ბებში ზემოთკენ ქრიან, ხოლო და- მით სანინააღმდეგო მიმართულე- ბით. მთელ საქართველოში, განსა- კუთრებით, მის დასავლეთ ნახე- ვარში (მდინარე რიონის ხეობაში) ხშირად ქრის მშრალი თბილი ქარი, ე.წ. ფიონი. აღმოსავლეთ ქარების (ფიონების) დროს ჰაერის ფარდო- ბითი ტენიანობა რიონის ხეობაში ზოგჯერ 10-15%-მდე ეცემა. სა- ქართველოში ყველაზე მაღალ- ტენიანი ჰაერია ზღვის სანაპირო რაიონებში, სადაც ტენიანობა 85- 89% აღწევს.

როგორც აღმოსავლეთ, ისე და- სავლეთ საქართველოში, ადამია- ნების ჯანმრთელობისათვის მე- ტად სასარგებლო კლიმატისა და სხვა ფაქტორების, გამო, ბევრია სამთოკლიმატურ-გამაჯანსაღე- ბელი კურორტი, შემდგომი გა- ფართოების დიდი პერსპექტივე- ბით.



# სატირო უკნის გიურებეს ქიტჩების ვიზით დაუფანიათ ყოფილია აღგირებები

ვანის ნაქალაქარში ნაპოვნია ძვ. წ. II-ი სს-ის ქანდაკების ფრაგმენტი – მოკრივის მარჯვენა ხელი ტყავის უთითო ხელთათმანით, ლითონის აბზინდებითა და მაჯაზე დახვეული თასმით. მკველევარები მიიჩნევენ, რომ ამით ქართული კრივის უძველესი ისტორია დასტურდება. ბევრი სხვა მტკიცებულებაც მოიპოვება ქართული კრივის ხანდაზმულობის შესახებ, ძველი ქართველი მოჭიდავე-მოკრივების სახელები კი დღემდე ლეგენდებად შემორჩენილა.

სულ რაღაც ერთი საუკუნის ნინათ, ზოგიერთი მათგანი თბილისის ქუჩებში სასწაულებს სჩადიოდა. ლოხოშა, ჭიანუა, კუნძუა, ყოჩინიკუა, გიუვანუა, კურკა და სხვები უბადლო მოჭიდავები ყოფილან. ექვსიოდე ჯანიან ბიჭს გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე 25 შოტლანდიელი ოფიცერი ისე მიუნოკაუტებია, რამდენიმე დღე თურმე თავს მაღლა ვერ სწევდნენ.

ცხადია, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს მოთხოვაბი „სატიო“ და პოეტ მურმან ლებანიძეს ერთერთ კრებულში გადმოცემული აქვთ გასული საუკუნის დასანყისში გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმრო „მაუესტიკის“ წინ ქართველების საარაკო ჩხუბის ამბავი. სწორედ ამ სასტუმროში ყოფილან დაბინავებული უცხოელი ოფიცერები, რომლებიც მოწყენილობის გასაქარვებლად სასმელს ეძალებოდნენ, შექეიფიანებულები კი გამზირზე გამოეფინებოდნენ ხოლმე და იმ დროისთვის მოდურ სპორტულ გასართობს — კრივს აჩალებდნენ. ჯერ ერთმანეთს „დაზელდნენ“, შემდეგ კი გამვლელებს სთხოვდნენ მათთან შერკინებას. ერთი-ორი მოხალისე რომ დაუმარცხებიათ, თავგასულებს თავხედური გასართობი მოუგონიათ და თურმე პროსპექტზე მოსეირნებს უმიზეზოდ უბრავუნებდნენ. ეს ამბავი რომ თბი-

ლისელი ყარაბოხელების, სატიოს უნის გიურების ყურს მისწვდომია, გაცხარებულან, როგორ თუ ხალხს ქუჩაში თავს ესხმიან და სცემენო! გიუვანუას ბრაზით უთქვამს, — მაგათ ვასწავლი ჭუას, სიყრმის მზემ, კუკიაზე ადგილი აღარ დარჩება, თავხედ სტუმრებს იქ მოუწევთ სამუდამო განსასვენებლის პოვნაო.

ამგვარად, თბილისელი ყოჩები თავს დასდგომიან „მაუესტიკის“ წინ მოძალადე უცხოელებს. ჯერ შორიდან უყურეს თურმე, როგორ დარა ხერხებს იყენებდნენ ბრძოლისას. მერე კი ბრიტანელების ბრძოლის წესებისთვის სასწრაფოდ აუღიათ ალღო. სატიოს ყოჩებს ულვაშებში ჩასცინებიათ, — ამ ჯეელებს თავურის (თავით დარტყმით) არაფერი სცოდნიათო და ისეთი სანახაობა მოუწყვიათ, უცხოელი ოფიცერების საცოდაობის მოსეირები თვალზე ხელს იფარებდნენ, ჯიბეში ხელებჩანყობილ ყარაბოხელებს კი თავურით კიტრებივით დაუფენიათ ყოყოჩა ალბიონელები.

საშა ვერელმა ქართულ გარმოზე „სატიო“ რომ შეუბერა, წამალაანთ გიურუამ კი ჯიუტად ჯიბიდან ხელები არ ამოილო და თავური დარტყმით ვიტრინის შუშები დახეთქა, ოფიცერებს გასაქცევად დასდგომიათ თურმე საქმე.... „გოროდოვოის“ გიურ რომ უცვნია, ხვეწნა დაუწყია, — არ მოკლა, მუშტი დაარტყიო.



გიურსთვის სხვებსაც მიუბაძავთ და ყოჩებს თავებით ისეთი ბათქაბუთქი აუტეხავთ, მუშტიკრივი სანახაობად გადაუქცევიათ“, — წერს მერაბ ბერძენიშვილი თავის მოთხოვაბში.

როგორც უამრავი სხვა, ძველი ქართული საბრძოლო-სპორტული სახეობა, XIX საუკუნეში კრივიც აუკრძალავთ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთ. თუმცა, მალევე მეფისნაცვალ ვორონცოვს შუამდგომლობით, მიუმართავს რუსეთის საიმპერატორო კარისთვის, რომ აკრძალვა გაეუქმებინათ. „პრივი ეპიზოდის საყვარელი გასართობია, მშიდრო კავშირშია ხალხის სასიათოან, მათ გმირობასთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველთათვის და აქცევს გათ ბრძოლისუნარისად თავიათი საზღვრების დასაცავად“. ამის შემდეგ ისევ დაუშვიათ სახალხო სანახაობა, ოლონდ ქალაქებარეთ, კვირაცხოვლის ეკლესიასთან.

**დეა სვანიძე**



# ქველი ქათაისი და ქათათურები

**ილია ჭავჭავაძემ ის  
თავის დაბადების  
დღეზე თამაღად  
მიმდვინა**

„ქუთაისი უნდა გამოვაცხადოთ ნაკრძალად, სადაც საშვის გარე-შე შემოსვლის უფლება მხოლოდ დარბაისელ, ზრდილ, პატრიოტ ქართველებს ექნებათ“, — ამ ცნობილი ფრაზის ავტორია ქუთაისელი მწიგობარი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე **პიპინია მიქელაძე**, რომელიც თავისი იშვიათი იუმორითაც იყო განთქმული. მისი ოხუნჯობანი ახლაცაა შემორჩენილი სრული ან გადაკეთებული სახით, თუმცა ბევრმა არც იცის, რომ ეს გამონათქვამები პიპინიას ეკუთვნის.

...გარდაიცვალა ერთ-ერთი ცნობილი ქუთაისელი. პანაშვი-დის დროს კარებში დგას ერთი ქალბატონი და გაიძახის: არ მჯერა, არ მჯერაო! პიპინიამ დარბაისლურად მიმართა: ქალბატონო, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო! (ნიკო ლორთქიფანიძეს ჰქონია ჩანერილი და მისი არქივიდან ამოიღეს).

პარტიის ქალაქეომის მდივანმა ნარსიამ, საუბრისას, მოხუც პიპინიას ჰქითხა: — ამხანაგო პიპინია, კაცურად მითხარით, კომუნისტების დრო ჯობია თუ ნიკოლოზის?

— როგორ გეკადრებათ! — ორაზროვნად მოუჭრია წინდახედულ პიპინიას, — ამდენი სიხარული, ახლარომ არის, მაშინ სად იყოო.

— რას გულისხმობთ?

— რას, ბატონო, და წყალი მოვა, გვიხარია, შაქარს ვიშოვით, გვიხარია, თეთრი პური გაჩნდება, გვიხარია, რა გაუძლებს ამდენ სიხარულს!

თეთრ ხიდზე მიმავალ პიპინიას ერთი ცნობილი მოღვაწე ანტონ ფურცელაძე შეხვედრია. პიპინი-



პიპინია მიქელაძე —  
მოხუცი არისტოკრატი  
„ქუთაისის ნაკრძალიდან“

ას უკითხავს, რა ისმის პოლიტიკაში ახალიო. იმან — მეტი ახალი რა გითხრა, საფრანგეთმა „დეიურე“ გვცნო.

— სასიამოვნოა, სასიამოვნოო! — ჩაულაპარაკია პიპინიას, — მაგრამ მაგი იმას ჰგავს, ჩემო ბატონო, თქვენ ამ ხიდზე იდგეთ, მე წყალს (რიონს) მივქონდე, ვყვიროდე: „მიშველეთ! მიშველეთ!“, თქვენ ხიდიდან მექახოდეთ: „გიცანით, ბატონო პიპინია, გიცანით!“ და მე გეხვეწებოდეთ: „თუ მიცანით, ღვედი მაინც გადმომიგდეთ და ამომიყვანეთო!“

პიპინია მიქელაძე 24 წლის ბიჭი იყო, მისი სიტყვა-პასუხითა და ნიჭიერებით მოხიბლულმა ილია ჭავჭავაძემ საგანგებოდ რომ მიინვია საგურამოში, თავის დღეობაზე 1891 წელს და თეთრ-ჩოხიანი ულამაზესი ქუთაისელი ახალგაზრდა 2 ათასკაციან სუფრასთან თამადად დანიშნა. სხვათაშორის, პიპინია სიმაღლით 1 მეტრი და 93 სანტიმეტრი ყოფილა, ახოვანებასთან ერთად დახვეწილი არისტოკრატი-

ული მანერებით გამორჩეული.

პიპინიას მხოლოდ სათავადაზნაურო გიმნაზია ჰქონია დასრულებული, მაგრამ იმდენად ნაკითხი იყო, თვით სარგის კაკაბაძესაც კი ეკამათებოდა საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე.

არაჩვეულებრივი მოცემავე და მომდერალი იყო. ერთხელ თავის ოჯახში სტუმრად მყოფ იღიკო სუსიშვილსაც კი უთხრა: ქართულ ცეკვაში ბუქნი არ შეიძლებაო.

„ცედლური მრავალუამიერი“ ქართულ სცენაზე პირველად იმღერეს პიპინია მიქელაძემ და მისმა მეგობრებმა: ბონდო მიქელაძემ, კოკინია დგებუაძემ, სანდორ ფალავამ, დანიელა ურიამ... ასევე, პირველად მათ შეასრულეს გუნდურად ვარინკა წერეთლის „ცი-ცინათელა“.

პიპინიას და მის მეგობრებს — ჯაბა ლომინაძეს, სიმონ ეზიკაშვილს ახალგაზრდობაში ჩამოყალიბებული ჰქონდათ კერძო სასამართლო და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდნენ ქალაქის საზოგადოებას.

ახლარომ სახელმწიფო მუზეუმის შენობაა, იქ, პუშკინისა და წერეთლის ქუჩების გადაკვეთაზე ყოფილა სასტუმრო „სევერნიე ნამერა“, სადაც ხშირად სადილობდა აკაკი. მეოცე საუკუნის 10-იან წლებში ამრესტორანში სანიმუშო სუფრას მართავდნენ პიპინია და მისი ფოლკლორისტი მეგობრები. წინასწარ გაიკვრებოდა აფიშები და საზოგადოებას იწვევდნენ საჩვენებელ სუფრასთან. თანამედროვეთა გადმოცემით, თამადობდა პიპინია მიქელაძე, სუფრასთან მომდერლებიც იყვნენ, მოცეკვავებიც, დეკლამატორებიც... ამით ქუთაისელი ფოლკლორისტები საუკეთესო ქართული ადათ-წესების პროპაგანდას ეწერდნენ ქუთაისის საზოგადოებაში.

პიპინია მიქელაძე 1953 წელს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.



დავით კაპაბაძის დედა — ელუაკია სანაძე-კაპაბაძისა.  
1910წ. ფოტო თავად დავით კაპაბაძის გადაღებულია.



აკაკი და დავით კლიფიაზვილი სოჭელ მუხრანში, 1913 წ.



ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი,  
ლადო სულაპერიძე, 3. ლორთქიზანიძე, შ. ჭვანია,  
მიხეილ ალავიძე, ქუთაისი, 1930-იანი წლები



ვასილ აჩაშუკელი (მარცხნივ),  
აკაკი და იორგა ისაკაძე.  
აკაკის მოგზაურობა რაჭაში. 1912 წ.



ვაჟა ქუთაისში. როგორც ამბობენ, ვაჟას ქუთაისში ჩასასვლელი სამოსი არ ჰქონდა  
და ცასვლას არ აგილებდა. ქუთაისის საზოგადოებამ ფული გაუგზავნა  
და სწორედ ამ ფულით შევერიღი კასტუმითაა იგი ფოტოზე.

აკაკის იუბილე ქუთაისში, 1908 წელს



აკაკი წერეთელმა მთელი თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქუთაისში გაატარა, თბილისში მხოლოდ სტუმრად ჩადიოდა რამდენიმე დღით. ქუთაისში ყოფნის დროს თუ ქუთაისის გარეთ აკაკის ბევრი რამ აქვს დაწერილი თავის საყვარელ ქალაქზე.

ქუთაისის ქუჩების მშვენებას დიდი და პატარა, ნაცნობი და უცნობი ყველა დიდი პატივით ესალმებოდა. აკაკი უცხოს ყურადღებასაც კი იქცევდა თავისი ახოვანი გარეგნობით.

ქუთაისში ჩამოსული პოეტი არ შეიძლებოდა, არ გამოჩენილიყო ქალაქის ბაღში. ეს იყო ქუთათურთათვის ერთადერთი დასასვენებელი და თავყრილობის ადგილი. მხოლოდ აქ შეიძლებოდა, საჭირო ადამიანი გენახა... ბაღში შემოსული აკაკი პირველ რიგში ლალიძის პავილიონს მიაშურებ-

და და მისი მშვენიერი გამაგრილებელი წყლის მირთმევით ნასიამოვნები ზოგჯერ ლექსსაც აქვენერდა.

**მიტროზანი ლალიძისთან ახლო ოჯახური, მეგობრული კავშირი ჰქონდა.** მიტროზანი აკაკის დიდი პატივისმცემის დალი იყო. მისი ხარჯებითა გამოცემული აკაკის შემდეგი ნახარმოებები: „ნათელა“, „წმინდა ნინო“, „გამზრდელი“, „თამარ მაცე“ და სხვ. იგი თავის გამოცემულ, ასევე სხვა ძართულ წიგნებს თვითონები ავრცელებდა. საამისოდ საგანგებოდ დაკირავებული ჰყავდა პეგლარ ასათიანი. ამავე გაგლარის მეშვეობით იგი აწვდიდა უცხოეთიდან მის სახელზე მიღებულ არალეგალურ ლიტერატურას თგილის, შია-

თურას, ბათუმს, ბაქოს და სხვ. მისა ცხაპაიას ან საშა ცულუკიდის მიერ ნაჩვევები მისამართებით.

ერთხელ აკაკის პავილიონში ლალიძის წყლის შესახებ დაუწერია ლექსი (დაახლ. 1903-1904 წელს), რომელიც თვით ლალიძის თვის მიურთმევია:

სასმელების მეტოქე ვარ  
ლვინის, ლუდის,  
წყლის და რძისა,  
ხილეულის ესენცია  
მიტროფანე ლალიძისა.

გემოცა მაქვს, სუნიცა მაქვს  
გთხოვთ ორივე გამისინჯოთ,  
თორემ ისე რად მინდიხართ,  
მოხვიდეთ და გადიბრინჯოთ.

აკაკის პატრიოტული ლექსების გავლენით სამშობლოს სიყვარულით აღვინებულმა ახალგაზრდების ერთ ჯგუფს 300 კაცის

ხელმოწერით, რომელთა შორის ლალიძის ხელმოწერაც ყოფილა, პოეტისათვის ასეთი განცხადებით მიუმართავს: ჩვენ, ამ მიმართვაზე ხელის მომწერი სამასი ახალგაზრდა მზად ვართ, თავი დავდოთ სამშობლოსათვის, ვაცხადებთ ჩვენს თავს თქვენს განკარგულებაში და მზად ვართ, პირველ დაძახებაზე თავი გავწიროთ სამშობლოსათვისო.

აკაკი, რასაკვირველია, ამ მიმართვამ აღაფრთოვანა, მაგრამ მეორე მხრივ საგონებელშიც ჩააგდო. ეს საქმე მეფის მთავრობის

ხრიკი და მახე არ იყოსო, უფიქრია აკაკის. მიმართვის მიღებისთანავე დაუყონებლივ ჩასულა ქუთაისში, უნახულებია, პირველ ყოვლისა, მიმართვაზე ხელისმომწერი, მისი ძევლი ნაცნობი და მეგობარი მიტროფანე ლალიძე და აღფრთოვანებულ-შეშფოთებულს უკითხავს, ვინ არიან ეს ახალგაზრდები, რა ხალხია, მთავრობისაგან შემოჩენილი ხომ არ არიან მახეში ჩემს გასაბმელადაო, თუ საიმედონი არიან, ჯგუფ-ჯგუფად გამაცანი ისინი. მ. ლალიძეს პოეტის სურვილი შეუსრულებია

და მასთან რამდენიმე ჯგუფი მიუყვანია. მაშინ კი დარწმუნებულა მათ გულწრფელობაში და აღფრთოვანებულს დაუწერია შემდეგი ლექსი:

**აღმაფრთოვანა თქვენმა ხმამ, ბევრგზის გულლახვარსობილი და ჩვენს საერთო მშობელსა მზად ვარ ვემონო შობილი.**

ის მიყვარს,

**ყველას გვიყვარდეს, ის იყოს ჩვენი ტრფიალი და მისთვის ნუ გვშურს, დავცალოთ სამსალით სავსე ფიალი.**



არძიფო დოლონაძე და აგრაშიძე  
ფურაბეჭიძე. ქორწილი.

1912 წ. მიხაილოვის სტუდია

ალსანიშნავია, რომ ბატონი არქიტო წლების განმავლობაში გელათის მონასტრის მცველი იყო და ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ აქტიურად მონანილეობდა მონასტერთან დაკავშირებულ საქმეებში. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის 1918 წლის აპრილში გელათის განძეულობის დაცვაში.



**80-10 კლასის მოსსავლეები:**  
**ლალა რუხაძე (მარჯვნიდან პირველი),**  
**ლია ტვილდიანი (ინგლისური ენის პედაგოგი),**  
**ლალი გელოვანი (მუსიკის პედაგოგი),**  
**დგას: (მარჯვნიდან პირველი)**  
**აგლი აბზიანიძე (მათემატიკის პედაგოგი).**  
1948 წლის 1 მაისი

„გვირილობა“ ქუთაისში



„გვირილობა“ — „თეთრი გვირილის დღე“ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში დამკვიდრებული საქველმოქმედო დღესასწაული იყო, რომელიც ჭლექიანების დასახმარებლად ტარდებოდა გაზაფხულზე, აპრილ-მაისში და სამ დღეს გრძელდებოდა.

დღესასწაულის ორგანიზატორები ქალაქის რომელიმე წარჩინებულ მანდილოსანს გააყოლებდნენ ხოლმე თრ გიმნაზიელს: ვაჟს — ფულისათვის განკუთვნილი ყულაბით და გოგონას — გვირილებით სავსე კალათითა და ქინძისთავებით ხელში. წინამდლოლის — მშვენიერი, დიდებული ქალბატონის პატივისცემით, გზად შემხვედრი არც ერთი ადამიანი უარს არ ამბობდა ყულაბაში დიდი თანხის ჩადებაზეც კი. გოგონა მას ქინძისთავით გულზე დაამაგრებდა გვირილას, რომელიც ქველმოქმედს სამი დღე უნ-

და ეტარებინა, ნიშნად იმისა, რომ მან ფული უკვე გადაიხადა. მოგროვილი თანხა დღის ბოლოს საქველმოქმედო საზოგადოებას ბარდებოდა, მესამე დღეს კი ქალაქის ბულვარში უკვე სხვა ქალბატონი და გიმნაზიელი ქალ-ვაჟი დადიოდნენ ჭლექიანთათვის თანხის შესაგროვებლად.

გვირილების დედოფლებიდან შემორჩენილია ერთ-ერთის, იშვიათი გარეგნობითა და გემოვნებით გამორჩეული საშაჩიქოვანის სახელი. ეს ლეგენდარული სილამაზის ქალი მონანილეობდა ქუთაისში დადგმულ ე. ნ. ცოცხალ სურათებში (ენციკლოპედია „იმერეთი“, შემდგენელი ნანული ცხვედიანი, ქუთაისი 2008 წ. გამომცემლობა „პოსტსკრიპტუმი“). საინტერესოა, რომ პირველად (1909წ.) სწორედ მან ჩააწყოვ გვირილები კალათაში და გაყიდვა დაიწყო იმ იმედით, რომ სილა-

რიბისგან სიკვდილისათვის განწირული ჭლექით შეპყრობილი ადამიანებისათვის ერთი დღე მაინც გაენათებინა...

ყიდდა გვირილებს და შემომწირველებს გულზე გვირილას აბნევდა...

XX საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში გვირილობის დღესასწაული ისევ აღსდგა, მაგრამ სულ სხვა შინაარსით. მაისის რომელიმე დღეს ზეიმი ქალაქის „ტორპედოს“ სტადიონზე იმართებოდა, მასში მონანილეობდნენ როგორც წარმოება-დაწესებულებები, ასევე მთელი განათლების სისტემა, დაწყებული საბავშვო ბალებიდან დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლებით. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო გრანდიოზულად, ლამაზად წარმოჩენდა თავს, იყო საპრიზო ადგილები, ირჩევდნენ დედოფალს.

**მომზადა დეა სვანიძეა**



ပရောဂျာများ ပြည်တွင်းလွှာ ပေါင်းစပ် ၁၉၁၃ ခုနှစ်၊ ဧပြီလ ၁၂ ရက်နေ့

